პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბ-
ჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- იაპონია მოითხოვს ინგლისის და ამერიკის ფლოტის შემცირებას
- საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ გერმანიის მუშათა დელეგაციების ანგარიში
- საფრანგეთის მუშები განაგრძობენ დახმარების შეგროვებას „ლიუმანიტე“-სათვის
- რკინისგზის ახალი შტოების გაყვანა ამიერ-კავკასიაში
- საკავშირო ცაკის სესია გაიხსნება დღეს მოსკოვში

პარასკევი, 29 ნოემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 275 (2621)

ა.-ქ. ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცებისათვის

ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტ. რეზოლიუცია

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტმა მოისმინა ცნობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იმ დირექტივის შესახებ, რომელიც ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის შემდგომ მუშაობას ეხება. პლენუმი სთვლის, რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებანი მთლიანად შეეფერებიან ამიერ - კავკასიის სოციალისტური მშენებლობის მორიგ ამოცანებს, რომ ისინი სავსებით გამოხატავენ ამიერ - კავკასიის პარტიული ორგანიზაციების აზრს, და ღებულობს მათ განუხრელი ხელმძღვანელობისათვის.

ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანები პირველ რიგში აყენებენ ფედერაციის სამეურნეო მნიშვნელობას, ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების ინტერესთა **მთლიანობას** იმ რესპუბლიკების, რომელნიც წარმოადგენენ მთლიან სამეურნეო და პოლიტიკურ ერთეულს, და ამის მიხედვით მოითხოვენ ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ყველა სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის ძირიანად გარდაქმნას.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი ავალებს ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტს —დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის რეზოლიუციის განსახორციელებლად და შეიტანოს ისინი განსახილველად ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მახლობელ პლენუმში.

1. საბჭოთა ამიერ - კავკასიის წინაშე დასმული ახალი სამეურნეო ამოცანები, აგრეთვე ამიერ - კავკასიის პარტ ორგანიზაციების ცალკე ავადმყოფური მოვლენების (მაგალითად, აზერბეიჯანში, აჭარისტანში და სხვაგან) აუცილებელი ლიკვიდაციის ამოცანები მოითხოვს ამიერ - კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მთელი სისტემის გარდაქმნას. საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ფედერალიზმის ელემენტების წინააღმდეგ პარტიულ პრაქტიკაში, წინააღმდეგ პარტიული ხელმძღვანელობის ჩამორჩენილობისა სამეურნეო მშენებლობის გაძლიერებული ტემპებისაგან, პარტიული ორგანოების დაგვიანების და პასივობის წინააღმდეგ პარტ-ორგანიზაციაში აღმოჩენილი ყოველგვარი ავადმყოფური მოვლენის გამოსწორების საქმეში.

2. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივთან შეფარდებით ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტი ავალებს ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და ამიერ - კავკასიის ყველა კომუნისტებს — თავიანთი მუშაობის სათავეში დასვან სამეურნეო მშენებლობის საკითხები.

ამიერ - კავკასიის თვითეული პარტორგანიზაციის მუშაობის ხარისხის ძირითად საზომს უნდა წარმოადგენდეს ის, თუ როგორ აქტიურ და შემოქმედებით ხელმძღვანელობას უწევს იგი სამეურნეო მშენებლობას, უნდა წარმოადგენდეს სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის უნარი, უნარი მათი აქტივობის გაღვიძებისა, მათი დარაზმვისა პარტიის და მისი ამიერ - კავკასიის ორგანიზაციის საერთო ამოცანების ირგვლივ.

3. ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციის თანახმად, პლენუმი ანდობს პრეზიდიუმს მოახდინოს ამიერ - კავკასიის ს. მ. უ. საბჭოს რეორგანიზაცია, დაამუშაოს მთელ რიგ პროფკავშირთა ამიერ - კავკასიის მასშტაბით გაერთიანების საკითხი, მოახდინოს ამიერ - კავკასიის საგეგმო ორგანოთა რეორგანიზაცია, შესცვალოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობის სისტემა და დაუყოვნებლივ შეუდგეს ამიერ-კავკასიის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის შექმნას.

4. ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი ავალებს ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმს მოახდინოს ნაციონალური რესპუბლიკების მთელ რიგ ხელმძღვანელ მუშაკთა მობილიზაცია საოლქო მასშტაბით სამუშაოთ და „ამავე დროს მათ ნაცვლად დაწინაურებულ იქნან ახალი მუშაკები, განსაკუთრებით მოწინავე მუშებიდან და გლეხებიდან“ (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციიდან).

5. ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი ავალებს ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციის საფუძველზე შეიმუშაოს ღონისძიებები რაციონალიზაციის და საბჭოთა და პარტიული აპარატის გამარტივებისა და გაიაფების დარგში, აგრეთვე ღონისძიებები მუშათა და გლეხთა ფართო დაწინაურების და საბჭოთა აპარატის მშრომელთა ფართო მასებთან უფრო მეტი დაახლოების დარგში.

6. საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლის გადიდება, ეს აღნიშნულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაში, უნდა ხდებოდეს ნაციონალურ რესპუბლიკათა ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლის საფუძველზე, სოციალისტურ მშენებლობაში ფართო მასების ჩაბმით და ნაციონალურ რესპუბლიკებში, ოლქებში, და რაიონებში, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოების მშობლიურ და მასებისათვის გასაგებ ენაზე მუშაობის უზრუნველყოფით.

7. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განხორციელება, ეჭვი არაა, სიძნელეებსა და წინააღმდეგობას შეხვდება, როგორც დიდმპყრობელური, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის მხრით. ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება განხორციელებული, თუ ამიერ - კავკასიაში მომუშავე თვითეული პარტორგანიზაცია და თვითეული კომუნისტი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ დადგენილებათა გატარებაში და გადაჭრით შეებრძოლება ამიერ - კავკასიის სამეურნეო განმტკიცების ღონისძიებათა ნაციონალისტურად ახსნის ყოველგვარ ცდებს და დაუზოგავად აღმოფხვრის როგორც დიდმპყრობელურ, ისე ადგილობრივ ნაციონალიზმს.

8. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებანი უდიდეს ამოცანებს აკისრებენ ყველა პროლეტარულ მასიურ ორგანიზაციებს, მეტადრე პროფკავშირებსა და კომკავშირს. პლენუმი ავალებს ა.-კავკასიის პროფსაბჭოს და საკ. ა. ლ. კ. კ.-ის ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტს, რომ მათ საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის დირექტივებისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებების საფუძველზე დაამუშაონ საჭირო ღონისძიებანი პროფკავშირებისა და კომკავშირის მუშაობის დარგში, იმ მიზნით, რომ მუშათა მასებისა და აგრეთვე ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის მობილიზაცია მოხდეს ც. კ.-ის დირექტივის მიერ დასახული ამოცანების გარშემო.

9. ყველა იმ ღონისძიებათა შესრულება, რომლებიც დასახულია ც. კ.-ის რეზოლიუციაში და რომლებიც გულისხმობენ ა.-კავკასიის ფედერაციის შემდგომს თავისი სოციალისტური განვითარებისა და გაძლიერების ახალ ეტაპზე, შესაძლებელია მხოლოდ მასების თაოსნობის უფართოესი გაშლა-განვითარებისა და მათი სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საფუძველზე. საჭიროა ფართოდ გაიშალოს და განვითარდეს სოციალისტური შეჯიბრება, ბრძოლა შრომის დისციპლინის გაძლიერებისათვის და განუწყვეტელი წარმოების განხორციელებისათვის, ბრძოლა ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასების ჩასაბმელად კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში. საჭიროა თვითკრიტიკის შემდგომი შეურყეველი გაშლა-გაფართოება. ა.-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, თვითკრიტიკის ჩახშობის უმცირესი ცდის დაუზოგველად აღმოფხვრასთან ერთად, ყოველნაირად უნდა იბრძოლონ თვითკრიტიკის გათახსირებისა და დამახინჯების ცდის წინააღმდეგ, თვითკრიტიკის ანტიპარტიული მიზნებისათვის გამოყენების ცდის წინააღმდეგ.

ა.-კავკასიის ორგანიზაციები მაშინ განახორციელებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებებს, როცა დაუზოგველად შეებრძოლებიან თავის რიგებში არსებულ უმოქმედობასა და მაჩანჩალობას, ახალი გარემოებით შექმნილი ახალი ამოცანების შეუგნებლობას, დასძლევენ ყოველგვარ გადახრასა და მერყეობას, მეტადრე მემარჯვენე გადახრასა და მასთან შემარიგებლობას, ძირშივე აღმოფხვრიან ნაციონალიზმის, ურწმუნოებისა და ლიკვიდატორობის სულიერ განწყობილებას, დაეყრდნობიან მშრომელთა მასების შეგნებულ აქტივობას და შემჭიდროვდებიან ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის გარშემო.

ახალი ფაზა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში

მუქდენი დასთანხმდა მოლაპარაკებაზე

ჩინური გაზეთები ბრალს სდებენ ნანკინს, რომ მან გაამწვავა კონფლიქტი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

მოსკოვი, 28 ნოემბერი. 19 ნოემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტმა ხაბაროვსკში ხარბინის დიპლომატიური კომისარის ცაი იუნ-ჟენისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„20 ნოემბერს პოგრანიჩნაია-გროდეკოვოს ფრონტით გამოემგზავრებიან ხარბინის საბჭოთა საკონსულოს ყოფილი თანამშრომელნი კოკორინი და ნეჩაევი. გთხოვთ, შეხვდეთ მათ და აცნობოთ ეს ამბავი თქვენს სამხედრო სარდლობას. ცაი იუ-ჟენი“.

21 ნოემბერს სადგურ პოგრანიჩნაიადან საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოვიდა ხარბინის საბჭოთა საკონსულოს ყოფილი თანამშრომელი კოკორინი, რომელიც ჩინეთთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ მივლინებული იყო გერმანიის საკონსულოში (ხარბინში) საბჭოთა მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევის საქმეში სამუშაოდ. კოკორინს ჩამოჰყვნენ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ყოფილი დრაგომანი ნეჩაევი და ჩინელი პოლკოვნიკი ვანი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტს კოკორინმა გადასცა ცაის ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ მას როგორც მუქდენის, ისე ნანკინის მთავრობებისაგან მიცემული აქვს რწმუნება დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის მოგვარების შესახებ და რომ ცაი სთხოვს საბჭოთა მთავრობას დანიშნოს თავისი წარმომადგენელი მასთან შესახვედრად.

22 ნოემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტმა ხაბაროვსკში ამხ. სიმანოვსკიმ ცაი იუ-ჟენს გადასცა შემდეგი წერილობითი პასუხი კოკორინის საშუალებით, რომელიც ნეჩაევთან და ვანთან ერთად ხარბინში დაბრუნდა:

„საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, მაგრამ შესაძლებლად არ მიაჩნია დაიწყოს მოლაპარაკება, ვიდრე ჩინეთი არ შეასრულებს იმ წინასწარ პირობებს, რომლებიც გადაეცა ჩინეთს გერმანიის საკონსულოს საშუალებით 29 აგვისტოს. ეს პირობები საერთოდ შემდეგია:

1. ჩინეთი ოფიციალურად უნდა დასთანხმდეს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე აღდგენილ იქნას ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა კონფლიქტამდე პეკინის და მუქდენის 1924 წლის ხელშეკრულებათა საფუძველზე.

2. დაუყოვნებლივ აღდგენილი უნდა იქნან უფლებებში რკინის გზის მმართველი და მმართველის თანაშემწე, რომელნიც დასახელებულნი არიან საბჭოთა მთავრობის მიერ პეკინის და მუქდენის 1924 წ. ხელშეკრულებების მიხედვით.

3. დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ უნდა იქნას ყველა საბჭოთა მოქალაქე, ვინც კი დაპატიმრებულია კონფლიქტთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ როგორც კი ჩინეთი შეასრულებს ამ პირობებს და ოფიციალურად წერილობითი ფორმით აცნობებს ამას საბჭოთა მთავრობას, საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლებს ყველა ჩინელს, ვინც კი დაპატიმრებულია კონფლიქტთან დაკავშირებით, და მონაწილეობას მიიღებს ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაში ყველა სადავო საკითხების საბოლოოდ გადასაჭრელად“.

27 ნოემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მუქდენიდან მიიღო დეპეშა ჩინურ ენაზე:

„მე სწორედ ახლა მივიღე დეპეშა, რომელიც კოკორინმა გადასცა დიპლომატიურ კომისარს ცაის, და გავეცანი ამ დეპეშის შინაარსს.

რადგან ორივე მხარეს სურს თანაბრად შესრულდეს რუსეთ - ჩინეთის და მუქდენის 1924 წლის შეთანხმება, ამიტომ ვაცხადებ პრინციპიალურ თანხმობას წინასწარ პირობათა იმ სამ პუნქტზე, რომლებიც თქვენ 29 აგვისტოს წამოაყენეთ, და იმ დამატებით განცხადებებზე, რომლებიც მათ შეეხებიან.

ვთხოვ პატივცემულ მთავრობას, პირობის მეორე პუნქტის მიხედვით დაუყოვნებლივ დანიშნოს მმართველი და მმართველის თანაშემწე.

რაც შეეხება 1-ლ და მე-3 პუნქტებს, ვინაიდან ეს მუხლები თანაბრად ეხება ორივე მხარეს, საჭიროა ორივე მხარემ დანიშნოს პასუხისმგებელი პირები ამ პუნქტების შესრულებისა და ცხოვრებაში გატარების წესის განსახილველად. გთხოვთ, ტელეგრაფით მაცნობოთ პასუხი. **ჩან სუე-ლიანი**“.

იმავე დღეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ტელეგრაფით გაგზავნა შემდეგი პასუხი:

„მუქდენის მთავრობის თავმჯდომარეს, მარშალ ჩან სუე-ლიანს, მუქდენი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო თქვენი დეპეშა ამა თვის 26-ის თარიღით, რომელშიაც თქვენ აცხადებთ, რომ სავსებით ღებულობთ იმ წინასწარ პირობებს, რაც ამა თვის 22-ს გადმოგეცათ წერილობითი ფორმით ხარბინის საგარეო საქმეთა კომისარის ცაი იუ-ჟენის საშუალებით“. შემდეგ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ხელახლა ჩამოსთვლის ამ 3 პირობას და აღნიშნავს:

„მე-2 პუნქტის თანახმად, საკავშირო მთავრობა გირჩევთ აღადგინოთ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მმართველის უფლებებში ემშანოვი, ხოლო მის თანაშემწედ ეისმონტი და უცდის თქვენს დაუყოვნებლივ ოფიციალურ ცნობას ამის შესახებ.

რაც შეეხება 1-ლ და მე-3 პუნქტებს, რომლებსაც თქვენ აგრეთვე ღებულობთ, საბჭოთა მთავრობა წინადადებას გაძლევთ ეხლავე, მე-3 პუნქტის შესრულების შემდეგ, გამოგზავნოთ თქვენი რწმუნებული ოფიციალური წერილობითი რწმუნებით. თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობა ნიშნავს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტს ხაბაროვსკში სიმანოვსკის ამ პუნქტების ცხოვრებაში გატარების წესის განსახილველად და ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის მოწვევის ვადისა და ადგილის საკითხების შესათანხმებლად.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ლიტვინოვი**“. (ადს)

ნანკინი ნებას აძლევს მუქდენს აწარმოოს მოლაპარაკება

ლონდონი, 28 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი ეხება ჩინეთში მომხდარ ამბებს და სწერს: „**ნანკინის მთავრობამ მიმართა ჩან-სუე-ლიანს თხოვნით, დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან**, იმ მიზნით, რომ შესწყდა მტრული მოქმედება და მიღწეულ იქნას კონფლიქტის მოგვარება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე. **ჩან-სუე-ლიანს მოლაპარაკების დროს მოქმედების სრული თავისუფლება ეძლევა**“ (ადს).

ბილეთების გაყიდვა შეწყდა

ტოკიო, 28 ნოემბერი. როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ყველა სადგურზე პოკოტუს დასავლეთით შესწყდა ბილეთების გაყიდვა.

ჩინური გაზეთები ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის შესახებ

პეიპინი, 27 ნოემბერი. გაზეთი „სინ ვენ-ბაო“ მანჯურიის უკანასკნელი ამბების მიმოხილვას იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ჩან-სუე-ლიანს ან არა ჰყავს საიმედო სამხედრო ძალები, ან თუ ჰყავს, არა სურს მათი ფრონტზე გაგზავნა.

„იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი მტკიცად ანხორციელებს მანჯურიაში თავის გეგმებს, ჩვენი დიპლომატია წინანდებურად განაგრძობს უმოქმედობას. იმ დროს, როდესაც **საბჭოთა კავშირის მოსახლეობა კონფლიქტის დასაწყისიდანვე განსაცვიფრებელი ინტუზიაზმით გზავნიდა ფრონტზე თავის მებრძოლებს**, ჩვენი ხალხი, ჩინეთის უდიდესი ზარალის მიუხედავათ, სრულიად პასიური დარჩა. მართალია, მოხდა რამდენიმე ანტისაბჭოთა მიტინგი, მაგრამ ეს იყო ენტუზიაზმი მხოლოდ ხუთი წუთით“.

შემდეგ ეს გაზეთი აღნიშნავს, იმ საფრთხეს, რომელიც ხარბინს მოელის, აგრეთვე იმას, რომ **საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი ჩინეთის წინააღმდეგ არის განწყობილი და კითხულობს — ფიქრობს, თუ არა ჩინეთის ხელისუფლება საჩქაროდ და რადიკალურად შესცვალოს თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.**

გაზეთი „პეიპინ ჟი-ბაო“ სწერს:

„ნანკინი კვლავ გაიძახის, რომ მას აქვს რაღაც გეგმები საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში მას არავითარი გეგმები არ გააჩნია. ჩვენს დიპლომატებს პროპაგანდის გაწევა მხოლოდ საკუთარ სახლში ეხერხებათ, საგარეო პოლიტიკის გაძღოლის უნარი კი მათ სრულებით არ გააჩნიათ. **საერთაშორისო ხარბიელზე საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ანტიიმპერიალისტური ძალაა და ჩინეთი** და საბჭოთა კავშირი ერთად უნდა მოქმედებდნენ. სწორედ ასევე არც ჩინეთს და არც საბჭოთა კავშირს არა სურთ ომი, რადგან საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის **კონფლიქტის დასაწყისშივე წარმოადგინა წინადადება კონფლიქტის სალიკვიდაციოდ კონფერენციის მოწვევის შესახებ.** ჩინეთს დადებითი პასუხი უნდა გაეცა ამ წინადადებაზე საუბედუროდ, ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის უგეგმოდ მოქმედებს, რამაც მიგვიყვანა ახლანდელ სამწუხარო მდგომარეობამდე“.

შემდეგ გაზეთი რწმენას გამოსთქვამს, რომ **საბჭოთა კავშირს სრულებითაც არ სურს ჩინეთის ტერიტორიის დაპყრობა.** გაზეთი მოუწოდებს მთავრობას, სთხოვოს საბჭოთა კავშირს — შესწყვიტოს მტრული მოქმედება, რომელიც მხოლოდ იმპერიალისტებისთვის და კერძოდ იაპონიისთვის არის ხელსაყრელი.

„ტაკუნ-ბაო“ მოუწოდებს ნანკინის მთავრობას, არ გადასდოს დიდის ხნით აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ჩამოვარდნილი კონფლიქტის ლიკვიდაცია და თუ თვით არ შეუძლია ლიკვიდაციის მიღწევა, მიანდოს ეს საქმე მუქდენს ან სთხოვოს შუამდგომლობა რომელიმე მესამე სახელმწიფოს. თუ საბჭოთა კავშირი მოლაპარაკების სწრაფი განახლების გარანტიას მისცემს, ჩინეთმა, გაზეთის სიტყვით, არ უნდა მოსთხოვოს მას დაჟინებით თავისი წინასწარი პირობების მიღება.

„თუ მთავრობა, — განაგრძობს გაზეთი,— მეტს იფიქრებს მანჯურიის ადგილობრივი მოსახლეობის ტანჯვაზე და არა თავის ფორმალურ უფლებებზე, ადვილად გამოსძებნის გამოსავალს ჩიხიდან. ხოლო თუ კონფლიქტის ლიკვიდაცია ისევ გადაიდება, საბჭოთა კავშირის პირობები შეიძლება უფრო მძიმე შეიქნეს ჩინეთისათვის, ვიდრე ახლაა“ (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივა

საოლქო კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ

1. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდის რთული ამოცანები, მრეწველობის გაშლა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა დაჟინებით მოითხოვს ამიერ-კავკასიის ფედერაციის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი როლის გადაჭრით გაძლიერებას. ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანოებმა, რომელნიც პირველ პერიოდში უმთავრესად პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ და რომელთაც უზრუნველჰყვეს ამ.-კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკების ნაყოფიერი განვითარება, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და ნაციონალური მშვიდობიანობის გაძლიერება, დღევანდელ პერიოდში მთელი თავიანთი ძალღონე უნდა მოახმარონ სამეურნეო სოციალისტურ მშენებლობას ეროვნულ რესპუბლიკებში, ამ რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ და სოციალურ გარდაქმნას. ამისათვის საჭიროა ამიერ - კავკასიის სამეურნეო ბაზის განმტკიცება, ნამდვილი ხელმძღვანელობის განხორციელება ამიერ - კავკასიის მთელი სამეურნეო მშენებლობის საქმეში, განმტკიცება ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, რომელსაც უნდა მიენიჭოს საკონტროლო-ოპერატიული ფუნქციები მრეწველობის მთავარი დარგების მიმართ და მიენდოს რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოების ხელმძღვანელობა, რეორგანიზაცია ამიერკავკასიის დამგეგმავი ორგანოების სისტემისა იმგვარად, რომ სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებს ჰგეგმავდეს ამიერ - კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია, სათანადოთ შეიცვალოს ამიერ - კავკასიის სტატისტიკოს ცენტრალური სამმართველოს როლი და შეიქმნას ფედერაციის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი სოფლის მეურნეობის გადაქმნის საქმეში ყველა მთავარი ღონისძიების სახელმძღვანელოდ. ამიერ - კავკასიის ფედერაციის ორგანოების ხელმძღვანელი როლის ეს გაძლიერება ნაციონალური რესპუბლიკების მიმართ უნდა მიმდინარეობდეს ამიერ - კავკასიის ფედერაციაში შემავალი ნაციონ. რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლასთან ერთად.

2. ც. კ-ი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა ნაციონალური კომპარტიების და ადგილობრივი ორგანიზაციების მიმართ იმ მხრივ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ფედერალიზმის პრინციპის გადატანა პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში. ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტმა თავისი ხელმძღვანელობით უნდა უზრუნველყოს როგორც ცხოვრებაში ვატარება ზემოთაღნიშნული დირექტივებისა, ამიერ - კავკასიის ფედერაციის სამეურნეო როლის გაძლიერების შესახებ, ისე თვითკრიტიკის შემდგომი გაშლა, ახალი კადრების დაწინაურება და მასთან კავშირის გაძლიერება. კერძოდ, ც. კ-ი წინადადებას იძლევა, ამიერ - კავკასიის ფედერაციის ყველა ორგანოები გაძლიერებულ იქნან მთელი რიგი მსხვილი მუშაკებით, რისთვისაც ისინი ცალკე რესპუბლიკების ხელმძღვანელ სამუშაოებიდან გადაყვანილ უნდა იქნან ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელ სამუშაოებზე და ამავე დროს მათ ნაცვლად დაწინაურებულ იქნან ახალი მუშაკები, განსაკუთრებით მოწინავე მუშებიდან და გლეხებიდან.

3. ც. კ-ი წინადადებას იძლევა — მიღებულ იქნას მთელი რიგი ზომები ამიერ - კავკასიის ფედერაციის სახელმწიფო აპარატის მოსაწესრიგებლად და გასაიაფებლად, შემოკლდეს გაბერილი შტატები, მოხდეს მართვა-გამგეობის ორგანოების რეორგანიზაცია ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებში, დამუშავდეს საკითხი ოლქებსა და რესპუბლიკებში სახკომსაბჭოების და ცაკების ერთ ორგანოდ გაერთიანებისა და მთელი რიგი სახალხო კომისარიატების შეერთების შესაძლებლობის შესახებ.

ცნობა

პლენუმის შესახებ

ა.-წ. 27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმი გახსნა ამხ. მამია ორახელაშვილმა. პლენუმის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. ცნობა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის იმ დირექტივის შესახებ, რომელიც მოცემულია ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის შემდგომი მუშაობისათვის.

2. ორგანიზაციული საკითხები: ა) საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამდივნოს არჩევნები, ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში ახალი წევრების კოოპტაციით შეყვანისა და ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის შემადგენლობიდან ზოგიერთი წევრების გამოყვანის შესახებ.

3. მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ.

პირველ საკითხზე — საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივზე ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კახიანმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბუნიატ - ზადემ, ხანჯიანმა, რახმანოვმა, ჩხენკელმა, აკოფოვმა, კუზნეცოვმა, ახუნდ - ზადემ და გიკალომ.

პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. მ. ორახელაშვილის და ამხ. რუბენის თხოვნა ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნების მოვალეობათაგან განთავისუფლების შესახებ.

პრეზიდიუმის შემადგენლობა პლენუმის მიერ განსაზღვრულ იქნა 17 კაცით — 11 წევრი და 6 კანდიდატი. წევრებად არჩეულ იქნენ: ამხ. კრინიცკი, კახიანი, ელიავა, ნაზარეტიანი, ყარაევი, ცხაკაია, გიკალო, კოსტანიანი, მუსაბეკოვი, მახარაძე და ტერ-გაბრიელიანი; კანდიდატებად — ამხ. ლოლობერიძე, ხანჯიანი, გუსეინოვი, ყურულოვი, რედენსი, კუზნეცოვი.

სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვრა 5 კაცით: ამხ. კრინიცკი, კახიანი, ნაზარეტიანი, ყარაევი და ელიავა. ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. კრინიცკი, მეორე მდივნათ ამხ. ყარაევი.

ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: კრინიცკი, გიკალო, სლავინი და თაბოლოვი.

შემმოწმებელი კომისიის დადგენილების თანახმად, გამოყვანილ იქნენ ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის შემადგენლობიდან ამხ. მიხაილოვი, ადროვი, რიზაევი ნოვრუზ, მაშტაკოვი, ბოჭორიშვილი, აგრეთვე — ქერიმოვი რუსტემ.

პლენუმის მეორე სხდომაზე, რომელიც შესდგა 28 ნოემბერს, თბილისის პარტაქტივის მონაწილეობით, მოსმენილ იქნა ამხ. კრინიცკის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის და თბილისის პარტორგანიზაციის აქტივის რეზოლუცია

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივთან ერთად მოისმინა ამხ. კრინიცკის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ, მთლიანად და სავსებით მოიწონა პლენუმის ყველა გადაწყვეტილებანი და მიიღო ისინი მტკიცე სახელმძღვანელოდ.

ხუთწლედის პირველი სამეურნეო წლის შედეგებმა მთლიანად დაადასტურეს პარტიის გენერალური ხაზის სისწორე. ხუთწლედის პირველმა წელმა დაიწყო ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის **ახალი ეტაპი** და დაგვანახვა არა მარტო ის, რომ სრულიად განსახორციელებელია პარტიის მიერ მიღებული ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი, არამედ ისიც, რომ კოლოსალური შესაძლებლობანი არსებობს სოციალისტური მშენებლობის ტემპის უფრო მეტად დაჩქარებისათვის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის წარმატებანი, გეგმით გათვალისწინებული მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ზრდის გადაჭარბება, ნათესი სივრცის ზრდა, კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის უნახავი ძალით გაფართოება, საგარეო ვაჭრობის აქტიური სავაჭრო ბალანსი, პურის დამზადების წარმატებით შესრულება, მთელი სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის სწრაფი ზრდა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, სოციალისტური შეჯიბრებისა და პროლეტარული თვითკრიტიკის გაშლა - გაფართოება —ასეთია ის ძირითადი მიღწევანი, რომლებიც პარტიამ მოიპოვა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მიმართული სოციალისტური შეტევის გაძლიერებით, დიდ სიძნელეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

პარტიამ მოახერხა მუშათა კლასის, ღარიბი და საშუალო გლეხობის უფართოესი მასების დიდი აქტივობის შექმნა ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისა და კაპიტალიზმის ფესვების წარმატებით აღმოფხვრის გარშემო.

სხვადასხვა სიძნელეთა არსებობის მიუხედავათ, საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის პლენუმის მიერ დასახული ხუთწლედის მეორე წლის მშენებლობის უფრო ძლიერი ტემპი როგორც მრეწველობისა, ისე სოფლის მეურნეობის დარგში სრულიად რეალურია, განსახორციელებელი და უზრუნველჰყოფს სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. ამასთან დაკავშირებით, ა.-კავკასიის პარტორგანიზაციების, კერძოდ თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს: სოციალისტური შეჯიბრების თანამიმდევრობითი გაშლა-გაფართოება ქალაქად და სოფლად, პროლეტარული თვითკრიტიკის შემდგომი განვითარება მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობის ზრდის საფუძველზე, განუწყვეტელ წარმოებასა და შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, ბრძოლა თვითღირებულების 11 პროცენტით შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდება 25 პროცენტით, ხელფასის გადიდება 9 პროცენტით, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაცია მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის გარშემო, დაუყოვნებლივ განხორციელება ც. კ.-ის პლენუმის იმ დადგენილებებისა, რომლებიც შეეხებიან კადრების მომზადებასა და გადამზადებას. ამ ამოცანათა შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თესვის კამპანიის ფართოდ გაშლისათვის ცეკას დირექტივის საფუძველზე კოლექტივიზაციის შესახებ.

ხუთწლედის პირველი წლის მიღწევებმა მთლიანად და სრულად გააცამტვერეს მემარჯვენე ოპოზიციონერების ყველა ოპორტუნისტული წინასწარმეტყველებანი და დაამტკიცეს მათი სრული პოლიტიკური გაკოტრება. მემარჯვენე ოპორტუნისტების ყველა წინასწარმეტყველება ტემპების განუხორციელებლობისა, პურის დამზადების ჩაშლისა, სოფლის მეურნეობის დეგრადაციისა, გლეხობის ძირითად მასებთან კავშირის დარღვევისა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გაშლა-გაფართოების შეუძლებლობის შესახებ განიავდა და ნაცარ-მტვრად იქცა.

ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, აქტივთან ერთად, გადაჭრით ჰგმობს ანტილენინურ თეორიებს სოციალიზმში კულაკის შეზრდისა, მოწესრიგებული კაპიტალიზმისა და პროლეტარული დიქტატურის ეპოქაში კლასობრივი ბრძოლის შენელების შესახებ, ჰგმობს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლიბერალურ გაგებას - განმარტებას და პროლეტარიატის იმ დიქტატურის მნიშვნელობის არა საკმაოდ შეფასებას, რომელიც გლეხის მცირე მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის იარაღს წარმოადგენს.

კრებას სრულიად სწორად მიაჩნია ც. კ.-ის გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ შეუთავსებელია მემარჯვენე ოპორტუნიზმის შეხედულებათა და მასთან შემარიგებლობის პროპაგანდა პარტიის რიგებში ყოფნასთან და ყოველნაირად იწონებს ც. კ.-ის ღონისძიებებს მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების მიმართ.

სოციალიზმის მშენებლობის ბრწყინვალე მიღწევებმა, რომლებმაც მთლიანად გააბათილეს მემარჯვენეთა უიმედო წინასწარმეტყველებანი, მშრომელთა მილიონიანი მასების უდიდესმა ენტუზიაზმმა და ლენინური პარტიის მთლიანად მხარის დაჭერამ სოციალიზმისათვის გმირულ ბრძოლაში, და დასასრულ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებამ იმის შესახებ, რომ მემარჯვენე გადახრის შეხედულებანი და მასთან შემარიგებლობა შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან, გასტეხეს მემარჯვენე ოპოზიციის ბელადების—ამხ. ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის ჯიუტობა, აიძულეს ისინი ეცნოთ შემცდარათ თავიანთი პოლიტიკური გეზი და შეხედულებები, რომლებსაც ისინი ბეჯითად იცავდნენ საკავშირო კომპარტიის (ბ) უკანასკნელ პლენუმზედაც კი. მემარჯვენე გადახრის ხსენებულ ბელადთა დეკლარაცია წარმოადგენს პარტიის და მისი გენერალური ლენინური ხაზის სრული სიმართლის ბრწყინვალე დადასტურებას, იმის საუკეთესო მაჩვენებელს, რომ მემარჯვენე გადახრა პოლიტიკურად სავსებით გაკოტრებულია როგორც საკავშირო კომპარტიაში (ბ), ისე კომინტერნშიაც.

მაგრამ პარტია ვერ დაკმაყოფილდება მარტო დეკლარაციებით და განცხადებებით. მემარჯვენე ოპოზიციის ბელადების მოვალეობაა საქმით, პრაქტიკული მუშაობით, დაამტკიცონ თავიანთი განცხადების გულწრფელობა, აქტიურად იბრძოლონ მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის პრაქტიკის წინააღმდეგ, შეუბრალებელი ლენინური კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ მემარჯვენე ოპოზიციის და შემარიგებელთა შემცდარი ანტილენინური და ოპორტუნისტული შეხედულებები.

მემარჯვენე ოპოზიციის ოპორტუნისტული რყევის ბაზისს წარმოადგენენ ის თეორეტიული დებულებები და პოლიტიკური განზოგადოებანი, რომლებიც მოიპოვებიან ამხ. ბუხარინის ნაშრომებში („ისტორიული მატერიალიზმის თეორია“, „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“, „პროლეტარიატის დიქტატურა და მუშურ-გლეხური კავშირი“, „ლენინი, როგორც მარქსისტი“, „ეკონომისტის შენიშვნები“, „ლენინის პოლიტიკური ანდერძი“ და სხვა) და რომლებიც წარმოადგენენ ლენინის შეხედულებათა რევიზიას, ეწინააღმდეგებიან ლენინიზმის საფუძვლებს, ჰქმნიან და მომავალშიაც შექმნიან მემარჯვენე ოპორტუნისტულ მერყეობათა თეორიულ ბაზას.

კრება ამხ. ბუხარინისა და მისი ჯგუფისაგან მოითხოვს მათი შემცდარი და ლენინიზმის საწინააღმდეგო თეორეტიული შეხედულებების უარყოფას და დაუყოვნებლივ მხილებას.

მემარჯვენე ოპოზიციის ფაქტიური განადგურება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ოდნავადაც არის შევასუსტოთ ბრძოლას მემარჯვენე გადახრის და შემარიგებლობის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ.

მემარჯვენე გადახრის იდეოლოგია და მისი პრაქტიკული გამომჟღავნება უდიდეს დაბრკოლებებს წარმოადგენს ნეპმანის და კულაკის საწინააღმდეგო გაშლილი სოციალისტური შეტევის გზაზე. მემარჯვენე შეხედულებათა პროპაგანდის ოდნავი ცდის დაუნდობლად აღკვეთასთან და მემარჯვენე პრაქტიკის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლასთან ერთად პარტიამ არ უნდა შეასუსტოს ბრძოლა „მემარცხენე“ ტროცკისტულ და ნახევრად ტროცკისტულ განწყობილებათა და მათდამი მშვიდობიანი დამოკიდებულების ყოველგვარი გამომჟღავნების წინააღმდეგ.

გამოფხიზლების დასაწყისი თუ ახალი მანევრი?

(მუქდენის წინადადების გამო)

ის თავზარდამცემი პასუხი, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთის არმიის გმირულმა ნაწილებმა გასცეს ჩინელ და თეთრგვარდიელ ბანდიტებს, წარმოადგენს, ჩინელ გენერლებისათვის ერთად-ერთ გასაგებ და მათ მიერ დიდი ხნის დამსახურებულ პასუხს ჩვენს ტერიტორიაზე განუწყვეტელი თავდასხმების სამაგიეროდ.

მრავალმა გაფრთხილებამ და პროტესტმა, რომლებიც ეგზავნებოდა ნანკინსა და მუქდენს ჩინელი ჯარების და მათი დახმარებით მომქმედ თეთრგვარდიელთა ბანდების პროვოკაციული და აგრესიული მოქმედების გამო, არავითარი შედეგი არ გამოიღო. ახლა ამ უგუნურმა ავანტიურისტებმა, რომელნიც სათანადოდ ვერ აფასებენ წითელი არმიის საომარ ძალას და გადამეტებულ იმედებს ამყარებდნენ დაქირავებულ რუს თეთრგვარდიელებზე, რამდენადმე უფრო სწორი წარმოდგენა მიიღეს იმ კატასტროფიულ შედეგებზე, რაც მათ მოელის, თუ განაგრძეს პროვოკაციული გამოხვლები. სადგურ მანჯურიასთან მომხდარ უკანასკნელ შეტაკებათა გამოცდილებით მათ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ, თუ საჭირო იქნება, ჩვენს წითელარმიელებს შესწევთ იმის ღონე, რომ სავსებით განაიარაღონ ჩინეთის საბჭოთა საზღვარზე მყოფი მანჯურიის მთელი ჯარი და გაანადგურონ ის ყაჩაღური ბუნაგები, რომლებიც რუსმა თეთრგვარდიელებმა და ჩინელმა თავდამსხმელებმა მანჯურიის ტერიტორიაზე გაიჩინეს იმ მიზნით, რომ იქიდან აწარმოონ თავიანთი ანტისაბჭოთა, ბანდიტური მოქმედება.

მუქდენის მთავრობის თავმჯდომარის ჯან სიუ-ლიანისა და ამხ. ლიტვინოვის დეპეშები, რომლებიც მათ ერთმანეთს გაუგზავნეს და რომლებსაც დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ, ადასტურებენ, რომ მუქდენის წრეებში გარდატეხა ისახება. იქ თითქოს ხვდებიან, რომ ჩინეთის ხელისუფლების მტაცებლური მოქმედებით შექმნილი ჩიხიდან ერთად-ერთ გამოსავალს წარმოადგენს იმ პირობების მიღება, რომელთაც საბჭოთა მთავრობა კონფლიქტის პირველ დღეებიდანვე სთვლიდა და ახლაც სთვლის მინიმალურ წინასწარ პირობებად კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ამ წინასწარი პირობების საფუძველზე ჩვენ მზად ვართ შევუდგეთ უშუალო მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის მთავრობათა შორის არსებული სადაო საკითხების გადასაჭრელად.

საბჭოთა მთავრობის პასუხი წარმოადგენს ამის ახალს, უძლიერესად დამაჯერებელ საბუთს ამისას, რომ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობა ურყევია; იგი კვლავ იმ პოზიციებზე სდგას, რომლებიც მას ეჭირა მანჯურიის უკანასკნელ ამბებამდისაც.

მაგრამ უახლოესმა მომავალმა უნდა დაგვანახვოს, ნამდვილად შეითვისეს და გაითვალისწინეს თუ არა ჩინეთის გენერლებმა ის გაკვეთილი, რომელიც ჩვენ მივეცით, თუ, პირიქით, ჩვენ საქმე გვაქვს მორიგ ყალთაბანდობასთან, რომლის მიზანს მხოლოდ ის შეადგენს, რომ ხელახლა გააჭიანურონ დრო, დაამშვიდონ და მოატყუონ ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი, რადგან ეს საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვნად, უფრო და უფრო გაბედულად და დაჟინებით მოითხოვს ჩინეთისათვის დამღუპველი კონფლიქტის მოწესრიგებას უშუალო მოლაპარაკების გზით.

კონფლიქტის განვლილი თვეების გაკვეთილს ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობთ, ჩინეთის გენერალთა ჯგუფების და, კერძოთ, ნანკინისა და მუქდენის ურთიერთობაც ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ზოგიერთი დაინტერესებული იმპერიალისტური სახელმწიფოს გეგმები და განზრახვანი ჯერ-ჯერობით საბუთს არ გვაძლევენ მეტის-მეტად ოპტიმისტურად ვიყოთ განწყობილი და ვირწმუნოთ, რომ ჯან ხიუე-ლიანის მომართვა კონფლიქტის დასასრულს გულისხმობდეს. ახლაც შესაძლებელია, რომ ბნელმა ძალებმა, რომლებმაც გამოიწვიეს კონფლიქტი და დაუღალავად აღვივებდნენ მას, ყოველგვარი ძალღონე იხმარონ, რათა ჩაშალონ მუქდენის ხელისუფლების ცდა (თუ ჩვენ საქმე გვაქვს გულწრფელ ცდასთან) და კონფლიქტი ახალ, უფრო სერიოზულ გართულებათა გზით მიმართონ.

უნდა გვახსოვდეს ის საბედისწერო როლი, რომელიც ნანკინს მიუძღოდა და მიუძღვის კონფლიქტის გაღვივებაში. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ის სრულიად უტყუარი ფაქტი, რომ ნანკინის პოლიტიკანებმა გააბრიყვეს მუქდენი და ხელში ჩააგდებინეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა; ნანკინს იმედი ჰქონდა, რომ ამით შეასუსტებდა და მოსპობდა მუქდენის ჯგუფს, რადგან ამ ჯგუფისათვის ერთნაირად დამღუპველი იქნებოდა საბჭოთა კავშირთან შეიარაღებული კონფლიქტიც (ნანკინი სწორედ ამ გზაზე აყენებს მუქდენს და უკვე საკმაოდ შორსაც შეატოპინა) და საერთაშორისო კონტროლიც, რომლის სასარგებლოდ დაუღალავად მუშაობენ მსოფლიო იმპერიალიზმის ნანკინელი კომპრადორები.

ასეთია ნანკინის მიერ აღებული გეზი კონფლიქტის პირველივე დღიდან. ცხადია, მუქდენის გენერლების მძიმე დანაკლისი, რომელიც მათ განიცადეს ცოცხალი ძალისა და სამხედრო ქონების მხრით, ნანკინს ძალიან ნაკლებად შეაშფოთებს და შეაწუხებს. ნანკინისათვის მუქდენის რამდენიმე დივიზიის განიარაღება, პირველ ყოვლისა, მოასწავებდა შესუსტებას მისი მძლავრი მეტოქისა, რომელთანაც ადრე თუ გვიან გამკლავება დასჭირდება გენერალთა ბრძოლის ფრონტზე. ასევე მცირედ შეაწუხებს ნანკინს კატასტროფიული ნგრევა, რომელსაც მანჯურიის ეკონომიური ცხოვრების ყოველი დარგი განიცდის. ნანკინი ხომ, სულ ერთია, არსებული მდგომარეობის გამო, ერთი კაპიკის შემოსავალსაც არ იღებდა მანჯურიიდან.

არსებობენ სხვა მიზეზებიც, რომლებიც ნანკინს აიძულებენ—გასწიოს ყოველგვარი პროვოკაცია, რათა საბჭოთა კავშირთან სამხედრო კონფლიქტი გაძლიერდეს; ეს მიზეზები სრულ საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ნანკინი ადვილად არ დასთმობს თავის პროვოკაციულ თამაშს.

ნანკინი ამჟამად თავისი არსებობის შესანარჩუნებლად ბრძოლას აწარმოებს გენერლების მთელ ბლოკთან, რომელსაც მეთაურობენ ფინ იუი-სიანი ჩრდილოეთით და ჯან ფაგუი სამხრეთით. ვერც ერთს და ვერც მეორეს ნანკინი, ალბად, ვერ გაანადგურებს. შესაძლებელია, ჩან კაი-ში იძულებული გახდეს უკან დაიხიოს და მორიგი დროებითი ზავი ჩამოაგდოს რომელიმე დროებითი კომპრომისისათვის.

სამხედრო აურ-ზაური, დრტვინვა საბჭოთა ჯარების შეტევის შესახებ და გულისამრევი ყვირილი „წითელ იმპერიალიზმზე“ საბაბად გამოდგებოდნენ ასეთი კომპრომისისათვის. გასაოცარი არ იქნება, ხვალ რომ ჩან კაი-ში შეუთანხმდეს ფინ იუი-სიანს, რომელსაც გუშინ ნანკინი ოფიციალურად სამარცხვინო ბოძზე აკრავდა, როგორც საბჭოთა კავშირის დაქირავებულ აგენტს, და ორივემ ერთად ყვირილი მორთონ იმაზე, რომ საჭიროა თავიანთი ჯარები დასძრან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; ხოლო საბჭოთა კავშირისაკენ, როგორც ვიცით, გზა მიდის მანჯურიაზე, რომელიც მათ თავისი სიმდიდრითა და უდიდესი შესაძლებლობით ხიბლავს.

სამხედრო აურზაური ნანკინისათვის საჭიროა იმიტომაც, რომ საბოლოოდ დაჰფაროს იარაღი იმპერიალისტების წინაშე და ხელი აიღოს უამრავ დეკლარაციაში მოუფიქრებლად ნაკისრ ვალდებულებაზე—ექსტერიტორიალობის გაუქმებაზე 1930 წლის 1 იანვრამდე. ეს ვადა უკვე მოახლოებულია, მაგრამ არა სჩანს, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიანთი უფლებებისა და პრივილეგიების უარყოფას აპირებდნენ. არც ისა სჩანს, რომ ნანკინი იმპერიალისტებთან საბრძოლველად ემზადებოდეს. და აი, იმ მიზნით, რომ თავისი მორიგი გამცემლობა და იმპერიალისტების წინაშე წამოჩოქება დაჰფაროს, ნანკინი ცდილობს და კვლავაც ეცდება—მანჯურიის კონფლიქტის საშუალებით საზოგადოების გულისყური მიმართოს იმ ერთად-ერთი ქვეყნისაკენ, რომელმაც ნებაყოფლობით უარჰყო ყოველგვარი უთანასწორო ხელშეკრულება და რომელიც ჩინეთის ხალხის ერთად-ერთ უანგარო მეგობარს წარმოადგენს.

ჩვენს ეჭვებს რომ მეტად სერიოზული საფუძველი აქვს, ჩვენ რომ მოლაპარაკების ჩაშლის ახალ თავგამოდებულ ცდას უნდა მოველოდეთ, ამას ადასტურებს უცხოეთის სააგენტოების ცნობები; ნანკინი არაჩვეულებრივ ანტისაბჭოთა კამპანიას ეწევა, სიცილის გამომწვევ მუქარას გვითვლის და ომს გვემუქრება (თითქოს ნანკინს შეეძლოს აიძულოს მუქდენის გენერლები, რომ მისი ინტერესებისათვის იომონ!) და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ნანკინი ჩინეთის ხალხის დაუძინებელ მტრებს მიმართავს და დახმარებასა და საქმეში ჩარევას ემუდარება.

ეს მიმართვა, უეჭველია, ერთგვარ გამოხმაურებას ჰპოვებს საბჭოთა კავშირის დაუძინებელ მტერთა ბანაკში, რომელიც მოკალათებულია ჩინეთის ტერიტორიაზე. ჩინეთის გენერლების ზურგს უკან ამოფარებული იმპერიალისტები სრულებითაც არ არიან დაინტერესებულნი, რომ სასწრაფოდ მოგვარდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის კონფლიქტი, ისიც უშუალო მოლაპარაკების გზით.

მათ კიდევ არ დაჰკარგვიათ იმედი, რომ ხელი მოითბონ „შუამავლობაზე“ ან საქმეში ჩარევის სხვა ფორმაზე. ნანკინისა და გენერალთა სხვა ჯგუფების საშუალებით მათ შეუძლიათ ხელახლა ეცადონ კონფლიქტის გამწვავებისა და გართულებისათვის.

ამიტომ, თუმცა უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მუქდენის მომართვას, რომელიც ადასტურებს ჩინეთის გენერლების ბანაკში დაწყებულ დაქსაქსვას და გაკოტრებას, მაგრამ **ჩვენ მომავალშიც დიდი სიფრთხილე და სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ.**

უნდა მოვუცადოთ, რომ საქმით დადასტურდეს ის მშვიდობიანი დაპირებანი, რომლებსაც შეიცავს ჯან სიუ-ლიანის დეპეშა, ვინაიდან მხოლოდ დაუყოვნებლივი შესრულება იმ პირობებისა, რომლებსაც შეიცავს ჩვენი პასუხი და რომლებიც ჩვენმა მტრებმაც კი უნდა იცნონ უაღრესად ზომიერ და უაღრესად მშვიდობიან პირობებად, მოგვცემს იმ მინიმალურ გარანტიებს, ურომლისოდაც შეთანხმების იმედი არ უნდა გვქონდეს.

უნდა გვახსოვდეს და არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს მტრებს ჯერ არ დაუყრიათ თავიანთი შხამიანი იარაღი, რომ ისინი განაგრძობენ ინტრიგებისა და პროვოკაციების ქსელის ქსოვას იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც ძლევამოსილად აშენებს სოციალიზმს, და რომ **საჭიროა მზად და ფხიზლად ყოფნა.**

„პრავდა“, 28 ნოემბერი.

თბილისის პარტორგანიზაციის აქტივი

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივის შესახებ

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის რთული ამოცანები, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა წარმატებით შესრულება, ინდუსტრიალიზაციის ამოცანები, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური და სოციალური გარდაქმნა მოითხოვენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის, როგორც ერთი მთლიანი სამეურნეო და პოლიტიკური ორგანიზმის, სამეურნეო ბაზისის განმტკიცებას.

პარტ-აქტივი მთლიანად და სავსებით უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1929 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ, რაც სავსებით შეეფერება წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს ამიერ-კავკასიაში და მთლიანად გამოხატავს ამიერ-კავკასიის პარტ-ორგანიზაციების სურვილებს. თბილისის ორგანიზაციის პარტ-აქტივი მთლიანად იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად მიღებულ დადგენილებებს.

პარტ-აქტივს გადაუდებელ და აუცილებელ ამოცანად მიაჩნია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც განახორციელებენ ამიერ-კავკასიის მთელი სამეურნეო მშენებლობის ნამდვილ ხელმძღვანელობას, განამტკიცებენ ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭოს მით, რომ მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში მიანიჭებენ მას საკონტროლო-ოპერატიულ ფუნქციებს და რესპუბლიკანური ს. მ. უ. საბჭოების ხელმძღვანელობას, მოახდენენ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რეორგანიზაციას სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების დაგეგმვის საქმეში და ამის შესაფერად შესცვლიან ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს როლს. პარტ-აქტივი მთლიანად იწონებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შექმნა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ყველა ძირითად ღონისძიებათა სახელმძღვანელოდ.

ამიერ-კავკასიის ორგანოთა ხელმძღვანელი როლის გაძლიერებამ ხელი უნდა შეუწყოს ცალკე რესპუბლიკების თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის უფრო მეტ გაშლას. ყველა ამ რთული და რეკონსტრუქტიულ პერიოდთან დაკავშირებული ამოცანების შესრულება დაჟინებით მოითხოვს საკავშირო კომპარტიის (ბ) საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი როლის გადაჭრით გაძლიერებას, მისი მუშაობის ტემპის გადიდებას ამიერ-კავკასიის სამეურნეო როლის გაძლიერების მიხედვით; იგი მოითხოვს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას ნაციონალურ კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების და ადგილობრივი ორგანიზაციების მიმართ, მოითხოვს პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში ფედერალი-

(დასასრული იხ. მე-2 გვერდზე)

ზმის გადატანის ფაქტს მოსპობას, თვითკრიტიკის შემდგომ გაშლას, ახალი კადრების წამოყენებას და მასებთან დაკავშირების გაძლიერებას.

თბილისის პარტორგანიზაცია დაუნდობლად შეებრძოლება როგორც დიდმპყრობელურ, ისე ადგილობრივ ნაციონალიზმს; გადაჭრით უკუაგდებს ამიერ-კავკასიის სამეურნეო ბაზისის განმტკიცებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ნაციონალისტურად ახსნის ყოველგვარ ცდას და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით დაუღალავად იმუშავებს ყველა იმ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ ამიერ-კავკასიის ნამდვილ სამეურნეო გაერთიანებას და ამიერ-კავკასიის ფედერაციის, როგორც ამიერ-კავკასიის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის იარაღის, განმტკიცებას.

პარტ-აქტივი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დირექტივების გატარებაში, რომლებიც მიმართული არიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლისაკენ.

ამხ. ა. კრინიცკი

ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ალექსანდრე ივანეს ძე კრინიცკი დაიბადა 1894 წ. პარტიის წევრია 1915 წლიდან. 1915 წლის შემოდგომაზე ის დაატუსაღეს და გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ამხ. კრინიცკი იყო ქ. ტვერის საქალაქო კომიტეტის წევრი და ქალაქის საბჭოს წევრი ბოლშევიკური ფრაქციიდან. 1918 წ. ამხ. კრინიცკი არჩეული იყო ტვერის გუბერნიის აღმასკომის და სასურსათო კოლეგიის წევრად, გუბერნიის გაზეთის რედაქტორად, რუსეთის კომპარტიის ტვერის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1918 წ. ნოემბრიდან — სამხრეთის ფრონტის სკოლის ლექტორად, პოლიტგანყოფილების და პოლიტგანათლების უფროსად.

1919 წ. ამხ. კრინიცკი ცენტრალური კომიტეტის მიერ გაგზავნილი იქნა პარტიულ სამუშაოზე ვლადიმირსკში, შემდეგ სარატოვში - პარტიის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად.

1920 — 21 წ. ამხ. კრინიცკი იყო მოსკოვის პარტიულ კომიტეტის სა ორგანიზაციო განყ. გამგეთ, 1921 წელში — როგოჟსკო - სიმონოვის რაიკომის მდივნათ. 1922 წელში ამხ. კრინიცკი ცეკას მიერ გაგზავნილ იქნა სამუშაოთ ომსკის საგუბერნიო კომიტეტის მდივნათ, 1923 წ. ის არჩეულ იქნა ცეკას ციმბირის ბიუროში. 1923 — 24 წ. ის იყო უკრაინის კომპარტიის (ბ) დონის საგუბერნიო კომიტეტის მდივანი.

1924 — 27 წ. ის იყო ბელორუსიის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი. მე-13 პარტყრილობაზე ამოირჩიეს ცეკას კანდიდატად, 1927 წ. იყო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტ. - საპრ. განყ. გამგეთ.

გერმანიის მუშათა დელეგაციების ანგარიში

საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული მუშათა დელეგაციები ანგარიშ აბარებენ ბერლინის მუშებს

ბერლინი, 28 ნოემბერი. საბჭოთა კავშირიდან მუშათა დელეგაციის დაბრუნების შემდეგ დაიწყო საანგარიშო კამპანია საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ. ბერლინში გაიმართა მიტინგი - მიღება, ამ მიტინგზე ბერლინის რევოლიუციონური აქტივი შეეგება გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკისა და ჩეხო - სლოვაკიის დელეგატებს, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდნენ. დელეგაციის წევრმა რენერმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ. მისი მოხსენება მუშათა აუდიტორიამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა. რენერმა განაცხადა, რომ გერმანიის მუშების მოვალეობაა დაეხმარონ საბჭოთა მოძმეთ სოციალიზმის მშენებლობაში. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა ლაუშევიცელმა ფეიქარმა ქალმა, გერმანელმა სპორტსმენმა ქალმა, ფრანგმა მუშამ, ინგლისელმა მუშამ და ბერლინის კაბელის ქარხნების ფაბრკომის თავმჯდომარემ ალბერტმა. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ფიცსა სდებს — დაიცვას საბჭოთა კავშირი და ყოველი საშუალებით დაეხმაროს სოციალისტურ მშენებლობას. ცენტრალური მიტინგის გარდა ბერლინში გაიმართა კომპარტიის მიერ მოწყობილი 15 რაიონული მიტინგი. მიტინგებზე მოხსენებებს აკეთებდნენ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული დელეგაციების მონაწილენი, მათ შორის 5 ინგლისელი და 10 გერმანელი ორატორი. კრებები გადაიქცა აღფრთოვანებულ დემონსტრაციებად საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. მოხსენებების შთაბეჭდილებით კომპარტიაში 2.000 კაცზე მეტი შევიდა (ადს).

გერმანელ კოლონისტების გარშემო

ბერლინი, 28 ნოემბერი. გერმანიის მუშათა პრესა აქვეყნებს შემდეგ ცნობას: ვოლგის მხარის გერმანელთა ბიულეტენის (ბერლინში გამოდის) გამომცემელმა რიხტერმა ინახულა გერმანელი კოლონისტები, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან ჰამბურგში გადასახლდნენ. ჰამბურგში მაშინ იყო 22 ოჯახი. რიხტერის მიერ კოლონისტებთან გამართული საუბრიდან გამოირკვა, რომ მათ შორის არ არის არც ერთი მოჯამაგირე ან ღარიბი გლეხი. შეძლებული ოჯახია 17, მხოლოდ ერთია საშუალო შეძლების ოჯახი და 4—სოფლის ინტელიგენტთა ოჯახი.

შემდეგ რიხტერს მოჰყავს შეკითხვებისა და პასუხების ასეთი ნუსხა:

— როგორია თქვენი აზრი იმ კულტურული ავტონომიის შესახებ, რომელიც მიცემული აქვს საბჭოთა კავშირში გერმანელ უმცირესობას?

— ამ ავტონომიამ ბევრი რამ კარგი მოგვცა. გერმანელ ეროვნებას ეხლა შეუძლია უფრო თავისუფლად, უფრო დამოუკიდებლად განვითარდეს საბჭოთა კავშირში, ვიდრე ძველ დროს. გერმანელთა დევნა, რასაც ადგილი ჰქონდა ცარიზმის დროს, ეხლა აღარ არის.

— როგორია ის მიზეზები, რომლებმაც თქვენ გადმოსახლება გაიძულეს? იყო თუ არა ეს რელიგიური დევნა?

— არავითარ შემთხვევაში.

— გერმანელი ეროვნების ჩაგვრა?

— არავითარ შემთხვევაში.

— კოლექტივიზაცია?

— ასეთი შემთხვევა 22 იყო.

— ხომ არ გამოუძევებიათ რომელიმე თქვენგანი საბჭოთა კავშირიდან?

— არა, ჩვენ ყველანი ნებაყოფლობით წამოვედით.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება საბჭოთა წყობილებასთან?

— რუსეთში ჩვენ ყველანი კონტრ-რევოლიუციონერებად ვითვლებოდით. ჩვენ ძალიან იშვიათად ვასრულებდით საბჭოთა ორგანოებისაგან მიღებულ მითითებებს. (ადს).

რკინისგზის ახალი ხაზები ამ.-კავ.

მოსკოვი, 28 ნოემბერი. რკინის გზის სახალხო კომისარიატის მშენებლობის ცენტრალურმა განყოფილებამ დაამთავრა ამ.-კავკასიის ადგილობრივი მნიშვნელობის რკინის გზების ეკონომიური გამოკვლევა, რენტაბელურად იქნა ცნობილი სტეპანაკერტ-ევლახის ხაზი. ხაზის ტვირთბრუნვა წელიწადში 800.000 ტონას შეადგენს. შემდეგში შეხამებული იქნება ამ გზის შეერთება ჯულფა-ბაქოს რკინის გზასთან. მთელი გზის სიგრძე 100 კილომეტრი იქნება. გზის გაყვანას დაახლოებით 12—15 მილ. მანეთი დასჭირდება. მშენებლობის ცენტრალური განყოფილების გამომკვლევი ჯგუფის დასკვნით, ამ ხაზის გაყვანა ხუთწლედის უკანასკნელ წელს უნდა დაიწყოს.

რენტაბელურად იქნა ცნობილი ხაჩმას-ყუბას ხაზი. გადაწყდა ამ ხაზის გაყვანა და შეტანილ უნდა იქნას 1932-33 წლის გეგმაში.

აღიძრა საკითხი აგრეთვე კარაკლის-დილიჟან-აჯთაფის რკინის გზის ხაზის გაყვანის შესახებ. ამ ხაზის უკვე დამთავრებულმა ეკონომიურმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მისი ტვირთბრუნვა დაახლოებით 800.000 ტონა სატრანზიტო ტვირთს შეადგენს. ეს გზა განტვირთავს ლენინაკან-ნავთლუღის უბანს, რომლის გაფართოებაც 20 მილიონი მან. დაჯდებოდა. ახალი ხაზი ხელს შეუწყობს მთელი კუთხის განვითარებას. მისი სიგრძე 115 კილომეტრი იქნება, მის გაყვანას დასჭირდება 30—35 მილ. მანეთი.

უკვე დადასტურდა გორი-ცხინვალის რკინის გზის ეკონომიური მიზანშეწონილობა. ამ გზის სიგრძე 34 კილომეტრი იქნება, ხოლო მისი გაყვანა 5 მილ. მან. დაჯდება. განზრახულია, გზის გაყვანას 1931 წელს შეუდგნენ და ერთი საამშენებლო სეზონის განმავლობაში დაამთავრონ.

დანარჩენი ადგილობრივი ხაზების—თელავ-ახმეტის, ოზურგეთ-ჩოხატაურის, ბაღდად-რიონისა და ზუგდიდ-ჯვარის (200 კილომეტრის საერთო სიგრძით)—დამატებით გამოკვლევა და დასკვნის გამოტანა ამ.-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს დაევალა. (ადს).

საკავშირო ცაკის სესია

მოსკოვი, 28 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის მეხუთე მოწვევის ცაკის მეორე სესია 29 ნოემბერს გაიხსნება. სესიის დღის წესრიგია: სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები, საბჭოთა კავშირის 1929-30 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, ცაკის საბიუჯეტო კომისიის მოხსენება საბჭოთა კავშირის 1929-30 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, საბჭოთა კავშირის 1927-28 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ტაჯიკეთის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნა—მომხსენებელი ამხ. ენუქიძე, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ტრაქტორთმშენებლობის განვითარების გეგმა, საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ, დამტკიცება იმ დადგენილებების, რომლებიც მიღებულ იქნა სესიიდან სესიამდე. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 28 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის 27 ნოემბრის დილის სხდომაზე ამხ. გოლცმანმა აღნიშნა, რომ ინდუსტრიალიზაციის სფეროში ჩვენ უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ, და ჩვენ ამერიკაზე უფრო სწრაფი ტემპებით მივემართებით წინ; ყოფა-ცხოვრების სფეროში ჩვენ მეტად ნელი ნაბიჯით მივდივართ წინ. ყოფა-ცხოვრების სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის ტემპი უნდა გაუთანასწორდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპს.

ამხ. სეგალი (საკავშირო კომკავშირის ც. კ.-ი) წინადადებას აძლევს საკავშირო პროფსაბჭოს—უახლოეს ხანებში დააწინაუროს პროფკავშირთა აპარატის ყველა რგოლებში დამკვრელ—მუშათა განსაზღვრული რაოდენობა. კომკავშირის ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ამ მუშაობაში ფართო დახმარება გაუწიონ პროფსაბჭოს. მუშათა მასების ტეხნიკური ცოდნის ასამაღლებლად, უნდა გამოიცეს სპეციალური გაზეთი, რომელიც ყველასათვის გასაგებად გააშუქებს მთავარ ტეხნიკურ საკითხებს.

მეტალისტთა კავშირის ც. კ.-ის თავმჯდომარემ ამხ. შვერნიკმა აღნიშნა, რომ საკავშირო პროფსაბჭომ გადასწყვიტა—გადასდოს ინდუსტრიალიზაციის ფონდიდან 10 მილ. მანეთზე მეტი საშანქანო-სატრაქტორო სადგურების მოსაწყობად და კვალიფიციური მუშახელის მოსამზადებლად. ეს მუშაობა უსათუოდ გააძლიერებს პროლეტარულ გავლენას სოფლად. (ადს).

მოსკოვი, 28 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე დამთავრდა კამათი ამხ. დოგადოვის იმ მოხსენების გამო, რომელიც პროფკავშირების მორიგ ამოცანებს შეეხებოდა. კამათის დროს გამოვიდა ამხ. კაგანოვიჩი, რომელსაც ოვაციებით შეხვდნენ. ამხ. კაგანოვიჩის სიტყვა შეეხებოდა პროფკავშირთა ამოცანებს გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში. (ადს).

57 ათასი ახალგაზრდის გაწვევა სკოლებში

მოსკოვი, 28 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ამხ. კუიბიშევის წინადადებით, 1930 წლის იანვარში საფაბრიკო-საქარხნო სკოლებსა და მასიური პროფესიების სკოლებში ერთდროულად უნდა გაიწვიონ 57.000 ახალგაზრდა. ეს იქნება „ინდუსტრიალიზაციის გაწვევა“. (ადს).

ინჟ. ფერაძის და ჯაფარიძის მკვლელის საჩვენებელი გასამართლება

მოსკოვი, 28 ნოემბერი. დამცველი რაზმის მსროლელის მიერ საქ. წყალთა მეურნეობის ორი ინჟინერის, ფერაძისა და ჯაფარიძის, მოკვლასთან დაკავშირებით, რკინისგზელთა ც. კ.-მა, აგრეთვე ინჟინერ-ტეხნიკოსთა ცენტრალურმა ბიურომ დაადგინეს—მოითხოვონ საჩვენებელი გასამართლება და დეტალური გამოკვლევა დანაშაულისა, მკვლელობის მონაწილეთა სასტიკად დასჯა და გასამართლების გარშემო ფართო საზოგადოებრივობის დარაზმვა.

ამ.-კავკასიის რკინის გზის პროფკავშირს და ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალების ადგილობრივ ბიუროს წინადადება მიეცა—მონაწილეობა მიიღონ ამ საქმის გამორკვევაში. (ადს).

ამხ. აიხენვალდის, მარეცკის და ასტროვის წერილები

მოსკოვი, 28 ნოემბერი. „პრავდა“-ში გამოქვეყნდა ამხ. აიხენვალდის, მარეცკის და ასტროვის წერილები, რომლებშიც აღნიშნული ამხანაგები შემცდარად ცნობენ ამხ. ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის შეხედულებებს და თავიანთ გამოსვლებს მათ შეხედულებათა დასაცავად. ამხ. აიხენვალდი, მარეცკი და ასტროვი აცხადებენ, რომ ისინი მთლიანად იზიარებენ პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ხაზს.

„პრავდა“-ს იმავე ნომერში 72 ოპოზიციონერი აცხადებს, რომ შორდებიან ტროცკიზმს.

ლენრაიკომის გაფართოებული პლენუმი

27 ნოემბერს, ალიხანოვის მუშათა კლუბში შესდგა საქართველოს კ.პ. (ბ) ლენრაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ პარტიის და კომკავშირის უჯრედების მდივნები, საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტების თავმჯდომარეები და მდივნები და სამრეწველო დარგში მომუშავე კომუნისტები.

დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი; სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა შემოწმების შედეგები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. რაზმაძემ და გოდაბრელიძემ.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ,—განაცხადა გოდაბრელიძემ,—დიდი გამოძახილი ჰპოვა მუშათა მასებში, სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ აიწია შრომის ნაყოფიერება, შემცირდა სამუშაო საათების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები და სხვ. სოციალისტურმა შეჯიბრებამ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მეტი ნაყოფი მოგვცა, ვიდრე პირველ ნახევარში, ეს აიხსნება იმით, რომ სოცშეჯიბრებამ წლის მეორე ნახევარში, დაახლოებით აპრილში, მასიური ხასიათი მიიღო. არის ქარხნები, სადაც ჯერ კიდევ სოცშეჯიბრება არ არის გაშლილი ისე, როგორც საჭიროა. ამხ. კალინინის სახელობის ქარხანაში ჯერ კიდევ არ დაწყებულა მუშაობა სოც. შეჯიბრის ჩატარებისათვის.

ჩვენი მიზანია არც ერთი მუშა, არც ერთი ცეხი—ფაბრიკა, წარმოება არ უნდა დარჩეს სოციალისტურ შეჯიბრების გარეშე, ჩვენ ყველგან, პატარა დაწესებულებებშიაც კი უნდა ჩავატაროთ სოცშეჯიბრი.

ამხ. გოდაბრელიძე შეეხო დამკვრელთა ბრიგადების მუშაობას და აღნიშნა, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ ბრიგადებს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. კარბენინამ, თვალშვაძემ, ჩანკვეტაძემ, ბახტაძემ, გამრეკელმა, კარპოვმა და სხვ. ორატორები საერთოდ აღნიშნავდნენ, რომ პროფორგანიზაციები სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევენ მუშათა რაიონებში სოცშეჯიბრს.

კამათის დამთავრებისა და მომხსენებლების საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

საბჭოთა სომხეთის ცხრა წლის თავი

მხურვალე ძმური სალამი საბჭოთა სომხეთის მშრომელებს

საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისაგან

სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ს, სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის ცაკ-ს და სახკომსაბჭოს

საკავშირო კ.პ.(ბ) ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი მხურვალედ ესალმება სომხეთის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ცხრა წლის თავზე.

ცხრა წლის წინად სომხეთის მუშებმა და გლეხებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებული გმირული ბრძოლით, დაამხეს ბურჟუაზიის ბატონობა მისი პარტიის, დაშნაკცუტუნის სახით და მოიპოვეს სომხეთის სოციალისტური მშენებლობის ფართო შესაძლებლობა.

სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი ამხ. კოსტანიანი.

განვლილი 9 წლის განმავლობაში, სომხეთის მუშებმა და სოფლის მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საბჭოთა კავშირის აქტიური დახმარებით, არა თუ მოახდინეს იმ მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაცია, რომელიც მათ დაშნაკთა ბურჟუაზიულ-შოვინისტური ხროვის ბატონობის დროიდან გადმოეცა, არამედ ფართოდ გაშალეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობა სოციალისტურ გზაზე. ახალი ფაბრიკები, ქარხნები, ელექტროსადგურები, საბჭოთა მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი და სხვა უდიდესი კულტურული მიღწევები მეფის ყოფილ კოლონიაში—სომხეთში მაჩვენებელია პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცის და პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის სისწორისა. სომხეთის მშრომელთა მტრები თავიანთი კონტრაგენტების—კულაკების, ნეპმანების, ხუცებისა და სხვების—საშუალებით ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების რიგებში სომხეთის ძლევამოსილ მსვლელობას. მაგრამ მტრების ამ ხრიკებს ამსხვრევს და მომავალშიც დაამსხვრევს მოძმე ერთა ფოლადისებური შემჭიდროება, ნაციონალური მშვიდობიანობისა და სოციალისტური მშენებლობის მძლავრი ციხე-სიმაგრე—ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაცია.

ამიერ-კავკასიის სფს. რესპუბლიკა ამჟამად იწყებს თავისი განვითარების ახალ პერიოდს. პირველ ადგილზე ამჟამად წამოყენებულია ფედერაციის სამეურნეო მნიშვნელობა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო მთლიანობა. ამ სამეურნეო მშენებლობაში სომხეთის მშრომელები მოწინავე რაზმს შეადგენენ.

სოციალიზმის მტრებთან დაუნდობელი ბრძოლით, ყველა სიძნელეთა გადალახვით, სომხეთის მშრომელები, მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარებისა და მშრომლების ძმური დახმარებით, იმ ძმური რესპუბლიკების მჭიდრო ოჯახში, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ამიერ-კავკასიის დაურღვეველ ფედერაციაში, მთლიანი ფოლადისებური ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, გასწევენ თავიანთი მიზნისაკენ—სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელს—სომხეთის კ.პ. (ბ)!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციას!

გაუმარჯოს სოციალიზმის სრულ განხორციელებას!

საკავშირო. კ.პ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ. მხურვალე კომუნისტურ სალამს უძღვნის საბჭოთა სომხეთის მშრომელთა და კომუნისტურ პარტიას. უკვე 9 წელიწადია, რაც ფერფლისა და ნანგრევებისაგან წარმოიშვა ახალი სოციალისტური რესპუბლიკა—სომხეთი, რომელიც შეადგენს ამიერ-კავკასიის ფედერაციის განუყოფელ ნაწილს. წინააღმდეგ გაკოტრებულ დაშნაკელების ჭორებისა, სომხეთის მუშები და გლეხები კომპარტიის ხელმძღვანელობით ასრულებენ მთელი საბჭოთა კავშირის უდიდეს სოციალისტური მშენებლობის გეგმას.

საქართველოს კომუნისტური პარტია დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკ. ფედერაციის ეკონომიურად და პოლიტიკურად განსამტკიცებლად, ყველა მშრომელთა ნამდვილ-ინტერნაციონალურ ძმობის და სოციალიზმის დასამყარებლად წარმოებულ მომავალ ბრძოლებში—სომხეთის კომუნისტური პარტია დაიკავებს ერთ პირველ ადგილთაგანს.

გაუმარჯოს სომხეთის მუშებს და მშრომელ გლეხებს.

ვიბრძოლოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის!

ვიბრძოლოთ სოციალიზმის დაჩქარებით განხორციელებისათვის.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი.

სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ და ერევნის კომიტეტებს

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლის თავზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო ორგანიზაცია მხურვალე სალამს უძღვნის სომხეთის მუშებისა და გლეხების ბელადს—სომხეთის კომუნისტურ პარტიას. და მის მოწინავე რაზმს—ერევნის ორგანიზაციას.

9 წლის წინად სომხეთის მუშებმა და გლეხებმა უმაგალითოდ ძნელ პირობებში, სომხეთის კომპარტიის სახელოვანი ხელმძღვანელობით, ვარეკეს რა დაშნაკები და დაამყარეს რა თავისი ბატონობა, უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში.

პარტ-აქტივი დარწმუნებულია, რომ სომხეთის მუშებისა და გლეხების ის მიღწევები, რომლებიც მათ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე აქვთ, კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს მისცემენ მათ სახ. მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანების დაძლევის, ხუთწლიანი გეგმის შესრულების და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის ძმური ინტერნაციონალური კავშირის კიდევ უფრო მკვიდრ ნიადაგზე დამყარების საქმეში.

ულოცავს რა სომხეთის მუშებსა და გლეხებს უდიდეს წლის თავს, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო ორგანიზაციის პარტაქტივს მტკიცედ სწამს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელი მასების შეერთებული ძალით კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება ამიერ-კავკასიის სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერება, რაც სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივი აღნიშნავს მემარჯვენე ოპოზიციის ბელადთა კაპიტულაციას პარტიის წინაშე (ბუხარინის, ტომსკის და რიკოვის განცხადება) და მოუწოდებს სომხეთის კომპარტიის ძმურ ორგანიზაციას განაგრძოს ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრების და განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკურ განმტკიცებას.

გაუმარჯოს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლის თავს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ ერთობას.

ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლის თავზე ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ამიერ-კავკ. მრავალ ტომთა მშრომელების სახელით მხურვალე სალამს უძღვნის სოციალისტური ქვეყნის აღმშენებლებს—სომხეთის მუშებს და გლეხებს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ცხრა წელიწადი სომხეთში არის დიდი ბრძოლის, კულტურულ და სამეურნეო ფრონტზე არსებულ უდიდეს დაბრკოლებათა გადალახვის პერიოდი და ბრწყინვალე გამარჯვებათა ხანა. ხუთწლიანი გეგმა, რომელიც აქვს სომხეთს სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, არის მიღწეულ გამარჯვებათა ისეთივე დოკუმენტი, როგორც სომხეთის მშრომელთა ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის ნებისყოფა, რაც უზრუნველყოფილია ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებისა და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა უძლეველი ნებისყოფით.

განვლილი ცხრა წელიწადი არის ქვეყნის კულტურული და სამეურნეო აღორძინების დასაწყისი სოციალიზმის საფუძვლებზე. ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმური კავშირი, რომელიც განხორციელებულია ამიერ-კავკასიის ფედერაციით, არის საბჭოთა სომხეთის აღორძინების უტყუარი საწინდარი.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას, გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

ამიერ-კავკ. ცაკის თავმჯდომარე: —

მ. ცხაკაია.

ამხ. ფ. მახარაძისაგან

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 9 წლის შესრულების გამო მხურვალე ძმურ სალამს გიგზავნით საბჭოთა სომხეთის მუშებსა და გლეხებს.

ცხრა წლის ბრძოლამ და დაუღალავმა მუშაობამ უზრუნველჰყო სომხეთის მშრომელი მასების კულტურული და მატერიალური კეთილდღეობა.

მხოლოდ ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებთან მჭიდრო კავშირით შევძლებთ შევინარჩუნოთ დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა მჭიდრო კავშირს.

ამხ. შ. ელიავას მისალმება

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის 9 წლის თავზე მხურვალე სალამს უძღვნით სომხეთის სახკომსაბჭოს და მისი სახით სომხეთის მშრომელთ, რომლებიც სწრაფი ტემპით აწარმოებენ მეურნეობის აღდგენას.

განვლილი ცხრა წელი საბჭოთა სომხეთის კომუნისტური პარტიის და ხელისუფლების პირველი ეტაპია, როდესაც მეფის და დაშნაკელების ხელისუფლების მიერ დატოვებულ ნანგრევებზე შეიქმნა ერევნის და ლენინაკანის ჰიდრო სადგურები, აგებული იქნა ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკა, აგებული და ამუშავებული იქნა მრავალი ფაბრიკა ქარხანა, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სომხეთის ინდუსტრიალიზაციას.

ქვეყნის წინაშე დიდი პერსპექტივები იშლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში, რომელიც თავის სტრუქტურას აწყობს საბჭოთა და კოლმეურნეობათა მშენებლობის საფუძვლებზე აერთიანებს კოოპერაციაში სოფლის ღარიბ და საშუალო ფენებს, რითაც დიდი გასაქანი ეძლევა მშრომელი გლეხობის თვითმოქმედებას. ამჟამად, როდესაც საბჭოთა სომხეთი მოძმე რესპუბლიკებთან—საქართველოსთან და აზერბეიჯანთან ერთად, შეადგენს მტკიცე ამიერ-კავკ. ფედერაციას, ქვეყნის სახალხო მეურნეობას გაუმტკიცებული შესაძლებლობა აქვს წაიწიოს წინ სოციალისტური მშენებლობის გზაზე და, ამას გარდა, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიერ წამოყენებული ლოზუნგი „შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“ განხორციელებული იქნება სომხეთის მშრომელთა მიერ.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებელ—ამიერ-კავკასიის მშრომელთა—მტკიცე კავშირს!

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევ-საბჭოსაგან

„კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო მხურვალედ ესალმება საბჭოთა სომხეთის მუშებსა და გლეხებს მათი ხელისუფლების ცხრა წლის არსებობის გამო. დაშნაკური ხელისუფლების სისხლისმსმელი ბატონობის შემდეგ, ცხრა წლის წინად, სომხეთის მუშებმა და გლეხებმა შესძლეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღმოეფხვრათ ხოცვა-ჟლეტა ამიერ-კავკასიის ერებს შორის, დაემკვიდრებიათ მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა, ინტერნაციონალური მთლიანობა და ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად შესდგომოდნენ სოციალიზმის მშენებლობას.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ სომხეთს, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას, გაუმარჯოს სოციალისტური აღმშენებლობის ბელადს—კომუნისტურ პარტიას.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო: [illegible], ტიუფსხი, [illegible], კარაეში, იაკ.

საუბარი სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტერ-გაბრიელიანთან

— სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლის თავის ზეიმი ხდება მაშინ, როდესაც უკვე გადაწყვეტილია ამიერ-კავკ. სამეურნეო ხელმძღვანელობის კიდევ უფრო განმტკიცება. ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ძმური კავშირის დამყარებაში ამიერ-კავკ. ფედერაციას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონია. სოციალისტური მშენებლობა ჩვენს წინაშე აყენებს კიდევ უფრო რთულ ამოცანებს, რაც გამოიხატება მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მასში შემავალ ცალკე რესპუბლიკების ეკონომიურად გაძლიერებაში.

წყალთა მეურნეობის საკითხები, მთელი რიგი აქამდე გამოუსადეგრად მიტოვებული მიწების მორწყვა და ძვირფას ტეხნიკურ კულტურათა დამუშავება, ელექტროფიკაციის გაძლიერება, ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა და სამთამადნო სიმდიდრეთა დამუშავება,—აი ის მტკიცე საფუძველი, რომელზედაც სომხეთის მუშებმა და გლეხებმა უნდა ააგონ მუშაობის შემდგომი პრაქტიკა.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლის თავზე სომხეთის მუშები და გლეხები ფიცს სდებენ, რომ მოძმე რესპუბლიკებთან—საქართველოსა და აზერბეიჯანის მუშებთან და გლეხებთან ერთად ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს მთელი ამიერ-კავკასიის სამეურნეო ძლიერების ზრდას და სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტერ-გაბრიელიანი

სომხეთის გასაბჭოების 9 წლის თავზე

იხსნება რკინისგზის ახალი შტო

დღეს 29 ნოემბერს, სომხეთის გასაბჭოების ცხრა წლის თავზე სომხეთში იხსნება ახალი რკინისგზის შტო, რომელიც გაყვანილია ლენინაკანიდან—არტიკამდე.

შტოს სიგრძე უდრის 25 კილომეტრს. შტოს გაყვანა დაიწყო მიმდინარე წლის მაისში; ეხლა ის უკვე მზად არის ექსპლოატაციისათვის, თუმცა საამშენებლო სამუშაოები ჯერ სავსებით დამთავრებული კიდევ არ არის. საჭიროა ზოგიერთ გასამაგრებლების მოწყობა. სადგ. არტიკში ხაზის ზედანაგებობა დამთავრებულია. ყველა ხელოვნური ნაგებობანი სავსებით დამთავრებულია. დამთავრებულია აგრეთვე ყველა სამოქ. ნაგებობათა აშენება: სადგური, სამი საცხოვრებელი სახლი და ყაზარმები.

სატელეგრაფო კავშირი გაყვანილია.

შტოს გაყვანა ხარჯთაღრიცხვით უნდა დამჯდარიყო 3.150.000 მანეთი, მაგრამ ირკვევა, რომ იგი ჯდება ათი პროცენტით ნაკლები.

შტოს გაყვანის ყველა სამუშაოები საბოლოოდ დამთავრებული იქნება 1930 წლის გაზაფხულზე. მანამდე შტო გახსნილი იქნება დროებითი მოძრაობისათვის.

ქიმიური მრეწველობის პერსპექტივები საქართველოში

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქცია, ანუ სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის და მის მახვილ წარმოების საფუძველზე გადაყვანის აუცილებლობა გვიკარნახებს მეცნიერულ და მეცნიერულ-ტეხნიკური მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას. სწორედ აქ თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს ქიმიამ.

რა კონკრეტული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მშენებლობის დღევანდელ პროცესებში ქიმიას?

ქიმია საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნის ყველა ნედლეული რესურსი.

ქიმიური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი ხდება საწარმოო დანიშნულება მივცეთ ეგრედ წოდებულ ნარჩენ ნივთიერებათ.

ქიმია წარმოადგენს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში ტეხნიკური რევოლიუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ერთ-ერთი ცნობილი პროფესორი ქიმიკოსი **პრიანიშნიკოვი** იმის შესახებ, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია ქიმიურ მრეწველობას კერძოდ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში — ამბობს შემდეგს:

„დასავლეთში გამანოყიერებელ ნივთიერებათა ჯამი, რომელსაც იყენებენ, უკვე ორ მილიარდ ფუთს აღწევს. ეს ციფრი [illegible] ომამდე!. როდესაც ჯერ კიდევ სრულად არ შესულა ძალაში აზოტოვანი მრეწველობის ტეხნიკის თანამედროვე განვითარება, რომელიც შემდეგისათვის უფრო სწრაფი ნაბიჯებით წავა წინ“.

„საკმარისია ვთქვათ, რომ დასავლეთში გამოყენებული აზოტოვან ნივთიერებათა რაოდენობა 400 მილიონ ფუთს აღწევს. ეს დაახლოებით ნიშნავს ერთ ნახევარ მილიარდზე მეტ ფუთ პურის მიღებას იმასთან შედარებით, რაც შეგვიძლია მივიღოთ ამ გამანოყიერებელ ნივთიერებათა გარეშე, ერთ ნახევარი მილიარდი ფუთი პური — ეს უდრის ომის წინა დროის ჩვენს ორმაგ გატანას საზღვარგარეთ. ასე, რომ [illegible] თში აზოტოვანი მრეწველობის შემოღება თანაბარია ახალ ქვეყნების აღმოჩენასთან — კანადისა და არგენტინის მსგავსათ, რომელიც იძლევა პურის მეტ რაოდენობას და აგრეთვე აჭარბებს წინანდელ უფრო პროდუქტიულ ქვეყნების ექსპორტს“.

აქედან აშკარად სჩანს ქიმიური მრეწველობის განვითარების უდიდესი მნიშვნელობა. გერმანია, რომელსაც სამართლიანად ქიმიის ქვეყანას უწოდებენ — ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარების გიგანტური შედეგების ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს.

რაში გამოიხატება ეს შედეგები?

ამ შემთხვევაში უმთავრესია: 1. მიწის მოსავლიანობის ასი პროცენტით გადიდება, 2. სრული დაპყრობა სალებავ ნივთიერებათა რენტაბელური მეთოდების, 3. ფარმაცევტიულ წარმოებათა მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, 4. ნახშირის თხიერ მდგომარეობაში გადაყვანა (ნავთი), 5. ჰაერიდან მიღებულ აზოტისა და ამიაკის სინთეზი, 6. ნახშირიდან და კირიდან ძმრის სიმჟავის მიღება და სხ.

რას ამტკიცებენ გერმანიაში ქიმმრეწველობის განვითარების ეს მაგალითები? იმას, რომ ქიმიის საშუალებით შესაძლებელია ჯერ კიდევ მთელი რიგ გამოუყენებელ სხვადასხვა ნივთიერებათა გარდაქმნა სახელმწიფოებრივი მრეწველობის მიზნებისათვის, სახელმწიფოებრივი დოვლათისა და სიმდიდრის გადიდების და ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის.

რასაკვირველია, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელ საფეხურზე, სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში, ქიმიური მრეწველობის მოწყობის საკითხი მთელი თავისი მნიშვნელობით უნდა დაისვას პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე. ნივთიერებათა ქიმიური დამუშავება როგორც მეტალურგიაში, სამთო - მადნო საქმეში, ისე ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში მეტად ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ საფუძვლებზე სწრაფ განვითარებას.

მაგრამ სწორედ ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ჩვენში ბაზა, სათანადო პირობები ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის?

ეს საკითხი უეჭველად ძირითადი საკითხია, რადგან უდავოა, რომ ქიმიური მრეწველობის მოწყობა და მისი განვითარება ქიმიური ნედლეულისა და რესურსების გარეშე შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

ციფრების ენა კი ქიმიური მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირის მასშტაბით შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა:

1926-27 სამეურნეო წელს ქიმიური მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 660 მილიონ მანეთს იმ დროს, როდესაც 1922-1923 წლებში ასეთი უდრიდა 121 მილიონ მანეთს. ასე, რომ ოთხ-ხუთი წლის მანძილზე ქიმიური მრეწველობის პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 5 ნახევარჯერ. აბსოლუტურ ზრდასთან ერთად იგი იზრდება შედარებითაც, რის გამო ქიმმრეწველობის ხვედრითი წონა 1922-23 წელს შეადგენდა 4,7 პროცენტს, ხოლო 1926—27 წელს — 7,2 პროცენტს.

ამ ციფრებიდან სჩანს, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის კავშირში არსებობს ყველა პირობები.

რას ლაპარაკობს კერძოდ ამ მხრივ ჩვენი სინამდვილე?

პირველი — ჭიათურის მარგანეცი, მეორე — ტყიბულის ნახშირი, მესამე — ბარიტის მადნეულობა, მეოთხე — წამლის მცენარეულობათა კულტურა, მეხუთე — სატყეო მრეწველობა, მეექვსე — მიწის წიაღში მოქცეული უძრავი სიმდიდრენი და სხ. — მთავარი რესურსებია ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის ჩვენში.

თუ ავიღებთ ჭიათურის მარგანეცს, როგორც ვიცით, ხუთ წლედის გეგმის მიხედვით იქვე უნდა მოეწყოს ფერომარგანეცის დამუშავების საქმე. ამ მეტად სერიოზულ ამოცანის წარმატებით გადაჭრა, რაც სხვათა შორის წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკისაგან დამოუკიდებლობის ერთ მძლავრ ფაქტორთაგანს — შეუძლებელია, თუ იქვე არ ჩამოვაყალიბეთ მთელი რიგი ქიმიური მრეწველობის დარგები, როგორიცაა: კალიუმის პერმანგანატი, ქლორიანი მანგანუმი, გოგირდ-მჟავა მანგანუმი და სხვა.

ესევე ითქმის ტყიბულის ნახშირის შესახებაც.

რაც შეეხება სატყეო ქიმ - მრეწველობას, ეს საკითხი ჩვენში ჯერ ჯერობით სრულიად დაუმუშავებელია მაშინ, როდესაც არსებობს ყველა პირობები ამ მრეწველობის მოწყობისათვის. მიუვალ ადგილობის წიფელა, რცხვი, წიწვიანი ხეები და სხვა, რითაც მდიდარია საქართველო, სრულებით გამოუყენებელია ამ მიზნისათვის. და ეს იმ დროს, როდესაც ისინი წარმოადგენენ საუკეთესო ნედლეულს შემდეგი ქიმიური პროდუქტებისათვის:

1) კრიოზოტი, 2) კრიოზოტოლი, 3) ხის ძმარი — სუფთა და უბრალო, 4) გვაიაკოლი, 5) აცეტონი, 6) ფორმალინი, რომელიც იშვიათათ მოიპოვება საკავშირო რესპუბლიკების ბაზარზე, 7) სკიპიდარი, 8) კანიფოლი, 9) კუპრი და ასე შემდეგ.

არც ბარიუმის მარილების დამუშავების საკითხია სასურველად მოწესრიგებული ჩვენში. ქუთაისის ბარიტის მრეწველობა მხოლოდ ნედლეულს ამზადებს. **მაგრამ ამ ნედლეულისაგან ქიმ - პროდუქტების მიღების საქმე— სრულიად ხელუხლებელია.** რა პროდუქტების მიღებაა შესაძლებელი ქუთაისის ბარიტიდან. ასეთებია: 1) ქლორის ბარიუმი, 2) გოგირდოვანი ბარიუმი, 3) ნახშირბადოვანი ბარიუმი, 4) წყალბადის ზეჟანგი და სხვა და სხვა.

როგორც ვხედავთ, ქიმ - პროდუქტების რიცხვი, რომელიც შესაძლებელია დამზადდეს ჩვენი ადგილობრივი ნედლეულობისაგან, არც ისე მცირეა. **მათი მნიშვნელობა და დანიშნულება კი — განუსაზღვრელია.** უადგილობის გამო ჩვენ არ შევეხებით თვითეულ აღნიშნულ ქიმ - პროდუქტის მნიშვნელობა - დანიშნულებას. ვიტყვით მხოლოდ ზოგიერთზე.

ავიღოთ მაგალითად **გვაიაკოლი.** ეს პრეპარატი ცნობილია მედიცინაში როგორც საუკეთესო სამკურნალო საშუალება ჭლექით დაავადების დროს. ამ პრეპარატის ხმარება სამკურნალო პრაქტიკაში ძალზე **ხშირია**, რის გამოც იგი ან არ მოიპოვება ან საიმპორტო საგანს წარმოადგენს. ასევე ითქმის **კრიოზოტზეც. სკიპიდარი** — ყველასათვის ცნობილია, როგორც სამღებრო, ისე სამკურნალო პრაქტიკაში. **წყალბადის ზეჟანგი** — შეუცვლელი პრეპარატია ქირურგიაში, როგორც სადეზინფექციო საშუალება. იგი რამოდენიმე ათასი ფუთობით იხარჯება საბჭოთა კავშირში. იგივე იხმარება აგრეთვე საინჟენერო პრაქტიკაში.

ბარიუმის მარილების გამოყენება გავრცელებულია როგორც სასოფლო მეურნეობაში მავნებლებთან ბრძოლის წინააღმდეგ, სამღებრო პრაქტიკაში, ისე ანალიტიურ ქიმიასა და ლაბორატორიებში. **კუპრისაგან** — თანამედროვე ტეხნიკის მეშვეობით მზადდება ხის ძმარი, აცეტონი და ზემოდ დასახელებული გვაიაკოლი. ამასთანავე — კუპრი ფართედაა გამოყენებული ტყის მასალის იმ ნაწილების ლპობისაგან გადასარჩენად, რომელიც მიწაში მოთავსებულია (ასეთებია: ტელეფონისა და ტელეგრაფის ბოძები, რკინის გზის შპალები, ნავები, გემები და ასე შემდეგ). კუპრის ასეთი უდიდესი მნიშვნელობით აიხსნება ის, რომ ჯერ კიდევ 1911 წელს იგი უცხოეთში გატანილი იყო 2.101.000 ფუთის რაოდენობით, ანუ 35.000 ათასი ტონა. რაც უდრის 1.792.000 მანეთს.

ეხლა განვიხილოთ **წამლის მცენარეულობათა მრეწველობის** საკითხი. საქართველო როგორც გეოგრაფიულათ, კლიმატიურად, ისე ტოპოგრაფიულად წარმოადგენს საუკეთესო კუთხეს წამლის მცენარეულობათა კულტურის მოშენებისა და ველურად მოზარდ მცენარეულობათა მოგროვების საქმეში. მიუხედავათ ამისა, ეს საქმე ჯერ კიდევ **პირველ ყოფილ მდგომარეობაშია,** რაც შედეგად ერთის მხრივ იწვევს **ფარმაცევტიულ ბაზარზე მედიკამენტების სიმცირეს, მხოლოდ, მეორეს მხრით, უარყოფით დაღს ასვამს სახალხო ჯანმრთელობასა და მკურნალობას.**

მაგალითად კატაბალახა, გვიმრა, სათითურა და შროშანა ჩვენში უხვადაა გავრცელებული, მაგრამ ისინი მიჩნეულია უვარგის და გამოუსადეგარ მცენარეებათ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ მედიცინაში შეუცვლელ სამკურნალო პრეპარატებს და ძვირფასიან საიმპორტო საგნებს.

გარდა ამისა — ხშირია მდგომარეობა, როდესაც ჩვენ ოქროს ვალიუტით უცხოეთის ბაზარზე ვიძენთ ისეთ სამკურნალო ნივთიერებას თუ მცენარეულობას, რომლის დამზადება ან მოშენება თვით ადგილობრივადვეა შესაძლებელი და ღირსებითაც უკეთესიც იქნება.

ეს გარემოება ჩვენ გვავალებს წამლით მცენარეულობათა მოშენების, დამზადება - მოგროვების საკითხს სერიოზული ყურადღება მივაქციოთ. **და ეს იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ამ ხაზზე ქიმიო - ფარმაცევტიულ მრეწველობის განვითარების წინასწარ პირობას.**

რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად ამ მხრივ?

პირველი — უნდა გავაჯანსაღოთ წამლის მცენარეულობათა დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობა — ამ საქმეში პარალელიზმის მოსპობით.

მეორე — ადგილობრივად დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობაში მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა ავამოძრავოთ მშრომელი გლეხობის ფართე მასები, რომლებმაც კარგათ უნდა იცოდენ, **თუ რა მცენარეობა შეაგროვონ, როგორ შეაგროვონ, როგორ გაახმონ ისინი, სად ჩააბარონ ეს მცენარეულობა და რას მიიღებენ ყოველივე ამაში გასამრჯელოს.** ამისათვის საჭიროა: ა) მოსახლეობაში სათანადო სააგიტაციო მუშაობის ჩატარება, ბ) შესაფერისი ბროშურების გამოცემა და გავრცელება დ) ლექციების მოწყობა.

მესამე — დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ შემკრებთა მოსამზადებელი კურსები; უნდა იზრუნონ წამლის ბალახეულობის გახმობისა და შენახვის საქმეზე; ხელი მოჰკიდონ ისეთ წამლეულის მცენარეულობათა კულტურების გაშენებას, რომელზედაც მეტად დიდია მოთხოვნილება და რომლის მარაგი თანდათანობით ილევა; დააინტერესონ გლეხობა, რათა მან საკმაო ადგილი დაუთმოს თავის ბაღებსა თუ ბოსტნებში ხსენებულ კულტურების გაშენებას.

დასასრულ, **მეოთხე** — დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა ადგილობრივმა აფთიაქებმა, რომლებიც მჭიდრო კონტაქტში უნდა იმყოფებოდნენ ამ ორგანიზაციებთან და მათგანვე ღებულობდნენ საინსტრუქციო მასალებს წამლის მცენარეულობათა შესახებ.

ამრიგად — წამლის ნედლეულის დამზადების მხრივ — თუ ზემოდ დასახელებული ღონისძიებათა გატარება უზრუნველყავით — ჩვენში მეტად დიდი პერსპექტივები იშლება ქიმიური მრეწველობის განვითარების ხაზით.

მორიგი ამოცანაა — ენერგიულად მოვკიდოთ ხელი **წამლის ნედლეულის ეკონომიურ შესწავლა - გამოკვლევის** საქმეს. და ეს მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად განმტკიცების აუცილებლობა გვიკარნახებს — მოვახდინოთ წამლის ნედლეულის და ფაბრიკატების ექსპორტი და ამ მხრივ თვალსაჩინო ადგილი დავიკავოთ უცხოეთის ბაზარზე. მაგრამ, სხვათა შორის, არ კმარა მარტო ექსპორტი. საჭიროა წამლის ექსპორტშიც მივაღწიოთ რენტაბელურ, სტანდარტულ მდგომარეობას, რისთვისაც ყურადღება უნდა მიექცეს: 1) წამლის ნედლეულის თვისობრივ მხარეს, 2) გასავლის შემცირებას და 3) საბაზრო მოთხოვნილებათა შესწავლას.

რა ძირითადი ღონისძიებებია საჭირო, რომ მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ ჩვენი ქიმ - მრეწველობა?

თუ თვალს გადავავლებთ კვალიფიციურ მუშა ხელის მდგომარეობას საქართველოში — დავინახავთ, რომ ამ მხრივ ყველაფერი არაა რიგზე. არა გვყავს სათანადოთ მომზადებული უმაღლესი კვალიფიკაციის ქიმიკოსები, ხოლო რაც გვყავს, მათ სრულიად არ მოეპოვებათ საწარმოო პრაქტიკა. და ეს იმიტომ, რომ ქიმიურ მრეწველობას არ ექცეოდა საჭირო ყურადღება ძველი რეჟიმის დროს. სწორედ აი ამ მხრივ ოქტომბრის რევოლიუციამ მოახდინა ძირითადი გარდატეხა. ქიმიური მრეწველობის მოწყობისა და განვითარების საკითხი მოექცა საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების ცენტრში. მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ფართო გასაქანი. იგი ჯერ კიდევ ვერ იძლევა ქიმიკოსთა საჭირო კადრებს, რომლებიც [illegible] ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდა - განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში არც ხუთწლედი იძლევა მანუგეშებელ სურათს. ხუთწლედში ქიმმრეწველობას არა აქვს დათმობილი ის ადგილი, რაც გათვალისწინებული იყო ჩვენს საბჭოთა უკანასკნელ ყრილობის მიერ.

ქვეყნის ქიმიზაციის ასეთ დაუფასებლობის ფაქტს უნდა ვებრძოლოთ. უნდა გახსოვდეს, რომ **საკითხი ქიმიზაციის შესახებ არაა საკითხი მხოლოდ ქიმიური მრეწველობაზე. ეს არის საკითხი უფრო ფართო მასშტაბის, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მთელს სახალხო მეურნეობის განვითარებასთან.** ამოცანაა — რათაც უნდა დაგვიჯდეს — ამ თავითვე აღმოვფხვრათ ეს მეტად მნიშვნელოვანი დეფექტი, მოვახდინოთ ამ მხრივ მორიგი ძირითადი გარდატეხა, რამაც თავისი კონკრეტული გამოსახულება უნდა ჰპოვოს ხუთწლედში.

სწორედ ამის შედეგად უნდა მივაღწიოთ ქიმიკოსთა საჭირო კადრების შექმნას, ქიმიური ლიტერატურის გამოცემას, სამეცნიერო საკვლევ-ძიებო ინსტიტუტების, კაბინეტების და საქარხნო ლაბორატორიუმების ქსელის გაშლას, სათანადო ინჟინერ-ტეხნიკურ პერსონალის მომზადებას, რისთვისაც განსახკომმა უნდა გადასდგას პრაქტიკული ნაბიჯი და სხვ.

გარდა ამისა—ერთი წუთითაც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის გარემოება, რომ ქიმიზაციის წინაშე მდგარ ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს ამ საქმეში მასების აქტიურად ჩაბმას. ამ მიზნით კი საჭიროა: **მასებში ქიმიური ცოდნის ფართოდ გავრცელება** საერთო განმანათლებელი მუშაობისა და პროპაგანდის წარმოებით. ამ ღონისძიებათა გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ მოვამზადოთ სათანადო მუშათა კადრები და ქიმია, როგორც მეცნიერება — სავსებით გამოვიყენოთ ჩვენს პრაქტიკულ მშენებლობაში.

ეხლა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ—არსებობს თუ არა საქართველოში ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია გასწიოს პიონერობა ქიმიური მრეწველობის მოწყობა განვითარების საქმეში. ასეთი ორგანიზაცია არსებობს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ლაბორატორიული საგნებით წარმოებისა და მომარაგების სამმართველოს სახით, რომელიც ამ ორი-სამი დღის წინათ სახკომსაბჭოს დადგენილებით გადაკეთდა **ქიმ-კომბინატათ.**

ეს ორგანიზაცია წარმოიშვა ყოფილ სამეცნიერო საკვლევ-ძიებო ქიმიურ ტეხნიკურ ინსტიტუტის რეკონსტრუქციის შედეგად. მისი არსებობის ისტორია განისაზღვრება მხოლოდ 10—11 თვით.

რა შეადგენს მის ძირითად ამოცანებს და რის განხორციელება შესძლო მან ამ მოკლე დროის განმავლობაში?

შესწავლა და დამუშავება ყველა იმ ობიექტების, რომლებიც გამოსადეგია ქიმმრეწველობისათვის; მოწყობა ამავე ობიექტების დამამუშავებელ [illegible] ქარხნებისა და [illegible] რებში და მომარაგება ჩვენი წარმოებისა ქიმნაწარმოებით— აი ის ამოცანები, რომელსაც [illegible] ისახავს აღნიშნული ორგანიზაცია.

სწორედ ამ ამოცანების [illegible] შემდეგი:

პირველი — თამბაქოს მტვერი, რომელიც წარმოადგენს [illegible] თვის გამოსადეგარ ნარჩენ ნივთიერებას და რომელიც [illegible] მრეწველობასა და თამბაქოს [illegible] რამოდენიმე ათასი ფუთობით,—ზოგიერთ [illegible] მრეწველობას. ზოგიერთ [illegible] იმიტომ, რომ [illegible] — თამბაქოს მტვერი [illegible] ტარას, [illegible] და თაგვს. რაც იწვევდა [illegible] ხარჯებს.

ზემოხსენებულმა ორგანიზაციამ კი თავისი საკუთარი ძალებით [illegible] თამბაქოს მტვერისათვის საწარ

შემოდგომის თესვის წინასწარი შედეგები

(საქ. მუშგლეხინის მასალებიდან)

სუსტად ხელმძღვანელობდა შემოდგომის თესვის კამპანიას სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომისია.—„სოფლის კავშირი" უსისტემოდ აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით მომარაგების საქმეს.—გორის საოლქო კომისიამ ვერ გაუწია საჭირო ხელმძღვანელობა მუშათა სარემონტო ბრიგადებს

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია შემოდგომის თესვის კამპანიის მსვლელობა კახეთის, გორის და ქუთაისის ოლქებში, ბორჩალოს ყოფ. მაზრაში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში. გამოკვლევის ობიექტად აღებული იყო ოლქებისა და [illegible] უფრო მნიშვნელოვანი რაიონები. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ შემოდგომის თესვის კამპანია საერთოდ დამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს, არის სრული გარანტია, რომ თესვის წინასწარ დასახული გეგმა მთლიანად იქნება შესრულებული. ქვემოდ ჩვენ ვაქვეყნებთ უფრო დამახასიათებელ ცნობებს გამოკვლევის მასალებიდან.

კახეთის ოლქში

კახეთის საოლქო აღმასკომთან ჩამოყალიბებულია თესვის ჩამტარებელი ხუთეული. ყველა რაიონებში და სოფლებში გამოყოფილია თესვის სამეულები. ხუთეულს შედგენილი აქვს თესვის გეგმა რაიონებისა და თვეების მიხედვით. თესვის კამპანიაში მონაწილეობას იღებენ თემაღმასკომები, თემკომები, კომკავშირი, საკრედიტო ამხანაგობები, სამომხმარებლო კოოპერაცია, პროფმუშაკები, მასწავლებლობა და მოსწავლეები. მიუხედავად ამისა, გამოკვლევის დროს არც ერთ სათემო ორგანიზაციას შედგენილი არ ჰქონდათ თესვის გეგმა.

1928—29 წელთან შედარებით გეგმა ითვალისწინებს ნათესი ფართობის 15 პროცენტით გადიდებას, მაგრამ როგორც კოლმეურნეობები, ისე ღარიბი და საშუალო გლეხობა, მიუხედავად კულაკების წინააღმდეგობისა, ცდილობენ გაადიდონ ნათესი ფართობი 25—30 პროცენტით. კულაკების მიმართ გატარებულია განკარგულება დასთესონ მათი კუთვნილი ყველა მიწები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუთესავი მიწები კულაკებს ჩამოერთმევა და გადაეცემა კოლმეურნეობებს, მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხობას.

გამოკვლევის დროს ოლქში 101 ტრაქტორი იყო. არსებული მანქანა-იარაღებით ოლქის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია მხოლოდ 40 პროცენტით. აუცილებელია ტრაქტორების რიცხვის გადიდება 200-დან 250-მდე. ამასთანავე ადგილობრივი პირობებისათვის უფრო გამოსადეგია „ინტერნაციონალი"-ს და „ხოლტი"-ს სისტემის ტრაქტორების შემოზიდვა, როგორც უფრო მძლავრის.

ოლქში „სოფლის კავშირი"-ს მიერ შემოზიდულ მანქანა-იარაღების განაწილება ხდება საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით. მანქანების შემოზიდვა სწარმოებს უსისტემოდ. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მანქანა-იარაღები მიეღოთ თავის დროზე და საკმაო რაოდენობით. მაგალითად წნორიანის საკრედიტო ამხანაგობამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში გამოითხოვა 100 ცალი გუთანი „სოფლის კავშირმა" იკისრა ვალდებულება, ჩაებარებინა ეს გუთნები აპრილში, ან მაისში, მაგრამ ამას წინად ამხანაგობამ მიიღო „სოფლის კავშირიდან" ცნობა, რომ 100 გუთნის ნაცვლად გადაუგზავნის ამხანაგობას 10 ცალ გუთანს. ცნობაში ისიც კი არ იყო აღნიშნული, თუ როდის გადაგზავნიდა მას. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა მანქანა-იარაღები იგზავნება თესვის კამპანიის დამთავრების შემდეგ და უქმად აწყვია საწყობებში. ტრაქტორების მომარაგება საწვავი მასალით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

საშემოდგომო თესვისათვის საჭიროა 719 ათასი ფუთი ხორბალი და 33 ათასი ფუთი ქერი. ოლქში თესლის ეს რაოდენობა მოიპოვება, თუ ის სხვა რაიონებში არ იქნება გადაგზავნილი.

1928—29 წელში ცენტრის მიერ გამოყოფილი იყო 25 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი მუშა-საქონლის შესაძენად. საოლქო აღმასკომმა ეს თანხა გაანაწილა რაიონების მიხედვით და თანხები გამოყენებულ იქნა დანიშნულებისამებრ.

მთელ ოლქში არის მანქანა-იარაღების შემკეთებელი ერთი სახელოსნო წნორის-წყალზე. სახელოსნო შესაფერისადაა მოწყობილი და სამუშაოთიაც დატვირთულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს შეკეთების ხანგრძლივობა და ფასების სიდიდე, რის შესახებ ბევრი საჩივრები არსებობს.

თესლის გაწმენდას და შეწამვლას გამოკვლეულ რაიონში კოლმეურნეობები და მშრომელი გლეხობა ატარებს მთლიანად, ხოლო კულაკები გაურბიან ამ ღონისძიებას. ყველა კოლმეურნეობები თესენ მხოლოდ გარკვეულ და შეწამლულ თესლს. გურჯაანში, საოლქო აღმასკომთან მოწყობილი იყო მოკლევადიანი აგრო-კურსები, რომელიც დაამთავრა 120 გლეხმა.

გორის ოლქში

საშემოდგომო თესვის გეგმა გორის ოლქში, შედგენილი იყო 13 ივნისს, მაგრამ დარაიონების ატარებასთან დაკავშირებით შედგენილი გეგმა გადათვალიერებულ იქნა. საბოლოო გეგმის შემუშავება დამთავრდა 20 სექტემბერს. არსებობს აგრეთვე თესვის სარაიონო და სასოფლო გეგმები, მაგრამ სასოფლო საბჭოების გეგმები საოლქო კომისიას არ განუხილავს და არც არავითარი მითითებები ამ მიმართულებით არ მიუციათ. მიწადმოქმედების განყოფილების და სტატისტიკური ბიუროს მიერ შედგენილი გეგმა განიხილა და დაამტკიცა აგრონომიულმა თათბირმა საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელთა მონაწილეობით. თესვის კამპანიაში მონაწილეობის შესახებ თავიანთი გეგმები უნდა შეედგინათ აგრეთვე კოოპერაციას და პროფკავშირებს, მაგრამ თესვის საოლქო კომისიას ამის შესახებ კოოპერაციისათვის არაფერი უთქვამს და ამ უკანასკნელს არც გეგმა შეუდგენია.

როგორც თბილისიდან, ისე ხაშურიდან საშემო სოფლებში მიემგზავრებოდნენ მუშათა ბრიგადები, მაგრამ მათი მიზანშეწონილად გამოყენებისათვის არავითარი ხელმძღვანელობა არ სწარმოებდა საოლქო თესვის კომისიის მიერ. გორის პროფბიურომაც მოაწყო მუშათა სარემონტო ბრიგადები, მაგრამ მათი მუშაობაც სტიქიურად და ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარეობდა. ბრიგადები ზოგჯერ იგზავნებოდა ისეთ რაიონებში, სადაც ამის საჭიროება არ იყო.

1928 წლის შემოდგომაზე ოლქში დაითესა 44.388 ჰექტარი, ხოლო 29 წელში გეგმით გათვალისწინებულია 47.445 ჰექტარის დათესვა. ე. ი. ნათესი სივრცის გაფართოება 6,8 პროცენტით.

თესვის კამპანიის არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, სწარმოებს თუ არა ოლქში ქვრივ-ობლების და წითელარმიელთა ოჯახების მიწების მოხნა საზოგადოებრივი ძალებით. გლეხკომს არავითარი გეგმა არ გაჰქონია თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. გლეხკომმა არ იცის, თუ რამდენი ხორბალია მის განკარგულებაში ღარიბ მთესველებზე დასარიგებლად. არც თესვის კომისიას შეუწუხებია თავი მოეთხოვა ასეთი ცნობები გლეხკომისაგან.

მანქანა-იარაღების შემოზიდვას აწარმოებს „სოფლის კავშირი". თვითეული საკრედიტო ამხანაგობა დამოუკიდებლად უგზავნის მოთხოვნილებას „სოფლის კავშირს". თესვის კომისიას მანქანების შემოზიდვის მთლიანი გეგმა არ გაჰქონია. „სოფლის კავშირი" თვითეულ საკრედიტო ამხანაგობასთან სდებს ხელშეკრულებას და ეს უკანასკნელნი საოლქო აღმასკომს არ აწვდიან ცნობებს შემოზიდულ მანქანა-იარაღების შესახებ. დამახასიათებელ მაგალითს მანქანების უგეგმოთ შემოზიდვის შესახებ წარმოადგენს შემდეგი ფაქტი: გორის საკრედიტო ამხანაგობამ თავისი შეხედულებით გადასცა სხვა საკრედიტო ამხანაგობას 29 სხვადასხვა ხარისხის სახნისები, სალეწი მანქანა და ერთი ტრაქტორი. სამწუხაროდ ოლქში არ არის ისეთი ორგანო, რომელიც შეძლებდა მოეწესრიგებინა მანქანა-იარაღების შემოზიდვის და განაწილების საქმე. ასეთივე მდგომარეობაა მანქანების შეკეთების და მუშათა ბრიგადების გამოყენების საქმეშიაც.

არც საწვავი მასალის მიწოდების საკითხია სათანადოთ მოგვარებული. ქარელის რაიონში სოფ. ბოლოში საწვავი მასალის უქონლობის გამო 15 დღის განმავლობაში ტრაქტორი უქმად იდგა. როგორც გამოირკვა, იქ ნავთის ნაცვლად გადაგზავნილი იქნა ბენზინი. ხშირად ნავთი იგზავნება დაბალი ღირსების და ფუჭდება ტრაქტორების მუშაობა.

თესვისათვის მიღებულია 20.000 ფუთი თესლი. ამ რაოდენობიდან 10.500 ფუთი განაწილდა კოლმეურნეობებს შორის, 9.500 ფუთი ინდივიდუალურ მეურნეობებზე.

ადგილობრივ სათესლე ფონდის შექმნის მიზნით თესვის კომისიამ გამოჰყო 70 ჰექტარი მიწა.

მუშა-საქონლის შესაძენად კოლმეურნეობებს მიეცა 10.500 მანეთი, ხოლო ღარიბთა მეურნეობებს 9.500 მანეთი. ოლქში არსებობს სარემონტო სახელოსნო, რომელშიაც მუშაობს 9 კაცი.

თესლის გაწმენდა წარმატებით მიმდინარეობს. გადაწყვეტილია დასათესი თესლის 80 პროცენტის გაწმენდა.

შედგენილია აგროდახმარების გეგმა როგორც ოლქის, ისე რაიონების მასშტაბით. აგროდახმარების და მოსავლიანობის გადიდების საქმეში შესაძლებლობის ფარგლებში ბევრი რამ არის გაკეთებული. ყველა რაიონებს, სასოფლო საბჭოებს და თვით ცალკე სოფლებსაც აქვთ აგრონომიული ღონისძიებების კონკრეტული გეგმები.

კონტრაქტაციის გეგმა 1929 წელში გადიდებულია 34 პროცენტით და 1923 ჰექტარის ნაცვლად უდრის 2.650 ჰექტარს. მაგრამ კონტრაქტაციის განხორციელება ოლქში სუსტად მიმდინარეობს. გლეხობაში ამ მიმართულებით არ უწარმოებიათ სათანადო ახსნა-განმარტება.

თესვის კამპანიის დეფექტებში აღსანიშნავია თესვის კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმის, განკარგულების და ცირკულიარების შესრულების შეუმოწმებლობა, ჩატარებულ მუშაობის ანგარიშის უქონლობა, მუშათა ბრიგადების გეგმიანად გამოუყენებლობა, მანქანა-იარაღების შემოზიდვის და განაწილების საქმეში უსისტემობა და სხვა, რომელთა გამოსასწორებლად საჭიროა ენერგიული ზომების მიღება თესვის ჩამტარებელ საოლქო კომისიის მიერ.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში

შემოდგომის თესვის ჩამტარებელი საოლქო კომისია გამოყოფილია აგვისტოში, ხოლო სარაიონო კომისიები არსებობდა რვა რაიონში. საოლქო კომისიაში შედის 5 წევრი, ამათგან ორმა გამოკვლევის ჩატარების დროს განაცხადეს, რომ მათ დღემდე არც კი იცოდნენ, შედიოდნენ თუ არა თესვის კომისიაში. კომისიის წევრებიდან გარდა აგრონომისა, არც ერთი მათგანი თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებდნენ. თესვის სამეულებთან ცოცხალი კავშირი არ არსებობს. კომისიას აქვს თესვის გეგმა, მაგრამ ამ გეგმიდან, თვით კომისიის წევრთა განცხადებით გამოკვლევის დრომდე მხოლოდ 15 პროცენტი იყო განხორციელებული, ხოლო სინამდვილეში კი გაცილებით ნაკლები. კომისიის გეგმაში არა აქვს გათვალისწინებული ნათესი სივრცის გადიდება. კომისიამ არ იცის დასათესი სივრცის რაოდენობა და ამის გამო შეუძლებელი ხდება გამოკვლევა, თუ რომელ რაიონში რამდენადაა შესაძლებელი ნათესის გაფართოება. თუ რამდენია დათესილი, ისიც გამოურკვეველია. კომისიის წევრთა სიტყვით თესვა წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ სინამდვილეში მათ ამის შესახებ არაფერი იციან. ორი-სამი რაიონის გამოკვლევით, სათესლე მასალა გამოკვლევის დროს კიდევ არ იყო დარიგებული.

გეგმით გათვალისწინებული იყო 10 ტრაქტორის შემოზიდვა, სინამდვილეში არც ერთი არ იყო მიღებული. 12 ტრიერის ნაცვლად მიიღეს 3, რკინის სახნისები 600 ნაცვლად 60. თესვის კომისიას არავითარი ნაბიჯები არ გადაუდგამს გეგმით გათვალისწინებულ მანქანა-იარაღების შემოსაზიდათ. თესლის გასაწმენდი პუნქტი არ იყო გახსნილი.

სათესლე ხორბალი შემოზიდული იქნა დაგვიანებით, თუმცა ის გორში თავის დროზე მიიღეს. სათესლე ფონდის შესაქმნელად არავითარი ზომები არ არის მიღებული, ხოლო შემოზიდული სათესლე მასალა კომისიის განცხადებით ადგილობრივი პირობებისათვის გამოუსადეგარია.

გეგმით გათვალისწინებულია თანხების განაწილება მუშა-საქონლის შესაძენად, მაგრამ ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯი გადადგმული არ არის და თანხები უქმად ძევს 13 სექტემბრის შემდეგ ცხინვალის საკრედიტო ამხანაგობაში. 11 სექტემბერს საკრედიტო ამხანაგობას აცნობეს სათესლე ხორბლის მიღების შესახებ, მაგრამ საკრედიტო ამხანაგობამ არ იცოდა, თუ რა დანიშნულებისათვის იყო გადმოგზავნილი ხორბალი. ამის შესახებ არც კომისიას უცნობებია რამე ამხანაგობის გამგეობისათვის. ამის გამო 11 სექტემბერს მიღებული ხორბალი გამოკვლევის დროს არ იყო გადაგზავნილი დანიშნულებისამებრ. ოქონაში გაგზავნილი ორი ვაგონი ხორბალი ქარელის სადგურში გადმოუტვირთავი იყო და ვაგონების გაცდენისათვის უნდა გადეხადათ დამატებითი ხარჯები. ჯავაში 600 ფუთი ხორბალი ეწყო საწყობში გაუნაწილებელი, სანამ ამ საქმეში არ ჩაერია პარტიული კომიტეტი. კოლმეურნეობები ღარიბ გლეხობას არ უწევენ არავითარ დახმარებას. გამოკვლევის დროს არ იყო მოწყობილი სარემონტო სახელოსნო, არაა საკმაო ტრაქტორისტები, ხოლო არსებულნიც კვალიფიკაციით დაბლა სდგანან. თესლის გაწმენდა და შეწამვლა სწარმოებს, მაგრამ სუსტად, თუ რამდენია გაწმენდილი, გამოურკვეველია. აგროდახმარების საქმე მოუწესრიგებელია ძალების სიმცირის გამო. ვინც არის, ისინიც არ არიან სათანადოთ გამოყენებული.

აღსანიშნავია პარტიული კომიტეტის მიერ მიღებული ღონისძიებანი, რომელმაც თავის დროზე მიუთითა კომისიას მუშაობის გაცხოველების აუცილებლობაზე და მისცა შესაფერი დირექტივები, მაგრამ ამ დირექტივების შესასრულებლად კომისიას თავი არ შეუწუხებია.

მოო ხასიათი მიეცა, კერძოდ თამბაქოს მტვერის დამუშავების შედეგად მიღებულ თამბაქოს ექსტრაქტი და წმინდა ნიკოტინი, რომელიც შეუცვლელ და რენტაბელურ სამკურნალო ნივთიერებას წარმოადგენს სასოფლო მეურნეობაში (მებაღეობა, მებოსტნეობა, კანაფის მეურნეობა და სხვ.) მავნებლების საწინააღმდეგოთ და მეჯოგეობა - მეცხვარეობაში „ქარშის" (დაავადება, რომელიც კლავს საქონელს) წინააღმდეგ.

8—10 თვის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ გადამუშავებულია დაახლოებით 50.000 კილოგრამამდე თამბაქოს მტვერი და მიღებული 15—20 ათას კილოგრამამდე თამბაქოს ექსტრაქტი, რითაც დაკმაყოფილებულ იქნა მთელი ამ.-კავკასიის ბაზარი. რაც შეეხება ნიკოტინს, მიუხედავად იმისა, რომ იგი რენტაბელური საექსპორტო საგანია — სათანადო თანხების უქონლობის გამო — მისი წარმოების მოწყობა ჯერჯერობით შეჩერებულია.

მეორე—სივუხა—საასპირტო - სარექტიფიკაციო და ღვინის სახელ მრეწველობის ნარჩენი ნივთიერება. უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში სივუხა წარმოადგენდა საექსპორტო საგანს ამიერ-კავკასიიდან. ექსპორტი ხდებოდა უცხოეთის იაფ-ფასებში. უცხოეთიდან კი შემოგვქონდა სივუხის გადამუშავების პროდუქტები ამილოაცეტატის, ამილის, პროპილის, იზობუტილის, სპირტების და მსხლის ესენციის სახით, რომლებიც გვიჯდებოდა 300-დან 400 პროცენტამდე უფრო ძვირი. [illegible] საკუთარი წარმოების მოწყობის შემდეგ.

სივუხის გადამამუშავებელ ქარხანაში, რომელიც ერთად-ერთი და პირველი ქარხანაა მთელს ამიერ-კავკასიაში, დამზადებულ იქნა 20-დან 25 ათას კილოგრამამდე პროდუქტი, ღირებული 40—60 ათას მანეთამდე. ამ დამზადებული პროდუქტით შესაძლებელი ხდება არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ ნაწილობრივ რუსეთის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მესამე. —ლეში (სპილო მიზარა) წარმოადგენს ტყავის მრეწველობის ნარჩენ ნივთიერებას, რომელიც [illegible] ზედმეტ ბარგად აწვა ტყავის მრეწველობას. ამჟამად კი, როდესაც შესაძლებელი გახდა მისი გადამუშავება — იგი შეიქნა ტყავტრესტის ერთ-ერთ შემოსავლის წყაროდ.

ლეშიდან უკვე მზადდება სადურგლო წებო, რომელიც დეფიციტური საქონელია საკავშირო ბაზარზე. ლეშის გადასამუშავებელ ქარხანაში 5—6 თვის მანძილზე გადამუშავებულია დაახლოებით 140.000 კილოგრამი სველი ლეში და მიღებულია 15—20 ათას კილოგრამამდე სადურგლო წებო—15—20 ათასი მანეთის ღირებულებით.

ამ გზით შესაძლო გახდა ნაწილობრივად შენელება იმ კრიზისის, რომელიც გამოწვეულია წებოს საკმაო მარაგის უქონლობით.

მეოთხე. — სამმართველოს მიერ უკვე დამუშავებულია საკითხი აბრეშუმის მრეწველობის ნარჩენის (ჭუჭრის) გამოყენება — ექსპლოატაციის შესახებ. ჩატარებულ ქიმიურ გამოკვლევათა მიხედვით — აღნიშნული ნარჩენი იძლევა 13-დან 20—22 პროცენტს ზეთს. მაგრამ სათანადო თანხების უქონლობის გამო ეს საკითხი და საამისო აპარატების მოწყობის საქმე ჯერჯერობით შეჩერებულია.

მეხუთე. — მოწყობილია სახამებლის ქარხანა გაფუჭებული პურის ფქვილის გამოსაყენებლად. ამ ქარხანას აქვს შესაძლებლობა თვეში გადაამუშაოს 300—400 ფუთი გაფუჭებული ფქვილი, მაგრამ უსარგებლო [illegible] და უწყებრივი თავმოყვარეობის შედეგად — შეუძლებელი შეიქნა ამ საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება.

ყოველივე ზემონათქვამი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სათანადო ენერგიის გაწევით სულ მოკლე დროის მანძილზე შესაძლებელი გახდა მთელ რიგ მრეწველობათა გამოუსადეგარ ნარჩენების ექსპლოატაციის ფართოდ დაყენება და მით ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის მტკიცე საფუძვლების ჩაყრა.

გარდა ამისა— ხსენებულ ორგანიზაციის საქმიანობაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია ქიმიო-ფარმაცევტიულ პროდუქტების დამზადებას. ამათ შორის მთავარია: 1. ფორმალინი. 2. ქიმიურად წმინდა ნიშადურის სპირტი. 3. ქლორის კალციუმი, 4. სოდა პოტაში, 5. ნახშირ-მჟავა მაგნეზიუმი, 6. აკუმულიატორის სითხე და სხვ. მათი საერთო პროდუქცია 8—10 თვის განმავლობაში უდრის 25—30 ათას კილოგრამს —ღირებულს 10—15 ათასი მან.

ქიმმრეწველობის იმ დარგებთან ერთად, რომელთა შესახებ ზემოდ ვილაპარაკეთ — საყურადღებოა აგრეთვე ჩვენი ბუნებრივი ნედლეულის გამოყენების საკითხიც.

მიუხედავად იმისა, რომ სათანადო კვალიფიციურ ძალების უყოლობის გამო ძალზე შეფერხებულია, ამ ხაზზე გეოლოგიური გამოკვლევების საქმე— ჯერჯერობით მაინც შესაძლებელი შეიქნა თაბაშირის (ГИПС) და ალებასტრის წარმოების საკითხის დამუშავება.

ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადადგმულია, ეწყობა წარმოებაც,— მაგრამ სახსრების ნაკლებობა ამ საქმესაც თავის უარყოფით დაღს ასვამს.

ამრიგად: საქართველოში ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის პირველი ნაბიჯი გადადგმულია, რომელმაც უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი.

წარმატებები, რომელიც გვაქვს ამ საქმეში, მეტად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ მათ ჩვენ მივაღწიეთ ძალზე მძიმე და რთულ პირობებში.

საწარმოო იარაღების და საბრუნავ თანხების უქონლობა — ერთის მხრივ, საკმაო კვალიფიციურ მუშახელის უყოლობა და საკუთარი გამოუცდელობა —მეორის მხრივ, ზოგიერთ ორგანოებისაგან სრული უყურადღებობა და ნაწილობრივი ხელის შეშლაც - კი მესამეს მხრივ— აი ის დამახასიათებელი მომენტები, რომელთა წინააღმდეგობაში იზრდებოდა და იზრდება საქართველოს ქიმ-კომბინატი.

ამოცანაა: რათაც უნდა დაგვიჯდეს დავძლიოთ ის წინააღმდეგობანი, რომ მტკიცე ბაზა შევქმნათ ჩვენში ქიმ-მრეწველობას.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ამ თავითვე აღმოვფხვრით ქვეყნის ქიმიზაციის დაუფასებლობას ჩვენში და ამასთან დაკავშირებით, შევქმნით ქიმიკოს - სპეციალისტთა კადრებს. ქიმ-მრეწველობაში დიდ ზრუნვით კაპიტალური დაბანდებებზე, ამ საქმის გარშემო დავრაზმავთ მთელ [illegible] საზოგადოებრივ აზრს; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სისტემატიურად შევისწავლით და აღვრიცხავთ ქიმმრეწველობისათვის საჭირო ბუნებრივი ნედლეულს, მრეწველობათა ნარჩენებს და გამოვიყენებთ ქიმიურ მრეწველობაში დაწინაურებულ ქვეყნების პრაქტიკას და გამოცდილებას, — შეგვიძლიან გადავჭრათ ის დიდი ამოცანა, რომელსაც ქიმიური მრეწველობის განვითარება [illegible] ჩვენში.

ვ. ანდღულაძე.

ავაწიოთ გამომგონებელთა კვალიფიკაცია

ბიუროკრატიზმი გამოგონებათა ხელისშემწყობ საგზაო ბიუროში

გამომგონებლობა ხელმძღვანელობის გარეშე

საქ. ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულ გამომგონებლობის ბიუროში ერთი წლის განმავლობაში შეტანილია 200-ზე მეტი განცხადება ახალი გამოგონების შესახებ. გამოგონებათა უმრავლესობა გადაიგზავნა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულ გამოგონებათა კომიტეტში, რომელმაც საუკეთესო გამოგონებისათვის უკვე გასცა სათანადო პატენტები.

საქ. ს. მ. ს. გამომგონებლობის ბიუროში შედიან ს. მ. უ. ს. და პროფსაბჭოს წარმომადგენლები, მაგრამ ბიუროს დღემდე არა ყავს მუდმივი მომუშავე, რაც ხელს უშლის ბიუროს საქმიანობის ფართოდ გაშლას.

ამჟამად უკვე სდგას საკითხი ბიუროში განთავისუფლებული მუდმივი მომუშავის გამოყოფის შესახებ. გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიურომ თავისი მიმდინარე ხარჯების დასაფარავად მიიღო 10.000 მანეთი. ეს თანხა ხმარდებოდა უმთავრესად ღარიბ გამომგონებლებისაგან წარმოდგენილი გამოგონებებისათვის სათანადო ნახაზების შედგენას და ზოგიერთ გამოგონებათა გამოცდას.

გასულ წელს ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭოსთან მოეწყო გამოგონებათა განმახორციელებელი ცენტრალური ბიურო, რომელიც გაიღებს საჭირო თანხებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოგონებების განსახორციელებლად.

როგორც სჩანს გამომგონებლობის ბიუროში მიღებული ცნობებით, მთელი რიგი საწარმოები არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას მუშათა გამომგონებლობას. წარმოებებთან შექმნილი ფონდები, საიდანაც ჯილდო უნდა ეძლეოდეს გამომგონებლებს, იხარჯება მიზანშეუწონლად და ზოგიერთ შემთხვევაში არა პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

განვლილი ერთი წლის განმავლობაში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც რომელიმე მნიშვნელოვანი გამოგონებისათვის გამომგონებელს ეძლეოდა უმნიშვნელო ჯილდო, ხოლო მეორეს მხრივ უმნიშვნელო გამოგონებისათვის ეძლეოდათ დიდი ჯილდო.

აღსანიშნავია, რომ გამომგონებელთა უმრავლესობას შეადგენენ დაზგის მუშები, შემდეგ ინჟინრები, უმუშევრები, ხოლო სულ მცირე პროცენტს—სპეციალისტები.

ს. მ. უ. ს. გამომგონებლობის ბიუროს გაძლიერებისა და რეორგანიზაციის შემდეგ მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები, რომ არ დაიკარგოს და განაღდებულ იქნეს მუშა-გამომგონებლების ყველა ის გამოგონება, რომელიც წარმოდგენილი იქნება ბიუროში და რომლის განხორციელებაც, გამოიღებს რაიმე ნაყოფს ჩვენი მრეწველობისათვის.

დ.

გამოგონების საქმე რკ. გზაზე

მიმდინარე წლის მარტში მოხდა რკინის გზის საგზაო გამოგონებათა ბიუროს რეორგანიზაცია, რის შემდეგ ადგილებზე ჩატარდა გამოგონებათა ხელისშემწყობი კომისიების გამოკვლევა, მიეცათ ადგილებს სათანადო ინსტრუქციები და სხ.

გამოგონებათა ინტენსიობა იზრდება, მიმდინარე წლის მარტიდან—1 ოქტომბრამდე ბიუროში შემოსულია 294 წინადადება (თვეში—42), აქედან მოწონებულ იქნა 15 პროცენტი, დაიწუნეს 4 პროც., გამოცდაშია—12 პროც. გადაეცა გზათა კომისარიატს—11 პროცენტი და გასინჯვა-დამუშავების პროცესშია—19 პროცენტი.

რეორგანიზაციის შემდეგ წინადადებათა განხილვის საშუალო სისწრაფემ მიაღწია—12 დღეს. მართალია დაჩქარებულ იქნა წინადადებათა განხილვა, მაგრამ გზათა კომისარიატის მიერ დაწესებულ ნორმას (14 დღე) მაინც ვერ მიაღწია.

გასულ 1928—29 სამეურნეო წელს გამოგონებებისათვის გადადებული ყოფილა 9.216 მანეთი. აქედან უმეტესი ნაწილი (3.980 მან.) დახარჯულა ჯილდოების გაცემაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფორგანიზაციები და განსაკუთრებით ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის საგზაო ბიურო, ძალიან სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ გამომგონებლობის საქმეს. ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექცია არავითარ პრაქტიკულ მითითებებს არ აძლევს გამომგონებლობის ბიუროს. მისი წარმომადგენელი ძალიან ხშირად არ ესწრება ბიუროს სხდომებს.

თვით ინჟენერ-ტეხნიკოსები კი გამომგონებლობისადმი იჩენენ ერთგვარ კონსერვატიულ და ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას. ისინი არ ეხმარებიან გამომგონებლობის ბიუროს წინადადებათა გატარების საქმეში. საზოგადოებრივი დატვირთვის სახით მუშაობას ამ საქმეში ისინი გაურბიან. თუ გასამრჯელოს მისცემთ იმუშავებენ.

ჯილდოების გაცემის სისტემაც ვერ არის მოწესრიგებული რკინის გზებზე. ჯილდოებს აძლევენ მხოლოდ იმ გამომგონებლებს, რომელთა პროექტები მოწონებული და მიღებულია. ასეთი სისტემა ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად, რადგან იგი საშუალებას არ იძლევა დავაინტერესოთ და წავაქეზოთ გამომგონებელთა ფართო მასები.

დიდად უშლის გამომგონებლობის საქმეს ხელს ის გარემოება, რომ გამომგონებლობის ბიუროს არ მოეპოვება ცალკე ბინა. ჩვენ ვიცით, რომ ყოველ გამომგონებელს სურს საიდუმლოდ შეინახოს თავისი გამოგონება, მისი ცხოვრებაში გატარებამდე. ეს კი შეუძლებელი ხდება, რადგან აქ სადაც გამომგონებელმა უნდა განმარტოს თავისი გამოგონების შინაარსი და მნიშვნელობა, მრავალი ხალხი მუშაობს და გამომგონებელს ეშინია არავინ გაეცნოს მის საიდუმლოებას. ამასთანავე არ არის კარგად დაცული გამოგონებათა პროექტები და ნახაზები. ყოფილა შემთხვევა პროექტების დაკარგვისა.

ყოველივე ეს და მრავალი კიდევ სხვა წვრილმანი მომენტები, მოითხოვენ ჯეროვან ყურადღების მიქცევას, როგორც გზის ადმინისტრაციის, ისე პროფორგანიზაციის და ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების მხრივ. შეერთებულის ძალით მათ ხელი უნდა შეუწყონ ამ საქმეს. უმთავრესი ყურადღება ამ მხრივ უნდა მიექცეს გამომგონებელთა მომზადებას, მათ შორის ტეხნიკური უცოდინარობის ლიკვიდაციას და მათი კვალიფიკაციის აწევას.

ტონი.

ბიუროკრატიზმი გამომგონებელთა დახმარებაში

(ხაშური)

სადგურ ხაშურის ტელეფონის მოხელე ალექსანდრე ხიზაკაძეს აქვს ორი გამოგონება: აგურის დამამზადებელი მანქანა და ნავთსადენის და [illegible] მილების თვითგამწმენდავი და თვითშემღებავი მანქანა. მიმდინარე წლის თებერვალში ხაშურის ერთ-ერთ საწარმო თათბირზე ცენტრის წარმომადგენლის თანდასწრებით, განხილულ იქნა ამხ. ხიზაკაძის განცხადებები, რომელშიაც გამომგონებელი მოითხოვდა რკ. გზის ხარჯზე ნახაზების გადაღებას. თათბირი შეპირდა დაკმაყოფილებას. მეორე დღეს ხიზაკაძემ მიმართა ხაშურის შეერთებულ ადგილკომს დახმარებისათვის. უკანასკნელმა გაგზავნა ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის თავმჯდომარესთან, აქედან გზავნიან საკავშირო დარგის მეორე უბანში, სადაც მოწვეული იქნა მუშა-გამომგონებელთა დამხმარე კომისიის სხდომა ხიზაკაძის თანდასწრებით. სხდომამ დაადგინა, რომ რადგან არცერთი გამოგონება არ ეხება ამ დარგს, შესდგეს სქემა და გადაიგზავნოს საგზაო გამოგონებათა ბიუროში.

ხიზაკაძემ თავისი გამოგონება და განცხადება ჩამოიტანა გამოგონებათა ბიუროში აქედან იწყება გამომგონებლის ტანჯვის გაათკეცება. გადის ორი კვირა, პასუხი არ არის. ბოლოს როგორც იქნა, ერთი თვის შემდეგ განიხილეს განცხადება, მაგრამ საბოლოო პასუხი მაინც არ მისცეს გამომგონებელს. აგურის ქარხნის მანქანა გადასცეს ს. მ. უ. ს., ხოლო მილების თვითშემღებავი კი ნავთსადენის საექსპორტო კომისიის შესამოწმებლად. გულგატეხილი ხიზაკაძე იძულებული გახდა წაეღო ყოველივე ნახაზები, რადგან არ ჰქონდა იმედი, რომ როდესმე ეღირსებოდა განხილვა მის გამოგონებებს.

გამომგონებლის განმარტებით მის მიერ გამოგონილი მანქანით 30 მუშა წელიწადში დაამზადებს 100 მილიონ აგურს. ამჟამად კი საუკეთესოთ მოწყობილი ქარხანა ამზადებს მხოლოდ 50 მილ. აგურს წლიურად და საჭიროებს მეტ მუშა-ხელს. მეორე გამოგონებაც ფრიად მნიშვნელოვანია. არც ერთი სახელმწიფოს ასეთი მანქანა არა აქვს. იგი იძლევა დიდ ეკონომიას.

ამის გარდა ხიზაკაძეს აქვს კიდევ ორი გამოგონება, მაგრამ ყველა გამოგონებები სახლში უყრია, რადგან არავინ ყურადღებას არ აქცევს. ასე ახალისებს რკ. გზის გამოგონებათა საგზაო ბიურო მუშებს.

დ. ზ.

მუშათა წინადადებები უყურადღებოთ

თბილისის დეპოს ზეინკალ ნესტორ რუხაძის გამოგონება დიდი ხანია გატარებულია ცხოვრებაში, მაგრამ ამ გამოგონებისაგან მიღებულ ეკონომიის გამოკვლევა დღემდე ვერ შესძლო რკინის გზის სასამართლომ. საგზაო გამოგონებათა ბიუროს ერთად ერთ სხდომაზე გამოირკვა, რომ რუხაძის წინადადების განხორციელებამ რკ. გზას მისცა ყოველ წლიურად 2.553 მანეთი. ეს თანხა გადირიცხა წევის დარგის მეორე უბნის რაციონალიზაციის ფონდში. ამხ. რუხაძეს კი მიეცა 350 მანეთი ჯილდო. ეს წინადადება (ორთქლმავლებისათვის „სალნიკების" რგოლების ჩამოსასხმელი). დიდად ამცირებს ჩამოსხმის ხანგრძლივობასაც. ამას გარდა რუხაძეს აქვს კიდევ სხვა წინადადებაც, რომელიც აგრეთვე დიდ ეკონომიას აძლევს გზას. ამ წინადადების ცხოვრებაში გატარება გზას მისცემს 2.000 მანეთამდე, მაგრამ დეპოს ადმინისტრაცია არ აქცევს შესაფერ ყურადღებას.

მუშა ჯანერიაშვილმა გამოიგონა ე. წ. „მყვეთრი ბადრის გამოსალები", რაც არა ნაკლებ ეკონომიას იძლევა. მუშა ჩომახიძის წინადადების (კნორის ნაწილის გადაკეთების შესახებ) გატარება მოგვცემს დიდ ნაყოფს. ეს წინადადება ადგილობრივმა რაციონალიზაციის ბიურომ მოიწონა.

ციაზაროვმა შესწორება შეიტანა „გაუვლერის აპარატში", რომელიც თითო დაჯდება 40 მანეთი. წინეთ კი ჯდებოდა 200 მანეთი, მაგრამ ამ წინადადების განხილვას რატომღაც აჭიანურებენ.

შჯანმერსკის წინადადებაც, ორთქლმავლის ე. წ. „კალოდკების" გაუმჯობესების შესახებ ადგილობრივმა კომისიამ საუკეთესო წინადადებათ ჩასთვალა, მაგრამ ეკონომია აქამდის არაა გამორკვეული.

გამოგონებებისადმი ასეთი გულგრილი მოპყრობა სულის უკარგავს მუშა-გამომგონებლებს.

სილვა.

განხილვას აჭიანურებენ

(სად. გარდაბანი)

სად. გარდაბნის საკავშირო დარგის მანტიორმა ამხ. თოდაძემ ჯერ კიდევ 1928 წ. წარადგინა წინადადება საკავშირო დარგის მესამე განყოფილებაში და შემდეგ გამოგონებათა ხელის შემწყობ საგზაო ბიუროში ცენტრალიზაციის აპარატის გაუმჯობესების შესახებ. ეს წინადადება მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ რაღაცა მიზეზების გამო წინადადების განხილვა რატომღაც ბრკოლდება. ამას მიაქცია ყურადღება საგზაო კომიტეტმა და მიმართა გამომგონებელთა ხელისშემწყობ საგზაო ბიუროს, რათა განეხილა ამ. თოდაძის გამოგონება. გამოგონებათა ბიურომ არც ამას მიაქცია ყურადღება; განიხილეს რასლოვის წინადადება იმავე საკითხზე და ამხ. თოდაძის გამოგონებაზე ხმაც არავის ამოუღია.

დროა ასეთ ბიუროკრატიზმს გამოგონებათა საქმეში მოეღოს ბოლო.

ნავთ-სადგენელი.

შეუფარდოთ პროფკავშირების მუშაობა რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებს

საქ. პროფკავშირები ისევ ძველი ტემპით მუშაობენ

პროფკავშირების ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში

26 ნოემბერს შესდგა თბილისის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გაფართოებული კონფერენცია, რომელზედაც პროფკავშირების ახალ ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. ანთიძემ.

გარდავქმნათ პროფკავშირების მუშაობა რეკონსტრუქტიულ პერიოდის ამოცანებთან შეფარდებით

უკანასკნელ ხანებში პროფესიონალური მოძრაობის საკითხებმა პარტიისა და მუშათა კლასის ცხოვრებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს. უკანასკნელი გადაწყვეტილებები— საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმის რეზოლუცია, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას დადგენილება ერთმმართველობის შესახებ— გამოწვეული იყო აუცილებლობით, რათა სისწორით ყოფილიყო ჩამოყალიბებული პროფესიონალური მოძრაობის ახალი ამოცანები, რომლებიც წამოყენებულია სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის მიერ და განსაზღვრული ყოფილიყო პროფკავშირების როლი და ადგილი პროლეტარიატის მასიურ ორგანიზაციების სისტემაში. მემარჯვენე ოპორტუნისტული მერყეობა პროფმოძრაობაში კიდევ უფრო ხაზს უსვამს პროფკავშირების ახალი ამოცანების სისწორით განსაზღვრის აუცილებლობას. საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმის შემდეგ პროფკავშირებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი თავისი მუშაობის ფორმების და მეთოდების გარდაქმნას. დღემდე მნიშვნელოვანი ეტაპია განვლილი ოპორტუნისტულ ტენდენციებთან ბრძოლაში პროფმოძრაობის შიგნით.

მაგრამ პროფკავშირების მუშაობის ახალ საფუძველზე გადაყვანაში, პროფმოძრაობაში სწორ ლენინურ ხაზის მტკიცედ დაცვისათვის ბრძოლაში მხოლოდ პირველი ნაბიჯია გადადგმული.

პირით წარმოებისაკენ

რა მიმართულებით უნდა მოხდეს გარდატეხა პროფკავშირების მუშაობაში, რა უნდა შეიცვალოს პროფკავშირების მუშაობის შინაარსსა და მეთოდებში?

უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს პროლეტარიატის საერთო კლასიური ამოცანები, რომლისაც უნდა დაუმორჩილოთ პროფკავშირების მთელი მუშაობა. ასეთი ამოცანებია ხუთწლიანი გეგმის განხორციელება. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა — მთელი პროფესიონალური მოძრაობის ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნეს წარმოების საკითხებზე. პროფკავშირების მთელი მუშაობა შეფარდებული უნდა იქნეს ამა თუ იმ წარმოების სამეურნეო გეგმის შესრულებასთან.

პროფმოძრაობის წინანდელ ხელმძღვანელობას არ ჰქონდა გარკვეული საერთო- პოლიტიკური მიმართულება პროფმოძრაობაში, რასაც პროფკავშირები მიყავდა გენერალური ამოცანებისაგან ჩამოშორებამდე, კარჩაკეტილობამდე და მუშაობის ტემპის შენელებამდე.

ყურადღება სასოფლო- სამეურნეო წარმოებას

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ „პირით წარმოებისაკენ", ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირი უნდა ვიბრუნოთ მხოლოდ მრეწველობისაკენ და ყურადღება არ მივაქციოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ჩვენ უნდა დავეხმაროთ გლეხობას, რომ ახალ ტეხნიკურ და სოციალურ საფუძველზე გარდაქმნას თავისი მეურნეობა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ გლეხის მეურნეობას გაადიდოს მოსავლიანობა, გაატაროს [illegible] და აქტიურად ჩაებას კოლექტივიზაციის საქმეში.

სოციალისტური შეჯიბრება შრომის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა

პროფმუშაობის გარდაქმნის ძირითადი საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ერთ და იმავე დროს გულისხმობს ლოზუნგს „პირით წარმოებისაკენ" და „ახლო მასებთან". სოციალისტური შეჯიბრებაში ჩაბმული უნდა იქნეს ყველა მშრომელები.

ერთმმართველობა და პროფკავშირების ამოცანები

ერთმმართველობა სრულებით არ აუქმებს კონტროლს წარმოებაზე პროფორგანიზაციების მხრიდან. ერთმმართველობა ჩვენთვის საჭიროა ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას დირექტივა ერთმმართველობის შესახებ სისწორით აყალიბებს პასუხისმგებლობის საკითხს წარმოებაში. დირექტივა ამბობს, რომ ფაბკარკომი და უჯრედი არ უნდა ჩაერიონ სამეურნეო მუშაკების ოპერატიულ საქმიანობაში. მაგრამ ეს დირექტივა სრულებით არ ნიშნავს, რომ პროფკავშირები თავისუფალი არიან შემდგომი კონტროლის ვალდებულებისაგან.

მუშების მატერიალური ინტერესების დაცვა

მუშების მატერიალური ინტერესების დაცვა და მათი კულტურულ -ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება იყო და რჩება პროფკავშირების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად. ზოგიერთი „მემარცხენეთ" განწყობილი ამხანაგები ფიქრობენ, რომ რეკონსტრუქციის პერიოდში ეს ფუნქციები მცირდება. საჭიროა პროფკავშირების მუშაობის არა თუ შესუსტება ამ მხრივ, არამედ მისი დაკავშირება პროლეტარიატის საერთო კლასიურ ამოცანებთან და სოციალისტურ შეტევის გენერალური ხაზის გატარებასთან.

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიას, რომელიც ეხლა მიმდინარეობს, დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ამჟამად ჩვენ კოლექტიურ ხელშეკრულებას ვაფასებთ როგორც ორ მხრივ ვალდებულებას. ეს ნიშნავს, რომ პროფკავშირები კოლხელშეკრულების ძალით მოითხოვენ ნომინალური ხელფასის გადიდებას, კულტურულ და ყოფაცხოვრებით პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ ამასთანავე პროფკავშირებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ კოლხელშეკრულებით გაერთიანებულმა მუშებმა იკისრონ შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების შემცირების და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ვალდებულება.

ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა

რეკონსტრუქტიულ პერიოდის მიერ წამოყენებულ ამოცანების განხორციელება მოითხოვს თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა-გაღრმავებას. ფართოდ გაშლილ თვითკრიტიკის პირობებში იზრდება მასების აქტივობა, იქმნება სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობის ახალი ფორმები, კავშირები უნდა გადაიქცნენ თვითკრიტიკის ფართოდ განვითარების ორგანიზატორებად.

საკავშირო აპარატის გარდაქმნა

პროფკავშირების მუშაობაში აუცილებელია უარი ვსთქვათ კაბინეტურ მუშაობაზე. საჭიროა სიმძიმის ცენტრის გადატანა ცოცხალ ინსტრუქტაჟზე და მასებთან ცოცხალ კავშირზე. საჭიროა მოხალისეების და, პირველ რიგში, ახალგაზრდობის ჩაბმა საკავშირო მუშაობაში. პროფკავშირებმა სასტიკი კონტროლი უნდა გაუწიონ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. სამუშაო დროის 30 პროცენტი პროფმუშაკებმა უნდა მოანდომონ მუშების საერთო კრებების დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

გავაძლიეროთ მუშების კლასიური აღზრდა

პროფკავშირების მასიური მუშაობის ქვაკუთხედათ უნდა გადავაქციოთ ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდა. უნდა გარდაიქმნას კლუბების მუშაობა, რათა ისინი უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ წარმოებას. მთელი კულტურული მუშაობა შეფარდებული უნდა იქნეს განუწყვეტელი წარმოების პირობებთან. ამავე დროს კულტმუშაობის ამოცანაა ტეხნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია, განუწყვეტელი წარმოების მნიშვნელობის პროპაგანდა, მუშების ახალი კადრების მომზადების საკითხის გაშუქება და სხვ.

აუცილებელია გაფართოვებული იქნეს პროფტეხნიკური კურსების და წრეების ქსელი, რისთვისაც ფართოდ გამოყენებული უნდა იქნენ ინჟენერ-ტეხნიკოსთა კადრები. კულტმუშაობისათვის გადადებული თანხები საკმარისი არ არის. საორგანიზაციო ფონდიდან კულტფონდში უნდა გადაირიცხოს თანხების არა ნაკლებ 30 პროც.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. გამოსული ამხანაგები აშუქებდნენ და ანვითარებდნენ პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. კამათის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია.

საქ. პროფკავშირებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ მუშაობის გარდასაქმნელად

საქ. პროფკავშირებს დღემდე სათანადოთ არ შეუთვისებიათ აუცილებლობა თავისი მუშაობის გარდაქმნისა ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამცანები. საქ. პროფკავშირები ჯერ კიდევ ძველებურად მუშაობენ: ისინი განაგრძობენ საკითხების „შეთანხმებას", „დამუშავებას" და სხვ. იქ სადაც საჭიროა უშუალო ცოცხალი მუშაობა მუშათა ფართე მასებს შორის.

არ სჩანს პროფკავშირების კონტროლი საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ აპარატის მუშაობაზე. ეს კონტროლი კი აუცილებელია მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. რა იციან პროფკავშირებმა კოოპერაციის მუშაობის შესახებ? იმაზე მეტი არა, რაც იცის მუშკოოპის ჩვეულებრივმა წევრმა. რა გააკეთეს პროფკავშირებმა კოოპერაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად? ჯერ-ჯერობით არაფერი.

პროფკავშირები აქტიურ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან, მაგრამ მათი მონაწილეობა საბჭოთა აპარატის წმენდაში ძალზე სუსტია.

დამკვრელმა ბრიგადებმა დიდი როლი უნდა ითამაშონ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში; დამკვრელი ბრიგადების დაარსება მასიურ მოვლენად უნდა გადაიქცეს. მაგრამ საწარმოო თათბირებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ბრიგადებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. ამას წინად შესდგა დამკვრელი ბრიგადების სრულიად საქართველოს ყრილობა, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დაესწრო 350 დელეგატი. აღნიშნულ ყრილობას არ ესწრებოდნენ კავშირების ცენტრალურ გამგეობათა მუშაკები, მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ყრილობის მუშაობაში.

ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდას და დამუშავებას თავიდანვე ზერელე ხასიათი ჰქონდა. კავშირები უკეთეს შემთხვევაში დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მოხსენებებით. ამჟამად მრეწველობის თითქმის ყველა დარგებში გამოირკვა ხუთწლიანი გეგმის წინანდელი ვარიანტების ვადასწრებით აუცილებლობა. მუშათა ფართო მასა კი, პროფკავშირების მიზეზით, ჯერ კიდევ სათანადოთ არ იცნობს ამ საკითხს.

პ. ქ.

გურიის ბოლშევიკური აჯანყების 10 წლისთავი

გურიის კომუნარების ხსოვნას

დღეს შესრულდა ათი წელი მას შემდეგ, რაც ბანდიტ მენშევიკების მიერ დახვრეტილ იქნა გურიის 1919 წლის ბოლშევიკური აჯანყების ხელმძღვანელი კომუნარები.

1919 წლის ნოემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, აჯანყებაში მონაწილე აქტიური ამხანაგები ტყეებში და მთებში გაიხიზნენ. მენშევიკური გვარდია ცოფმორეული დარბოდა და აპატიმრებდა მთელ გურიაში ყველას, ვინც მათ ხელში მოხვდებოდა, არ ინდობდა მოხუცებსა და ბავშვებსაც კი, აჯანყების მონაწილე ლანჩხუთის კომუნისტების ერთმა ჯგუფმა „სამების მთას" შეაფარა თავი. მენშევიკებმა ალყა შემოარტყეს აღნიშნულ მთას და მთელი ოცი დღის განმავლობაში ტყვიის მფრქვეველების განუწყვეტელ ცეცხლში გახვიეს როგორც „სამების მთა", ისე მისი ახლო - მახლო მიდამოები. მაგრამ კომუნარები მაინც არ ნებდებოდნენ. მათთვის სურსათის მიწოდება არსაიდან არ შეიძლებოდა და ამიტომ ისინი სიმინდის კაკლით და ბალახით იკვებებოდნენ, მაგრამ როდესაც სურსათის აღნიშნული მარაგიც გამოილია, კომუნარები იძულებულნი გახდენ დანებებოდნენ მტერს. ხალხისათვის თვალის ახახვევათ მენშევიკებმა მოაწყვეს საჯარო „გასამართლება", დაარსეს საველე სასამართლო და გურიის კომუნისტების სისხლით დამთვრალ ბანდიტ მათითაიშვილს ჩააბარეს გადაიარაღებული, სიმშილისაგან ღონემიხდილი კომუნარები.

განაჩენი ჯერ კიდევ გამოტანილი არ იყო, როდესაც ლანჩხუთში, მიტინგზე მენშევიკებმა ბენია ჩხიკვიშვილის პირით განაცხადეს „ბოლშევიკები უნდა დავხვრიტოთ და ამით წესი აუგოთ ბოლშევიზმს საბოლოოთ".

„დემოკრატიულ" მთავრობის „სამართლიან" განაჩენის სისრულეში მოსაყვანად 28 ნოემბერს ღამით ლანჩხუთიდან ჯავშნიანი მატარებლით „ჯიკის ტბისაკენ" წაიყვანეს შემდეგი ამხანაგები: 1. სარჯველაძე, 2. სირაძე, 3. კერესელიძე, 4. ადეიშვილი და 5. კილაძე.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნარები ბორკილებში იყვნენ, რამდენიმე მათგანმა მაინც მოასწრო გაქცევა. ჯალათებს გაუსხლტენ ხელიდან, ამხ. ამხ. მოსე სირაძე და სიმონ ადეიშვილი, სამი დანარჩენი — სარჯველაძე, კე[illegible] და კილაძე დახვრიტეს „დემოკრატიულმა" ჯალათებმა, მეორე დღეს ღვინით გალეშილი გვარდიელები გამვლელ გამომვლელს ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ და იკვეხნიდნენ: სამი ჩავაძაღლეთ და ყველას იმავე გაუსწორდებით, ვინც ბოლშევიკობას დაიწყებს გურიაში.

ჩვენს ორგანიზაციას განზრახული ჰქონდა დახოცილ ამხანაგების დასაფლავება გადაექცია პოლიტიკურ დემონსტრაციად გურიის „დემოკრატიული" ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მენშევიკებმა, ალბათ მოსალოდნელ დემონსტრაციის შიშით, არ მოგვცეს ამისი უფლება და გვაიძულეს იმავე ღამით, მალულად, უსიტყვოდ დაგვესაფლავებია სახელოვანი კომუნარები.

ლანჩხუთიდან გაქცეული იყო აჯანყების მონაწილე ღარიბი გლეხი სულაბერიძე, მაგრამ მენშევიკების დამხმარე აზნაურმა კულაკებმა ჭყონიებმა ისიც მოჰკლეს ჩიბათში.

მაგრამ ჩხიკვიშვილების მუქარამ, საუკეთესო კომუნარების ამოწყვეტამ სრულიადაც ვერ დააფრთხო გურიის ბოლშევიკები. სიძულვილი მენშევიკებისადმი, მემამულეების და ბანდიტების ამ პარტიისადმი კიდევ უფრო მეტად გაღვივდა, 1919 წლის ნოემბრის აჯანყების სისხლში ჩახრჩობის შემდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციები გურიაში გაიზარდა, მას მიემხრო გურიის ღარიბი გლეხკაცობის საუკეთესო ელემენტები.

არ გამართლდა ჩხიკვიშვილების „წინასწარმეტყველება", გურიაში ბოლშევიზმი ვერ მოსპო 1919 წლის ნოემბრის აჯანყების დამარცხებამ, გურია მტკიცედ დაადგა ბოლშევიზმის გზას და განაგრძო დაღუპულ კომუნარების მიერ დაწყებული საქმე, საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით გურიაში სწარმოებს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, გურია ხდება „საბჭოთა ცეილონი", იწყება რკინის გზის გაყვანა ოზურგეთ - ჩოხატაურის შორის, რომელსაც უდიდესი ცვლილებები შეაქვს მთელი აღმოსავლეთი გურიის ეკონომიკაში და გურიის ღარიბი გლეხი კოლექტივიზაციის ფართოდ განვითარების მეოხებით გამოდის ახალი ცხოვრების გზაზე.

ათი წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია უთხრათ გმირ კომუნარებს: თქვენმა ბრძოლამ მიზანს მიაღწია.

ქ. ბარამიძე.

ათი წლის წინად

(აჯანყების მონაწილის მოგონება)

გურიის მენშევიკები საერთოდ ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდნენ, მენშევიზმი აქ ყველაზე „ძლიერად" გრძნობდა თავს შედარებით საქართველოს სხვა კუთხეებთან, მენშევიკური პარტიის დიდი და პატარა ბელადები განუწყვეტლივ დაძრწოდნენ გურიაში, აწარმოებდნენ გლეხობის „იდეოლოგიურ დამუშავებას" და ყოვლად უსინდისო მეთოდებით ებრძოდნენ ბოლშევიზმს.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავათ მათ ვერ აღმოფხვრეს ბოლშევიკური გავლენა გურიის ღარიბ გლეხობაში და ვერ შეაჩერეს ის უკმაყოფილება, რომელიც იზრდებოდა მშრომელ მოსახლეობაში ჟორდანიას მთავრობის პოლიტიკით. გურიის ღარიბი გლეხობის უკმაყოფილების დემონსტრაციის საუკეთესო მაგალითს 1919 წლის ნოემბრის აჯანყება წარმოადგენს, როდესაც გამოსვლები მოხდა თითქმის მთელ გურიაში.

აჯანყებას მენშევიკებიც მოელოდნენ, რადგან ყველასათვის აშკარა იყო, რომ მენშევიკებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვერც ერთი დაპირება, ოდნავადაც ვერ გააუმჯობესეს გურიის მშრომელი გლეხობის მდგომარეობა.

ბოლშევიკური ორგანიზაცია უწევდა რა მასების ასეთ განწყობილებას ანგარიშს, ემზადებოდა აჯანყებისათვის. აჯანყების დრო ჯერ კიდევ არ იყო დანიშნული... გულის ფანცქალით მოველოდით ამ დღეს. აჯანყების დღეც დაინიშნა... ლანჩხუთის რაიონის კომუნარებმა 19 ნოემბერს, რიცხვით ხუთასამდე კაცმა, თავი მოვიყარეთ სოფელ ჯაბელაში. ყველა ამხანაგები აღტაცებით უცდიდენ ბრძანებას აჯანყების დაწყების შესახებ. მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში იყო, რომ ძლიერ ცოტა გვქონდა იარაღი და ვაზნები. დაყოვნება კი შეუძლებელი იყო. გათენებას ორი საათი აკლდა. გავნაწილდით რაზმებად. თითოეულ რაზმში მხოლოდ 5-6 ამხანაგი იყო იარაღით, დანარჩენები კი კეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. დაიძრენ ჩვენი რაზმები და ერთი საათის შემდეგ რაიონის დაწესებულებები უკვე ჩვენს ხელთ აღმოჩნდა, მენშევიკების კომისრები დავატუსაღეთ.

მაგრამ ჩვენი გამარჯვება არ გამოდგა ხანგრძლივი. მტრის გაძლიერებულმა ძალამ ჯავშოსნის დახმარებით, რომელსაც ვ. გოგვაძე ხელმძღვანელობდა დაგვძლია და იძულებული შევიქენით უკან დაგვეხია. უკან დახევა უწესრიგოდ მოგვიხდა, რადგან ამხანაგების დიდი უმრავლესობა უიარაღონი იყვნენ. უკან დახევის დროს მოგვიკლეს ამხ. პ. ლევი. ნაწილი ამხანაგებისა გაიფანტნენ. ნაწილმა გავეშურეთ ოზურგეთელ კომუნარებთან შესაერთებლად, სოფ. სილაურის მიმართულებით, მაგრამ საუბედუროთ იქაც აღარ დაგვიხდა ამხანაგები გარდა 5—6 კაცისა. საბოლოოთ ჩვენთან დარჩენ სილაურელი ამხანაგები—სევასტი სარიშვილი, მაკარი ქილიფთარი და მ. ჯინჭარაძე.

მდ. სუფსას გაღმიდან პოლკოვნიკ ცომაიას ხელმძღვანელობით ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები განუწყვეტლივ ისროდენ, გვარდიელები ენაწავარდნილი დარბოდენ და სოფელს აწიოკებდენ. განსაკუთრებით სოფელ სილაურს უტევდენ, რადგან იქ კომუნისტების ძლიერი რაზმი ეგულებოდათ.

დავმარცხდით. ჩვენი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. დაიწყო გვარდიელების ნადირობა, ყველას იჭერდენ ვისზედაც ეჭვს მიიტანდენ. დაინიშნა სამხედრო საველე სასამართლოები ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონებში. სასამართლოს წინაშე წარსდგენ ასობით ძონძებში გახვეული გლეხები, ლანჩხუთის და ოზურგეთის საველე სასამართლოებმა ოცამდე კაცს მოგვისაჯა სიკვდილით დასჯა. სხვებს სამუდამო კატორღა და ციხეში სხვადასხვა ვადით დატუსაღება მიესაჯა.

„განაჩენს 24 საათში მოიყვანებენ სისრულეში"—გამოგვიცხადა საველე სასამართლოს თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა ლექვინაძემ.

კოკისპირული წვიმაა. ჩვენი მშობლები და ნაცნობები სასამართლოს ეზოში უცდიან ამბავის გაგებას და გაიგეს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება, ასტეხეს საშინელი წივილ-კივილი. მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევდა.

მოიტანეს ბორკილები; და როცა მჭედლებმა ბორკილების ჭედვა დაიწყეს, შემოვარდა მენშევიკების ჯალათი ვალოდია გოგვაძე და გამოაცხადა: ჯერ დაგხვრეტთ, ხოლო შემდეგ დაგწვავთო. ცნობილმა ბენია ჩხიკვიშვილმა კი ჩვენს მშობლებს ასე უთხრა: ნუ სტირით ასეთი მახინჯი და ავაზაკი შვილების დახვრეტის გამოო.

შექმნილმა მდგომარეობამ აღაშფოთა ახლო მახლო სოფლების გლეხები, მათ მოიწვიეს მასიური კრებები და აღძრეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, განაჩენის შეცვლის შესახებ. მაგრამ პასუხისთვის არავის დაუცდია და ღამესვე დახვრიტეს ამხ. ამხ. ილარიონ სარჯველაძე, ქ. კილაძე და ქ. კერესელიძე. ოზურგეთში კი დახვრიტეს ამხანაგები: ა. მამალაძე, ფ. გოგოლაძე, მ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, თ. თედორაძე, პ. მამალაძე და ტ. მინდაძე. სულ დაიხვრიტა 11 კაცი, სხვები კი გადავრჩით.

მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ, დაღუპულ კომუნარების სისხლიანი დროშა დღეს ამაყათ ფრიალებს მთელს გურიაში. ჩხიკვიშვილების და გოგუაძეების მზე კარგა ხანია ჩაესვენა, აღორძინების გზაზე დამდგარი საბჭოთა გურია ზიზღით მოიხსენიებს ნოემბრის აჯანყების ალიხანოვებს. გურიის კომუნარებმა საუკეთესო მაგალითი მოგვცეს იმის, თუ როგორ უნდა ბრძოლა პროლეტარულ რევოლუციისათვის.

საუკუნო ხსენება მათ.

პ. იმნაიშვილი.

ოზურგეთ-ჩოხატაურის რკინის გზა

გზათა სახალხო კომისარიატის კომისიის დადგენილება

მოსკოვში მყოფ ინჟ. კაციტაძისაგან მიღებულია შემდეგი ცნობა:

გზათა სახალხო კომისარმა ამხ. რუძუტაკმა მოსკოვში დაბრუნებისას გასცა განკარგულება, რომ გზათა კომისარიატთან გამოიყოს კომისია ოზურგეთიდან ჩოხატაურამდე რკინის გზის გაყვანის საკითხების შესასწავლათ. განკარგულებისთანავე გამოყოფილ იქნა კომისია, რომელმაც თავი მოუყარა ყველა საჭირო მასალებს. 18 ნოემბერს შესდგა კომისიის სხდომა, რომელზედაც საჭიროდ და აუცილებლათ იქნა ცნობილი ოზურგეთიდან ჩოხატაურამდე რკინის გზის შტოს გაყვანა.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გრძელდება გზის გაყვანასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

კოლმეურნეობათა მშენებლობის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა-გლეხთა ინსპექცია ამიერ-კავკასიის სასოფლო- სამეურნეო ბანკთან ერთად ამ დღეებში შეუდგება კოლმეურნეობების შერჩევის გამოკვლევას.

შემუშავებულ პროგრამის მიხედვით, გამოკვლეულ იქნება 6 კომუნა, 22 სას. სამ. არტელი, 10 საბჭოთა მეურნეობა და 15 მსხვილი კოლმეურნეობა, სულ გამოკვლევისათვის შერჩეულია 91 ობიექტი.

გამოკვლევისათვის შერჩეულ კოლმეურნეობებში შესწავლილი იქნება ყოფა-ცხოვრების ახალი ფორმებზე გადასვლის საკითხი, რამდენად იზრდება ნათესების სივრცე, მესაქონლეობა და სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქცია.

გარდა ამისა გამოკვლეულ იქნება გლეხობის დამოკიდებულება კოლმეურნეობებთან და მათი მონაწილეობის პროცენტი, არიან თუ არა კოლმეურნეობები დაკმაყოფილებული კრედიტით, კრედიტები დანიშნულებისამებრ არის გამოყენებული თუ არა, იარაღ-მანქანები კოლმეურნეობების უზრუნველყოფის, მუშა-საქონლის, სათესლე მასალის მიწოდების, მიწადმოწყობის საქმე და სხვ.

კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო მდგომარეობის შესწავლის დროს, გამოკვლეულ იქნება, კოლმეურნეობებში საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების საკითხი, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, (შრომის ორგანიზაციის პრინციპი, წესი და ფორმები); აგრიკულტურულ გაუმჯობესებათა საქმე, რა ზომებია მიღებული ცრუ-კოლმეურნეობების წინააღმდეგ, იყენებენ თუ არა დაქირავებულ შრომას. კოლმეურნეობებში კულტურული მშენებლობის შესწავლის მიზნით გამოკვლეულ იქნება ის კულტურულ-განმანათლებელი ქსელი (სკოლა, სამკითხველო, სპეც. კურსები და სხვა), რომელიც ემსახურება კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხობას.

გარდა ამისა გამორკვეული იქნება (კოლმეურნეობათა რესპ. ცენტრების გამოკვლევის დროს), კოლმეურნეობებში ჩაბმულ აგრონომების, ტეხნიკოსების, მასწავლებლების და სხვათა რიცხვი; შესწავლილ იქნება, თუ როგორ სამეცნიერო-განმანათლებელ მუშაობა მიმდინარეობს კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში, ახალ სამეცნიერო ძალების მომზადება და გამოყენება.

დასასრულ გამოაშკარავებულ იქნება ახლად დაარსებულ კოლმეურნეობათა განვითარებისათვის ყველა ხელის შემშლელი პირობები და შემუშავებულ იქნება საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ქრონიკა

განუწყვეტელი საწარმოო კვირა სკოლებში

სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობამ გადასწყვიტა საზამთრო კანიკულების შემდეგ თავის განკარგულებაში არსებული სკოლები გადაიყვანოს განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

კურსების გრანიტის ქარხანა

თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება ქუთაისის აღმასკომთან ერთად შარშან წინ კურსებში შეუდგა გრანიტის (ქუჩების მოსაკირწყლავ კუბიკური ქვების) დამამზადებელ ქარხნის აგებას.

ქარხნის აგება უკვე დამთავრებულია. მისი მოწყობა დაჯდა 447.000 მანეთი.

ქარხნის საცდელი ამუშავება მოხდება 1 დეკემბერს.

ბრძოლა ეპიდემიასთან

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობებით ნოემბრის ვანმავლობაში გახშირდა ქუნთრუშითა და დიფტერიტით (ხუნაგი) დაავადების შემთხვევები. აღნიშნულ სენების გავრცელებასთან ბრძოლის მიზნით თბილისის აღმასკომმა გადასდო 91.000 მანეთი. ამ თანხით მოწყობილი იქნება ეპიდემიების გავრცელებასთან მებრძოლი საექიმო ორგანიზაციები.

სავალდებულო აცრა

თბილისის აღმასკომის დადგენილებით, ამ დღეებში დაიწყება ბავშვების სავალდებულო აცრა დიფტერიტისა, ქუნთრუშისა და ყვავილისაგან. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ ამ მიზნით უკვე მოაწყო მუდმივი ასაცრელი პუნქტი (აბასთუმნის ქ. № 6), სადაც ყველა მსურველს უცრიან უფასოდ დილის 11 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

პუნქტი უკვე შეუდგა ამცრელი მედპერსონალის დაგზავნას წარმოებებში, სადაც მუშებს უცრიან მუცლის ტიფს.

დამატებითი მიღება სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გამგეობის დადგენილებით, ინსტიტუტში დამატებით მიღებული იქნება 180 კაცი შემდეგ ფაკულტეტზე: ქართულ სამთო ფაკულტეტზე—50 კაცი, ქიმიურზე—30, სახუროთ-მოძღვრების ფაკულტეტზე—25, მექანიკურზე—25, რუსულ სატრანსპორტო ფაკულტეტზე—25 და მექანიკურზე—25. მიღება მოხდება სტუდენტთა იმ რიცხვიდან, რომლებმაც ჩააბარეს საკონკურსო გამოცდები, მაგრამ უადგილობის გამო ვერ მოხვდნენ ინსტიტუტში. დამატებითი განცხადებების მიღება არ იწარმოებს. მიღება იწარმოებს იმ ნიშნებისა და მასალების მიხედვით, რომლებიც მოეპოვება მიმღებ კომისიას. მიღებულთა გვარები გამოცხადებული იქნება 3 დეკემბერს და მათთვის გახსნილი იქნება ცალკე სამეცადინო ჯგუფები. მიღება იწარმოებს იმ ფაკულტეტებზე, რომლებზეც შეტანილია განცხადება.

ახალი კრედიტები

გზათა სახ. კომისარიატმა 1929—30 წელში ა.-კ. რკინისგზებზე სანიტარულ - ვეტერინარულ და სანიტარულ-ჰიდრო -ტეხნიკურ სამუშაოების საწარმოებლად გაიღო კრედიტი 438.440 მანეთის რაოდენობით.

გარდა ამისა, გადადებულია 208.550 მანეთი საქიოო მუშაობის ჩასატარებლად შრომის დაცვის დარგში.

თბ. აღმასკომში

◆ ღრმა ღელეში აგურის დამამზადებელ მექანიკური ქარხნის ასაგებად აღმასკომმა გადასდო 400.000 მ.

განათლების კომისარიატში

◆ პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში გადაწყვეტილია დამატებით მიღებული იქნეს 180 სტუდენტი.

სხვადასხვა

◆ სენაკში ბეკონის ქარხნის ასაგებათ გადადებულია 40.000 მან.

◆ საბიბლიოთეკო ლაშქრობა თბ. წარმოებებში ჩატარებული იქნება პირველ დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **უკრაინული კაპელა.** 6—8 დეკემბერს სახ. კონსერვატორიაში გაიმართება უკრაინის მხატვრულ კაპელას გასტროლები, კომპოზიტორ **დავიდოვსკის** ხელმძღვანელობით. კაპელა შეასრულებს უკრაინულ, ქართულ რუსულ და სომხურ სიმღერებს.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** 1 დეკემბერს გაიმართება რაისკის კონცერტი პიანისტ გინზბურგის მონაწილეობით.

◆ **„ევგენი ონეგინი".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინი".

◆ **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „მწვერვალები".

—:—

„პროლეტარული მწერლობა" № 10—11

გამოვიდა ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა"-ს № 10—11 შემდეგი შინაარსით:

ე. პოლუმორდვინოვი—ჭიათურა, **ი. ბეხერი**—ოცდა ოთხი, **ქ. ლორთქიფანიძე**—ახალი ვლეხები, **ბ. ბუაჩიძე**—ავადმყოფური მოვლენები პროლეტარულ ლიტერატურაში, **ა. სულავა**—სადაა მწერლობაში ახალი ადამიანი, **შ. რადიანი**—მეოცნების დღიური (ალ. აბაშელის პოეზია), კლასიკოსების პრობლემა—პასუხი ანკეტაზე, **გ. ვანანდეცი**—ლიტერატურული სომხეთი, **ფრ. ნაროუშვილი**—მასიური მუშაობის გაჯანსაღებისათვის, ბიბლიოგრაფია.

თბილისის ზოოლოგიური ბაღი

გაიხსნება ამ დღეებში

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება ზოოლოგიური ბაღის მოწყობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დღემდე ზოოლოგიური ბაღის მოსაწყობად აღმასკომს დაუხარჯავს 155.900 მანეთი.

მთელი ბაღი შემოღობილია მაღალი აგურის ღობით. დამთავრებულია ბაღის ტეხნიკური დაგეგმვა და მიწის სამუშაოები. ამჟამად სწარმოებს ცხოველთა ჯიშების და მათი ბუნების შესაფერი მუდმივი ბინების, ხელოვნური მთების, ხევების, აკვარიუმების და მაიმუნების კონგულების მოწყობა.

ბაღს ექნება ოთხი მთავარი ხეივანი, სპეციალური შენობები, ბავშთა სავარჯიშო მოედანი და სხ.

გრძელდება ცხოველების შეძენა. უკვე შეძენილია მრავალი ჯიშის გარეული ცხოველები და ფრთოსნები, რომლებიც მოთავსებულია დროებით ბინებში.

ბაღს აქვს საკუთარი მინდვრები ცხოველების საკვები მასალების დასამზადებლად.

პრეზიდიუმმა დაადგინა დაჩქარებული იქნეს ბაღის მოწყობის ტემპი და ამ მიზნით მისი მშენებლობის მეთვალყურეობა უშუალოდ დაეკისროს კომუნალურ განყოფილებას, მასვე დაევალა საჭირო თანხების გამონახვა.

პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო ბაღის ნაწილობრივ გახსნა ახლო ხანში და დაამტკიცა ბაღში შესავლელი ნიხრი, რომლის მიხედვით პროფკავშირის წევრები, რომლებიც თვეში იღებენ 50 მანეთამდე წლიურ ბილეთზე გადაიხდიან 2 მ., 50—100 მანეთამდე —3 მ., ვინც იღებს 100 მანეთს და ზევით 5 მ., მოწაფეთათვის და წითელ არმიელთათვის წლიური ბილეთი ეღირება 1 მ., დანარჩენთათვის 10 მ. წლიური ბილეთის შემძენს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია ბაღში უფასოდ შეიყვანოს ცოლი და შვილები 18 წლის ჰესაკამდე.

ყოველდღიურათ ბაღში შესასვლელი ბილეთი ეღირება: პროფკავშირის წევრთათვის და მათი ოჯახებისათვის სულზე—20 კ., მოწაფეთა და წითელ-არმიელთათვის—10 კ., დანარჩენთათვის—40 კ.

ბაღამდე მიმოსვლის გასაადვილებლად პრეზიდიუმმა დაადგინა ლენინის ქუჩიდან ბაღამდე გაყვანილ იქნეს ტრამვაის ახალი ხაზი.

ახალი საბანაოს მოწყობა მტკვარზე

წყალზე დამხმარე საზ-ბის თაოსნობით შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა კულტურის და დასვენების პარკის მოწყობის საკითხი.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო კულტურის და დასვენების ბაღი ვაშენებული იქნეს ვერის პარკში. გადაწყდა პირველ რიგში ამ ადგილას მოეწყოს დიდი საბანაო აუზი.

ზაფხულობით მთელ საბჭოთა კავშირში წყალში იხრჩობა დაახლოვებით 10.000 კაცი, განსაკუთრებით მცირეწლოვანები. ამიტომ დიდ ქალაქებში უკვე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს საბანაო აუზების მოსაწყობად. ზოგან საზამთრო აუზებიც კი არსებობს. საქართველოში, კერძოდ თბილისში არაფერი გაკეთებულა ამ მხრით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა საბანაოს გახსნას მიმდინარე წლის სეკტემბერში.

თათბირმა დაადგინა ვერის პარკში მოეწყოს სპეციალური საბანაო აუზი და სოლარიუმი. შემდეგ აღნიშნული პარკი გადაკეთებული იქნება კულტურის და დასვენების პარკათ სხვადასხვა გასართობებით და სავარჯიშო მოედნებით.

აუზისათვის სპეციალურად გამოყვანილი იქნება მტკვრის შტო-არხი. აუზში წყალი ყოველთვის იმოძრავებს და გამოიცვლება, კარდა კაცების განყოფილებისა, მოეწყობა ქალთა და ბავშვთა საბანაოები.

მთელი აუზი დღეში დაიტევს 6000 მობანავეს.

აუზს ექნება მზის აბაზანები სოლიანი მოედნებით, ტანისამოსის გასახდელი და შესანახი ოთახები, ბუფეტი და სხ.

საბანაოსთან აგრეთვე იქნება ექიმის კაბინეტი. საბანაოს მოწყობა სულ დაჯდება 40.000 მანეთი.

საბანაო მზად იქნება მომავალი წლის ზაფხულისათვის.

საბიბლიოთეკო ლაშქრობა

ვწირავ მეჯვრისხევის (გორის ოლქი), ფშაველის (კახეთის ოლქი), შუასურების და ქვაბლის (გურია) ქოხ-სამკითხველოებს ას-ასი მანეთის ღირებულების სასოფლო - სამეურნეო და სხვა ლიტერატურას.

საქართველოს წიგნის პალატის დირექტორი **ი. ბერიშვილი.**

ბრძოლა კატასტროფებთან

ქალაქში გახშირებულ უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად გუშინწინ საღამოს ავტო-კლუბში შესდგა შოფერების, ვატმანების, მილიციის, პროკურატურის და დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლების გაერთიანებული კრება.

თბ. აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსმა ამხ. **ს. ხმალაძემ** აღნიშნა, რომ ქუჩაში ნორმალური მოძრაობის მოსაწესრიგებლად ქალაქის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება. ამ დადგენილების მილიციის მუშაკთა შორის პოპულარიზაციის მიზნით, სამილიციო უბნებში ჩატარდა მოხსენებები, მილიციონერებს განემარტა მათი უფლება-მოვალეობანი მოძრაობის წესების დაცვის საქმეში.

ამჟამად მთავარ ქუჩებში, სადაც დიდი მოძრაობაა, სისტემატიურად მორიგეობს მილიციონერთა და მეეზოვეთა გაძლიერებული კადრი. ცხადია, კატასტროფების სიმრავლეს ხელს უწყობს მოქალაქეთა მიერ მოძრაობის წესების უცოდინარობა, მაგრამ პასუხისმგებლობა უფრო მეტად ეკისრება შოფერებს და ვატმანებს, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს კანონით გათვალისწინებულ მოძრაობის წესების დაცვა. არსებობს დადგენილება იმ პირთა ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ, რომლებიც ვაგონის მოძრაობის დროს ახტებიან ან ჩამოხტებიან ვაგონიდან, მაგრამ ვატმანები და კონდუქტორები არავითარ ზომებს არ იღებენ ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. 1929 წ. 1-ლ ოქტომბრამდე მომხდარ კატასტროფების შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ტრამვაის, ავტომობილის, ეტლის და დროგის კატასტროფის 97 შემთხვევას, რომლის დროს მოკვდა 6 კაცი, მძიმედ დაშავდა 21 და მსუბუქად კი 51 კაცი. ამ კატასტროფების გამო დააპატიმრეს 37 კაცი.

უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად საკმარისი არ არის დამნაშავეთა დაპატიმრება და დასჯა. საჭიროა ტრანსპორტის ყველა მუშაკების —ვატმანების, შოფერების, მეეტლეების და მილიციის საერთო შეთანხმებული მუშაობა მოძრაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. საჭიროა თვით მოქალაქეებიც გაეცნონ ქუჩაში ნორმალური მოძრაობის წესებს და ფილაქნებიდან ქუჩაში გადასვლის დროს გამოიჩინონ მეტი სიფრთხილე.

ახლო ხანში ქალაქში გამოკრული იქნება პლაკატები, რომლებითაც მოქალაქენი გაეცნობიან ქუჩაში მოძრაობის წესებს.

მოხსენების გარშემო გაიმართა ხაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. **ბ. მამულიამ** (საქ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო- ინსპექტორი), **ნონიევმა** (შოფერი), **ვ. სტეფანოვმა** ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირის თავმჯდომარე), **კოვალიოვმა** (მილიციონერი), ამხ. **ორჯონიკიძემ** და **ვალენსკიმ** და სხვ.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კატასტროფების გახშირების მიზეზი არის შოფერთა შორის გაშლებული ლოთობა, ავტომობილთა მიმოსვლის სავალდებულო წესის დარღვევა, მოძრაობის აგენტების და მილიციის არასაკმარისი აქტივობა ამ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. კატასტროფებს ხელს უწყობს აგრეთვე შოფერების დატვირთვა ზედმეტი სამუშაოთი: ისინი 8 საათზე მეტს მუშაობენ, რაც იწვევს მათ მოქანცვას.

გზებზე მეთვალყურეობის დაწესება საგრძნობლად შეამცირებს კატასტროფების რიცხვს, რადგან შოფერები მოძრაობის წესებს უფრო მეტად ქალაქ გარედ მიმოსვლის დროს არღვევენ.

ვატმანები ვაგონებს შორის არ იცავენ სათანადო დისტანციას (ერთი ვაგონი მეორე ვაგონზე დაშორებული უნდა იყოს არა ნაკლებ 6 მეტრისა), რასაც მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

დასასრულ არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა კატასტროფების თავიდან ასაცილებლად გამოიმუშაოს მთელი რიგი პრაქტიკული გადაწყვეტილებები, რომლებიც დაუყონებლივ გატარდება ცხოვრებაში.

სასამართლო

თავდასხმა

ს. კაკაბეთში (გარე-კახეთი) ამა წლის 1 აგვისტოს გლეხს **სოსიკო ჯავახიშვილს** მინდვრის სამუშაოების გამო ოჯახიდან რამდენიმე დღით წასვლა მოუხდა.

სახლში დარჩა მისი მეუღლე მარიამი. შუაღამისას მძინარე მარიამის ბინაში შეიჭრა 4 შეიარაღებული პირი. ბოროტგამზრახველებმა გააღვიძეს მძინარე ქალი, ლანძღვა-გინებით წამოაგდეს ზეზე და მოსთხოვეს ფული.

შეშინებულმა ქალმა გამოიღო კამოდის უჯრიდან 30 მანეთი და გადასცა თავდამსხმელებს. ამით არ დაკმაყოფილდნენ ბოროტმოქმედნი. მარიამი გამოიყვანეს ეზოში, დააყენეს თავზე ერთი ყარაული და დანარჩენები შეუდგნენ ფულის ძებნას. გაჩხრიკეს ყველაფერი და აღმოაჩინეს კიდევ 150 მანეთი, ერთი ოქროს სამაჯური, ორი ოქროს ბეჭედი.

ამის შემდეგ თავდამსხმელებს შემოჰყავთ სახლში მარიამი და სიკვდილის მუქარის ქვეშ სამივე სქესობრივ კავშირს იჭერს მასთან.

ქალმა გამოიცნო სამივე ბოროტმოქმედნი. ერთი მათგანი აღმოჩნდა იმავე სოფლის მცხოვრები **შაქრო ვასოს ძე კოშმაშვილი,** მეორე—**გიორგი მიხას ძე აღნიაშვილი,** მესამე **მიტრო გიოს ძე ჯავახიშვილი.** მეოთხე თავდამსხმელის გამორკვევა შეუძლებელი გახდა.

მეორე დღეს ამბავი ეცნობა კახეთის მილიციის უფროსს. სამივე ბოროტმოქმედი შეპყრობილ იქნა.

მარიამ ჯავახიშვილს შემოწმების დროს მთელი სხეული დალურჯებული აღმოაჩნდა. უზომოდ ნაცემი იყო თოფის კონდახით და ლულით.

საქმეს გაარჩევს **საქართველოს უზენაესი სასამართლო.**

ბოროტმოქმედთ **წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუხლი,** რომელიც ითვალისწინებს **უმაღლეს სასჯელს** დახვრეტას.

მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე

ამბავი ხდება დვაბზუს თემში (ოზურგეთის მაზრა)

მოქ. **დავით ხამსონისძე გოგიტიძემ** რამოდენიმეჯერ მოახდინა თავდასხმა **დიმიტრი კალანდარიშვილის** ოჯახზე იმ მიზნით, რომ გაეტაცებია კალანდარიშვილის ქალი ლოლა. მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

გოგიტიძეს უნდოდა კალანდარიშვილის ქალის ცოლად შერთვა, მაგრამ, როგორც ქალი, ისე მისი მშობლები მას ახლოს არ იკარებდნენ.

დიდხანს სდია გოგიტიძემ კალანდარიშვილის ქალს, მაგრამ ერთხელაც ვერ იხელთა დრო მის გასატაცებლად. ერთ-ერთი მორიგ შეიარაღებულ თავდასხმის დროს გოგიტიძე განაიარაღეს და ციხეში უკრეს თავი.

ციხიდან გამოსვლის შემდეგაც გოგიტიძე განაგრძობდა ქალის დევნას და კალანდარიშვილების ოჯახს ამოჟლეტით ემუქრებოდა.

ქალის მამა დიმიტრი კალანდარიშვილმა კვლავ ხელისუფლებას მიმართა განცხადებით მოძალადე „სასიძოს" თავიდან მოშორების შესახებ.

ეს გაიგო გოგიტიძემ. მან გადასწყვიტა შურისძიება დიმიტრი კალანდარიშვილზე.

ა.-წ. 28 აპრილს დიმიტრი კალანდარიშვილს გოგიტიძემ თვალი მოჰკრა კოოპერატივის წინ. გოგიტიძე გაიქცა, წამოიღო სახლიდან თოფი.

— ასწი ხელები,— მიაძახა გოგიტიძემ და კალანდარიშვილს ორჯერ ესროლა თოფი.

კალანდარიშვილი მძიმედ დაიჭრა და რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

გოგიტიძე გაასამართლა ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლომ. ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასტიკი იზოლიაციით და სამოქალაქო უფლების აყრა 5 წლის ვადით.

ბერ.

შემთხვევები

უეცარი სიკვდილი

რუსთაველის პროსპექტზე (მუშკოოპის „პასაჟის" წინ) უეცრად გარდაიცვალა სიმონ რევაზიძე გლეხი. გვამი გადაიგზავნა ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

ტრამვაის ვაგონიდან გადმოვარდნა

წყნეთის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონს შეახტა ი. მუსერიძე (მცხ. კალინინის ქ. № 25), რომელსაც ფეხი დაუსხლტა და გადმოვარდა ვაგონიდან. მუსერიძე უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

გაძარცვა

27 ნოემბერს, ღამით, სოღანლუღის გზაზე გლეხ იუსუფ-ოღლის თავს დაესხა მძარცველები, რომლებმაც სიკვდილის მუქარით წაართვეს მას ფული, 80 კილო მატყლი და მიიმალნენ.

მარცხი

გუშინ, სადგ. ბალაჯარაში ვაგონების გადამბმელი ოგანოვი, მანევრების წარმოების დროს მოჰყვა ბუფერებს შორის.

ოგანოვი იქვე გარდაიცვალა.

ქურდობა

გუშინ, დღისით, საკანდიდ ეში (ლერმონტოვის ქ. № 22) მოლარეს მოპარეს 25 მანეთი. —ნინა ბიცაძის ბინიდან (ზესიკის ქ. № 23) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები,—გაქურდეს ვალია ჰელიძის ბინა (კერესელიძის ქ. № 6); წაიღეს 300 მანეთის ნივთები.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 29 ნოემბერი

დღეს, დილით თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს „მუშათა შუადღეს"; პროგრამაშია—ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს 5 საათიდან გადაცემული იქნება— მუსიკალური შესვენება სადილის შემდეგ; პიონერისა და მოსწავლის საათი—„ექსკურსიები ჯგუფებში", სომხურ ენაზე; რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; გაზეთი „ენი კენდი" რადიოთი—თურქულ ენაზე; ლექცია სამეცნიერო ბუნების მეტყველებიდან—„ადამიანის წარმოშობა"—ქართულ ენაზე; სომხური რადიო-გაზეთი, რომელიც მიძღვნილია სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლისთავისათვის; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); დროის შემოწმება და გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; კონცერტის ტრანსლიაცია ერევნიდან; კონცერტი სტუდიიდან; ინფორმაცია; უკანასკნელი ამბები.

ჭადრაკი

მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

დაუმთავრებელ პარტიებში **ლევიტასი** და **ჯაგეტინი** გაუთამაშებლად შეთანხმდენ ყაიმზე; **პოგოსოვმა** წააგო **წერეთელთან; ახნაზაროვმა** მოუგო **დანილოვს; სიჭინავა** და **ახნაზაროვი** შეთანხმდენ ყაიმზე; **ჩერნოვსკიმ** მოუგო **დანილოვს.**

მეოთხე ტურის შემდეგ შეჯიბრების მდგომარეობა ასეთია: პირველ ჯგუფში: შიშოვი და ახნაზაროვი+ 3 ნახ., ასოვსკი+3, სიჭინავა+2 ჩერნიავსკი+1 (1 გაუთამაშ.), მოსესოვი—0, (1 გაუთამაშ.), დავიდოვი—0 (2 გაუთამაშ.), და დანილოვი —0 (2 გაუთამაშ.). მეორეჯგუფში: წერეთელი+4, კარლინსკი+ 3 ნახ., იცკოვიჩი+3, ფალავანდიშვილი+2, ლევიტასი+1 ნახ., არუთინოვი+1, პოგოსოვი და ჯაგეტინი+ ნახ.

მასიური საკვალიფიკაციო შეჯიბრება

მასიური საკვალიფიკაციო შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 80 კაცი, ჩქარა დასრულდება. შაბათს და კვირას გათამაშებული იქნება უკანასკნელი ტურები. ჯგუფებში გამარჯვებულნი მიიღებენ მეოთხე კატეგორიის პირობით სახელწოდებას, რასაც დაამტკიცებენ მეოთხე კატეგორიის ფინალში გათამაშებულ პარტიებში 50 პროც. მოგროვებით მეოთხე კატეგორიის ფინალი დაიწყება დეკემბრის პირველ რიცხვებში. დღეიდან ცენტრალურ საჭადრაკო კლუბის გამგესთან იწყება მონაწილეობის მსურველთა აღრიცხვა.

ნარევი

ჰაეროპლანი 500 მგზავრისათვის

ამერიკის ერთი უდიდესი სამანქანათმშენებლო ფირმის თავმჯდომარემ **ვაიკოტმა** განაცხადა, რომ ფირმას განზრახვა აქვს ააგოს „ზე-ჰაეროპლანი" 500 მგზავრისა და 104 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟისათვის. ეს ჰაეროპლანი რამდენიმე საათში შესძლებს გადაფრენას ნიუ-იორკიდან ლონდონში. ჰაეროპლანზე დადგმული იქნება 12 ათასძალიანი (თითო) მოტორი.

ვაიკოტმა უარი სთქვა ჰაეროპლანის კონსტრუქციის დეტალების შესახებ ცნობების მიცემაზე. აღნიშნა მხოლოდ, რომ კონსულტანტებად მიწვეულია გერმანელი ინჟენრები. თითეული ამგვარი ჰაეროპლანი დაჯდება 5 მილიონი დოლარი.

გველების მოშენება

უკანასკნელ ხანებში ევროპასა და ამერიკაში ძლიერ გავრცელდა ნივთები გველის კანიდან. გველის კანიდან ამზადებენ ქალების ჩანთებს, პორტფელებს, ფეხსაცმელებს, ხემოდანებს და სხვ. ამის გამო წარსულ წელს მოჰკლეს 1.000.000 გველი, ამდენივე ნიანგი და ხვლიკი. გველებზე და ნიანგებზე ნადირობს რამდენიმე ათასი კაცი. გველებით ყველაზე მდიდარია ლუიზიანა, მექსიკა, ფლორიდა, ვენეცუელა (ამერიკა). გაძლიერებულმა მოთხოვნილებამ გველის კანზე წარმოშვა „საწარმოთა" ახალი სახე—გველებისა და ნიანგების მოსაშენებელი ფერმები.

ფეხბურთი

„დინამო."— ქალაქის ნაკრები გუნდი

კვირას, 1 დეკემბერს, იხურება ფეხბურთის საშემოდგომო სეზონი. სეზონის დახურვის აღსანიშნავად გაიმართება ტრადიციული მატჩი ქალაქის ნაკრებ გუნდსა და იმ გუნდს შორის, რომელმაც პირველობა აიღო. აბსოლიუტური პირველობა შემოდგომის სეზონში დარჩა „დინამო"-ს. აღნიშნული ორგანიზაცია წელს წარმოდგენილი იყო ორი გუნდით. ორივე გუნდმა ყველა კალენდარული შეჯიბრებები გამარჯვებით დაამთავრა.

ამრიგად, კვირას ქალაქის ნაკრებ გუნდთან ითამაშებს „დინამო-პირველი", რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ბალდოევი, ფოჩხუა, ვორონოვი, ფრუიძე, ანიკინი, პარამონოვი, კოიავა, ფაჩულია, აბაშიძე, სომოვი და გარაყანიძე.

ქალაქის ნაკრები გუნდი ითამაშებს იმავე შემადგენლობით, როგორც ბათომთან თამაშობდა: დ. ცომაია, მატიენკო, ნიკოლაიშვილი, სიხარულიძე, იმნაძე, რამიშვილი, კლოტცი, ასლამაზოვი, დიაკოვი, მაღალაშვილი და სომოვი.

შეჯიბრების ჩატარება განზრახულია ლენინის სახელობის სტადიონზე. შეჯიბრების შემდეგ მოხდება შემოდგომის სეზონის პირველობის გათამაშების შედეგების გამოქვეყნება.

მორიგი კალენდარული შეჯიბრებები

გრძელდება მესამე კატეგორიის გუნდების პირველობის გათამაშება ფეხბურთში. 29 ნოემბერს დილის 3 საათზე თამაშობენ: ავჭალის წყალსადენი და სპეციალური კურსები. 1 დეკემბერს დილის 8 საათზე—კამოს სახელობის საფაბრიკო- საქარხნო სკოლა 2,—რკინისგზელების მესამე გუნდი; 9 ს. 30 წ. კამოს სახელობის საფაბრიკო- საქარხნო სკოლა 1—დეპო; 11 საათზე ხელოვნების მუშაკთა კავშირი 2—რკინისგზა 2 და 12 ს. 30 წ. ხელოვნების მუშაკთა კავშირი 1—რკინისგზა 1.

საბჭოთა ფეხბურთელები სპარსეთში

ამჟამად სპარსეთში იმყოფება აზერბეიჯანის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც მიწვეულია რამდენიმე შეჯიბრების გასამართავად. ორი მატჩი უკვე მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა (11.0 და 4.0).

აზერბეიჯანის ნაკრებ გუნდში თამაშობს თბილისელი მოთამაშე **გ. ქებაძე** (მელითონეთა გუნდიდან).

ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ტირაჟი

მოგებათა ოფიციალური ცხრილი *)

სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა	სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა
072083	1-50	100	072194	45	1.000
072194	1-44	100	072194	49-50	100
072287	1-50	100	072632	1-50	100
072897	1-50	250			
072935	1-50	100	073443	1-50	100
074236	1-50	100	074292	1-50	100
074599	1-50	100	075084	1-50	100
075253	1-50	250	077110	1-50	100
077496	1-50	100	077583	1-50	100
077719	1-50	100	078520	10	1.000
078520	1-9	100	078520	11-50	100
079299	1-50	100	079749	1-50	250
079773	1-50	250	080004	1-50	100
080043	1-50	100	081789	1-50	100
			082095	1-46	100
082095	48-50	100	082213	1-50	100
082698	50	1.000	082698	1-49	10
082781	1-50	100	083165	05	5.000
083165	1-4	100	083165	6-50	100
083347	1-50	100	083375	1-50	100
083406	1-50	100	083792	1-50	250
083964	1-50	100	084170	1-50	100
084559	50	1.000	084559	1-49	100
084761	1-50	100	084853	1-50	100
084857	1-50	100	085040	1-50	100
085230	04	1.000	085230	1-3	100
085230	5-50	100	085697	50	1.000
085697	1-49	100	085877	1-50	100
085915	1-50	250	083959	1-50	100
086177	1-50	100	086774	37	1.000
086774	1-36	100	086774	38-50	100
087363	34	1.000	087363	1-33	100
087363	35-50	100	087641	1-50	100
087924	45	1.000	087924	1-44	100
087924	46-50	100	088400	1-50	100
088413	1-50	100	088639	1-50	100
088927	1-50	250	088998	1-50	100
090562	1-50	100	090567	27	25.000
090567	1-26	100	090567	28-50	100
090570	1-50	100	090885	1-50	100
090928	1-50	100	090933	1-50	100
090955	31	1.000	090955	31	1.000
090965	1-30	100	090965	32-50	100
091994	1-50	100	092259	09	1.000
092517	1-50	100	092925	1-50	100
093035	1-50	250	093432	1-50	100
093606	1-50	100	094591	1-50	100
094644	1-50	250	094704	1-50	100
[illegible]	1-50	250	095947	1-50	250
096933	05	1.000			

სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა	სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა
096933	1-3	100	096933	6-50	100
098434	1-50	100	099123	1-50	250
099960	1-50	250	100179	1-50	100
100367	1-50	250	100436	1-50	100
101140	1-50	100	102874	1-50	100
103032	1-50	100	103788	31	1.000
103788	1-30	100	103788	32-50	100
104172	1-50	100	104598	1-50	100
104934	1-50	100	105978	1-50	100
106314	1-50	250	106511	1-50	100
106533	1-50	100	106997	46	1.000
106997	1-45	100	106997	47-50	100
108186	1-50	100	108623	1-50	250
108685	26	1.000	108685	1-25	100
108685	27-50	100	108953	1-50	100
109189	1-50	100	109335	1-50	100
110380	39	1.000	110380	1-38	100
110380	40-50	100	110859	1-50	100
111015	1-50	100	111294	1-50	100
111393	03	1.000	111393	1-2	100
111393	4-50	100	111449	1-50	250
111566	1-50	100	111958	1-50	100
112204	1-50	100	112606	41	5.000
112606	1-40	100	112606	42-50	100
113175	1-50	100	113187	04	1.000
113187	1-3	100	1113187	5-50	100
113485	1-50	100	113740	1-50	100
113882	1-50	250	113895	1-50	100
115105	1—50	250	115140	1—50	100
115455	1—50	100	115874	1—50	100
116724	15	1000	116724	1—14	100
114219	1—50	100	115044	1—50	100
116724	16—50	100	116888	33	1000
116888	1—50	100	116888	34—50	100
117183	1—50	100	117288	1—50	100
117464	1—50	250	117665	30	10000
117665	1—29	100	117665	31—50	100
118038	1—50	250	118321	1—50	100
118370	1—50	100	118504	1—50	100
118558	1—50	100	118731	1—50	100
118830	1—50	250	118843	1—50	100
119134	1—50	250	119143	1—50	100
119267	1—50	250	119289	1—50	100
119902	1—50	100	119908	1—50	100
120166	04	1000	120166	1— 3	100
120166	5—50	100	121273	1—50	250
121374	1—50	100	121928	1—50	100
122401	1—50	100	122491	1—50	100
122538	27	1000	122538	1—26	100
122538	28—50	100	122894	1—50	100
123251	1—50	100	123503	1—50	100
123539	1—50	100	123649	1—50	250

(შემდეგი იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი № 274.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

26 კომუნარის სახ. რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე (მეორე სართული) მოწვეულია 26 კომუნარის რაიონის საბინაო-საიჯარო ამხანაგობების ვამგეობების თავმჯდომარეთა და კულტგანყოფილებათა თავმჯდომარეთა თათბირი.

—:—

ვ. ი. ლენინის სახელობის ს.ს.პ.ი. იუწყება, რომ 29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე დიდ სამხაზველოში შესდგება პარტკოლექტივის კრება კომკავშირთან ერთად.

დღეს, 29 ნოემბერს, საღამოს [illegible] საათზე რკ. გზის 8-ე შრომის სკოლის შენობაში [illegible] ბა ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა [illegible] (ბ) და ა.-ლ. კ. კ. უჯრედის გაერთიანებული სხდომა. კომპარტიის წევრ-კანდიდატებისა და კომკავშირელების დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე სასურველია ლენრაიონში მომუშავე იმ კომუნისტ და კომკავშირელ პედაგოგების დასწრება, რომლებიც ზემოხსენებულ უჯრედში არ ირიცხებიან.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა პელაგია, რძალი ელიჩქა და ძმა გრიშა სარჯველაძეები, დები: ელენა თურნავასი, ანეტა იმნაძისა და ფედოსი ფირცხალაიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ-მეგობრებს, რომ კვირას 1 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე ლანჩხუთში ეწრის და გომბალაურის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მენშევიკ ჯალათების მიერ 1919 წ. 28 ნოემბერს, დახვრეტილ დაუვიწყარ რევოლიუციონერ

ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის ალსანიშნავად. 4—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დები და სიძეები: ელენე და ბათლომე თურნავეები, ანეტა და კოლია იმნაძენი, ფედოსი და გიორგი ფირცხალაიშვილები შვილებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ კვირას, 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ლანჩხუთში ეწრის და გომბალაურის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 1919 წ. 28/XI მენშევიკ ჯალათების მიერ დახვრეტილ დაუვიწყარ რევოლიუციონერ

ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის ალსანიშნავად. 2—2

ცრემლ-შეუშრობელი ბებია ფატი, ბიძები—აქვსენტი, კონდრატი, ბიცოლები: ნინა, თებრონე და კასინე მახარაძენი შვილებით, დეიდები: ბარბალე მახარაძე, სიდონია კობალაძისა, ქიონია ბარამიძისა, მარია ასკურავასი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 1 დეკემბერს, ლანჩხუთში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ რევოლიუციონერის

ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის ალსანიშნავად. 2—1

სიდონია და სანდრო კობალაძეები შვილებით კაკუნიათი და ბარდღუნიათი აუწყებს ნაცნობ მეგობრებს, რომ კვირას, 1 დეკემბერს, ლანჩხუთში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 1919 წელს მენშევიკ-ჯალათების მიერ დახვრეტილ დაუვიწყარ რევოლიუციონერ-ბოლშევიკ

ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის ალსანიშნავად. 2—1

შრომის საამშენებლო არტელის „მარდის" ცენტრალური გამგეობა იუწყება, რომ კვირას, 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ლანჩხუთში ეწრის და გომბალაურის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მენშევიკ-ჯალათების მიერ 1919 წელს 28 ნოემბერს დახვრეტილ რევოლიუციონერ-ბოლშევიკ

ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის ალსანიშნავად. 2—1

ა. წ. 10 ნოემბერს, ქ. კავკავში გარდაიცვალა

მარიამ (მაშო) კიკნაძისა

რასაც აცხადებენ გულდამწვარი შვილები: შაქრო, მალუცა, ვანო, ნასტია და ილიკო, შვილიშვილები: თამრო, ნინა და ქეთო, რძალი ნადია და სიძე არჩილი. 4478

მასწავლებელი ჩიტო შარაშიძე და ამხანაგები: მარო ჭელიძე, სალუშკა ყაუჩიშვილი, კატუშა უშვერიძე, ელენე ასათიანი, ვერა მგალობლიშვილი, ვერა კაკაბაძე და ნინო სვანიძე აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მათ გამოაკლდათ საყვარელი მეგობარი

დორა კუჭუხიძე 4480

1925 წ. კურსდამთავრებული აგრონომები: მ. მაჭავარიანი, რ. ნაკაშიძე, ნ. ტყემალაძე, ე. ბარნაბიშვილი, ნ. ჩიჯოგიძე, ვ. ვამაძე, ნ. ჩახნაშვილი, ნ. ჭყონია, ლ. ჭავჭანიძე, ნ. სიფროშვილი, ლ. ახობაძე, მ. ყაუხჩიშვილი, ე. მირიანაშვილი, ნ. სანაძე, ა. მაყაშვილი, ნ. მარგველაშვილი, ვ. ბაძოშვილი, კ. როგავა, დ. რცხილაძე გ. აბესაძე, ქ. ჯაფარიძე, ა. სანაძე, ნ. ალექსიძე, ს. თედოლური, ვ. კონსტანტინაშვილი, ი. ჯავახია, გ. ჯაში და ნ. იაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფ-სი ამხანაგის

დორა კუჭუხიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება კვირას, 1 დეკემბერს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 4482

ღრმად დამწუხრებული და სოფიო და სიძე გიორგი პეტრუხაშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი

ნინო (ნუცა) ზარდიაშვილი

დაკრძალვა შაბათს, 30 ნოემბერს, ქ. გურჯაანში. 4484

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ვარდენი და საშა კაკაბაძეები, ბებიები ეკატერინა და მაშო, დეიდა ოლია და ბიძა ჟორჟიკა ბარამიძეები, ვლადიმერი, არტემი და ვარლამი კაკაბაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ-მეგობრებთ პატარა

გურამის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება ბინიდან (მუხრანისა და ბაგრატიონის ქ. კუთხე № 23), შაბათს, 30 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე. (მ)

მეგობრები: დ. ხიხაძე, ივ. ძაძამიძე, კ. ხარაბაძე, ს. გოგიშვილი, ვ. შონია, ვ. ხუნდაძე, ი. მაისურაძე, გ. კობიძე, დ. ფარცხალაძე, ს. გრიგოლია და გ. ტატიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 28 ნოემბერს უდროოდ გარდაიცვალა ამხ. ვ. კაკაბაძის შვილი

პატარა გურამი (მ)

დამწუხრებული ცოლი კატო იაგორას ასული არუთინოვისა, შვილები: გოგია, ელენე ოთარი, სიმაგრი იაგორა მეუღლით, ცოლისძმები: ესტატე, ვახანა, არტაშა, ბიძაშვილი ნინა ეფრემის ასული დუშუაშვილები იუწყებიან

ვანიჩკა (ვანელი) არუთინოვის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა დ. საჩხერეში, 28 ნოემბერს. 4488

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

პარასკევი, 29 ნოემბერი, მე-2 აბონემ. მე-3 წარმ. უკანასკნელად ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით **ევგენ ონეგინი**

შაბათი, 30 ნოემბ. აბონ. გარეშე, ნ. კ. პეჩკოვსკის უკანასკნელი გამოსვლა **I ჯამბაზი, II კონცერტი**

ყველა სააბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე. აბონემენტების მე-5 მორიგი შეტანა მიიღება ყოველდღე სალარო № 3-ში 10-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

ნ. 3431

აპოლო — ლია დე პუტი და ვერნერ კრაუსი ახალ სურათში **ეჭვიანობა**

ხოლეი — „ნერო ფილმ"-ის მხატვრული სურათი **ლუ-ლუ** ლუიზა ბრუკსის მონაწილეობით.

მინიონი — ნორმა ტოლმეჯი სურათში **სამი გამოცდა**

მალე: „კაენი და არტემი"

პალასი — ყოველდღე ანშლაგები **იმპერიის ნამსხვრევი**

არფასტო — სეზონის საუკეთესო ფილმი **ნანუკ**

დარბაზი — **პატი ზღაპარი** ლავროვების გასტროლები

0—24

კინო-არფასტო

დღეიდან 29 ნოემბრიდან

სეზონის საუკეთესო ფილმი

ნანუკ

„ის ხელით იჭერს პოლიარულ მელას... სელაპს ისე აქროლებს ტყავს, როგორც ბანანს"...

ყველამ უნდა ნახოს ნანუკ

ნაპოვნია ძაღლი

სეტერის ჯიშის

იკითხეთ ლიუტერანის ქ. № 37 ბაბალაშვილთან.

4481

კინო-მინიონი

ორშაბათიდან, 2 დეკემბრიდან

მონოპოლიურად

„მეჟრაბპომ-ფილმ"-ის ახალი სურათი

მეტოქენი

დადგმა რეჟისორ ა. დმიტრიევის

ოპერატორი პ. მოსიაგინი

ნ. 3430

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ

დაადგინა მოაწყოს

ძირითადი ქიმიური მრეწველობის რესპუბლიკანური კომბინატი

„ქიმკომბინატი"

რომელიც იქნება საქ. ს.ს. რესპუბლიკის ს.მ.უ. საბჭოს გამგებლობაში. ქიმკომბინატის წესდება დამტკიცებულია საქ. ს.ს. რესპ. ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის მიერ (ოქმი № 43) და გატარებულია რეგისტრაციაში ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოში

ქიმკომბინატმა უკვე დაიწყო მუშაობა. მისამართი: ანჩისხატის ქ. № 17. ტელ. 24 68.

ნ. 3432 ქიმკომბინატი.

რუსთაველის თეატრი—სეზონი 1929-30 წ.

დანიშნული ხუთშაბათს, 28 ნოემბერს წარმოდგენა

„ღვარძლი" სერია (ბ) მე-2 აბონემ. მე-2 წარმოდგენა

=გადადებულია=

სამშაბათს, 3 დეკემბრისათვის. ნ. 3429

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

კ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 – სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02. 25—13

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 1-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამი ნოვის) № 22. 25—2

კ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—3

ს. ანდრეევა შინაგან ავადმყ. სპეც. სახსრების და ჯირკვლების დაავადება (ტუბერკულიოზი), საღ. 6—7 ს. ელბაქიძის დაღმართი 29, (ცირკის პირდაპირ) ტელ. 11—78.

მ. ორლოვსკაია თვალის ოპერაციები და სათვალეების შერჩევა. ღებულობს დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე ამოს (ყოფ ქსენიას) ქუჩა, № 9. 25—5

ი. ი. ჭეიშვილი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი იღებს: დილ. 8—9 საათ., საღ. 6—8 საათ., ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალებს. მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის) ქუჩა. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 25 - 4

გ. ე. ფხალაძე სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება დილით: 7—8 საათ. საღ. 6—8, 5—6 ქალებს. მარტის ქ. № 6 (ყ. ბოგუსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან. 25—4

ქუთაისი **თ. ვ. აკოფაშვილი** შინაგანი სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა ბროსეს ქ., № 7 (მე-3 საბჭოთა აფთიაქის გვერდზე).

ალ. მაღალაშვილი ბავშვების ექიმი, საღამოს 5—7 საათამდის, კოროლენკოს ქუჩა № 12. 25—1

ა. დ. კეკელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. პლეხანოვის პროს. № 116. აპტეკის „ოლე"-ს პირდაპირ. იღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. —12—67.

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ ელისაბედის) 47. ტელ. 5—90.

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დღის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნტატით განთავისუფლებული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25 -1

ი. გაგიკვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი, ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—4

ნ. გ. ბეგეჭკორი შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკაიას ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

კ. ტყეშელაშვილი სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი. ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით 8—9, საღამოთი 6—8. 25—7

ი. გ. ხარებავა-ბაქრაძე კბილის ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები. სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117. 25--7

მიხა ცხაკაიას სახელობის

ფიზიატრიისა და კუროროლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი

(ლენინის ქ. № 49)

მკურნალობის ყოველგვარი ფიზიკური მეთოდები: ელექტრონი, ტალახით, წყლით, სინათლით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.

მკურნალობა ამბულატორული და სტაციონარული.

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

შინაგანი (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობანი, რევმატიული დაავადებანი და სხვ.), ნერვიული და ქალთა ავადმყოფობანი.

ავადმყოფების ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.

ფასიან ავადმყოფების მიღება. მკურნალობის პირობების შესახებ ცნობების გაცემა ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15 88. 25—22

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიხის ქ. № 1. ლერმონტოვის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატების და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—12

ლოგოპედი **ა. ა. კიპიანი** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტის არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—12

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3.

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად.

- — პურის წიგნაკი № 2581 გიორგი კბილიშვილის სახელზე. 4460
- — უმუშევრობის წიგნაკი ნესტორ ლექვინაძის სახელზე. 4467
- — დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 22 მიხეილ ივანეს-ძე ზაუტაშვილის ხელზე. 4476
- — კავშირის წიგნაკი რკინის გზ-ლთა № 29689, პარტბილეთი № 6399 და „ზაკტპოს" წიგნაკი ვასილ ვარაზოვის სახელზე.
- — ხეზე მომუშავეთა პ/კავშირის წიგნაკი № 2 91 ივანე გორგის-ძე [illegible] შვილის სახელზე. 4483
- — კოოპერატივის წიგნაკი № 1656 გაცემული სუფსის „ეპოს" მიერ [illegible] ვას ძეს სახელზე.
- — ლომბარდის ქვითარები №№ 044197 და 84384.
- — მუშკოოპის წიგნაკი № 63971 ანტონ გაბარაშვილის სახელზე.
- — მუშკოოპის წიგნაკი № 69252 ნინა გაბარაშვილის სახელზე.

ტირაჟი—43.070

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904